ეკლები ვარდების შემდეგ - პოლიტიკური პატიმრები პოსტ-რევოლუციურ საქართველოში

მუხლი 1. ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით.

მუხლი 2. ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და ყველა თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავების, სახელდობრ, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა რწმენის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობისა.

გარდა ამისა, დაუშვებელია რაიმე განსხვავება იმ ქვეყნის თუ ტერიტორიის პოლიტიკური, სამართლებრივი ან საერთაშორისო სტატუსის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ეს ტერიტორია - დამოუკიდებელი, სამეურვეო, არათვითმმართველი თუ სხვაგვარად შეზღუდული თავის სევერენიტეტში.

მუხლი 3. ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

მუხლი 4. არავინ არ უნდა იმყოფებოდეს მონობაში ან ძალმომრეობით მორჩილების მდგომარეობაში. ყველა სახის მონობა და მონათვაჭრობა აკრძალულია.

მუხლი 5. არავის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული წამება ან სასტიკი, არაადამიანური თუ მისი ღირსების დამამცირებელი მოპყრობა და სასჯელი.

"ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია"

შინაარსი:

შესავალი 4

I. მეთოდოლოგია 6
1. ტერმინ "პოლიტიკური პატიმრის" განმარტება 6
2. მისიის მიერ გამოყენებული კვლევის მეთოდები 11

II. საქართველოს უახლესი ისტორია და პოლიტიკური სიტუაცია ქვეყანაში 15

III. ინფორმაცია პოლიტიკურ პატიმრებსა და პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიებზე 32

1. ინფორმაცია საქართველოში სავარაუდო პოლიტიკური დევნის შესახებ 32

   ა – ადგილობირივი ორგანიზაციების მტკიცება პოლიტიკური დევნის თაობაზე 32
   ბ – პოლიტპატიმრების საერთაშორისო აღიარების საკითხი 36

2. კონსენსუსი პოლიტიკური ოპოზიციის დევნის არსებობის თაობაზე 38
   ა - ადგილობრივი დოკუმენტაცია პოლიტიკური ოპოზიციის დევნის თაობაზე 38
   ბ - საერთაშორისო დოკუმენტაცია პოლიტიკური ოპოზიციის დევნის თაობაზე 38
   გ. ინფორმაცია არასამართლიანი სასამართლო პროცესებისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის არასაკმარისობის შესახებ 41

IV. მისიის მიერ გამოკვლეული რვა საპილოტო საქმის აღწერა 42

1. ნორა კვიციანის საქმე 42
2. ჯონი ჯიქიას საქმე 50
3. რევაზ კლდიაშვილის საქმე 53
4. შალვა რამიშვილის საქმე 55
5. მაია თოფურიას საქმე 59
6. დემურ ანთიას საქმე 63
7. ომარ ქუცნაშვილის საქმე 66
8. მერაბ რატიშვილის საქმე 73

დასკვნები 77

რეკომენდაციები 78

დანართი 69

შენიშნვები ....

შესავალი

თბილისში 2008 წლის ნოემბერში "ადამიანის უფლებათა საერთაშოსიო ფედერაციის" რეგიონალურ სემინარზე, რომელიც სამართლის ადმინისტრირებას ეხებოდა, ქართული უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების რამდენიმე წარმომადგენელმა ჩვენი ყურადღება ახალ პოლიტიკურ პატიმრებზე (უმეტესად ისინი, ვინც 2007-2008 წლებში იქნენ დაპატიმრებულნი) გაამახვილა. ამის შედეგად "ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციამ" პოლიტპატიმრების საკითხის გამოსაკვლევად საქართველოში მისიის გაგზავნა გადაწყვიტა.

მისიის წევრები იყვნენ:

- **გრეგუარ ტერი**, "ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის" ევროგაერთიანებასთან ურთიერთობის ოფიცერი;
- **კირილ კოროტეევი** – ადამიანის უფლებათა ცენტრის "მემორიალი" იურიდიული კონსულტანტი;
- **ელდარ ზეინალოვი** – აზერბაიჯანის "ადამიანის უფლებათა ცენტრის" ხელმძღვანელი

მისია თბილისში იმყოფებოდა 2009 წლის 19-25 თებერვალს. ვიზიტის დროს მისიის წევრებმა შეხვედრები გამართეს და ინტერვიუები ჩაიწერეს. მისიის წევრებმა ოფიციალურად მიმართეს ხელისუფლების წარმომადგენლებს შესაძლო პოლიტპატიმრებთან შეხვედრის თხოვნით, მაგრამ უარი მიიღეს. თუმცა, მოახერხეს მათ ადვოკატებთან და ოჯახის წევრებთან შეხვედრა. მისიის წევრები ასევე შეხვდნენ ხელისუფლებისა და მთავრობოთაშორისი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ქართულ ადამიანის უფლებათა დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებს, პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს.[1] მისიის წევრები დაესწრნენ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების კომისიის შეხვედრას, რომელიც შესაძლო პოლიტპატიმრების საკითხზე მუშაობს.

საკითხი საკმაოდ პოლიტიზებულია და იწვევს დაძაბულობას როგორც ქვეყნის შიდა, ისე გარე ასპარეზზე:

[1] ინტერვიუების სია იხილეთ დანართში.

- 2007 წლის ნოემბერში საერთაშორისო საზოგადოება (მათ შორის, სააკაშვილის მთავრობის აქტიური მხარდამჭერებიც) შეაშფოთა ხელისუფლების მიერ უხეში და არაპროპორციული ძალის გამოყენებით ოპოზიციის დემონსტრაციების დარბევამ. ოპოზიციურ ტელეკომპანია "იმედს" დაესხნენ თავს (ქართველი სამართალდამცვლები), შემდეგ კი, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ტელეკომპანია დახურეს.

- 2008 წლის მაისის საპარლამენტო არჩევნების დროს საკმაოდ ბევრი საარჩევნო დარღვევა დაფიქსირდა, თუმცა ეუთოს სადამკვირვებლო მისიის საბოლოო შეფასების თანახმად, საპარლამენტო არჩევნები საერთო ჯამში დემოკრატიული იყო.

- რუსეთთან აგვისტოს ომმა ქვეყნის შიგნით გაზარდა დაძაბულობა სავარაუდოდ პრო-რუსულ პოლიტიკურ პარტიებსა და მათ ოპონენტებს შორის.

- 2008 წლის ნოემბერში, ოპოზიციის მიტინგების დროს, თბილისში კვლავ ათასობით დემონსტრანტი შეიკრიბა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს სააკაშვილს გადადგომისკენ მოუწოდებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები, ადამიანის უფლებათა დამცველები, პოლიტიკური პარტიები და საქართველოს სახალხო დამცველი ამტკიცებდნენ, რომ საქართველოში არსებობენ პოლიტპატიმრები, მთავრობათაშორისმა ორგანიზაციებმა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა ოფიციალურად არ აღიარეს საქართველოში პოლიტპატიმრების არსებობა. ევროსაბჭომ აღიარა, რომ პოლიტპატიმრები არიან აზერბაიჯანსა და სომხეთში.

თუმცა, რამდენიმე მთავრობათაშორისმა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ დააფიქსირა და დაგმო საქართველოს მთავრობის მიერ ოპოზიციის წინააღმდეგ განხორციელებული პოლიტიკური რეპრესია.

"ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია" საკითხის შესწავლის შედეგად ასკვნის, რომ საქართველოში არიან პოლიტპატიმრები. ანგარიშში პოლიტიკური პატიმრების ამომწურავი სია არ არის მოცემული. მისი მიზანია 8 საპილოტო საქმის საფუძველზე წარმოაჩინოს ორგანიზაციის დასკვნა პოლიტპატირების საკითხთან დაკავშირებით. საპილოტო საქმეები აჩვენებს, თუ როგორ აკავებენ მთავრობის პოლიტიკურ ოპონენტებს, პოლიტიკური ოპოზიციის დამფინანსებლებს და ოპოზიციასთან დაკავშირებულ გავლენიან ადამიანებს სრულად ან ნაწილობრივ გაყალბებული სასამართლო საქმეების საფუძველზე. მათ წინააღმდეგ ყველაზე ხშირად შემდეგი სახის ბრალდებებს იყენებენ: იარაღისა და ნარკოტიკების უკანონო შენახვა, გამოძალვა და გადატრიალების მოწყობის მცდელობა.

I. მეთოდოლოგია

1. ტერმინ "პოლიტიკური პატიმრის" განმარტება

ტერმინ "პოლიტპატიმრის" სხვადასხვა განმარტებები

საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს "პოლიტიკურ" დანაშაულებებთან დაკავშირებული ცალკე პარაგრაფი. თუმცა, ზოგიერთი დანაშაული პოლიტიკურად ითვლება, მაგალითად, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების გარკვეული სახის დარღვევა (სისხლის სამართლის კოდექსის XXIII თავი), საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის წინააღმდეგ ჩადენილი რამდენიმე დანაშაული (სსკ XXVII თავი) და ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულებიც კი (სისხლის სამართლის კოდექსის XXVIII თავი). ბევრი ამ მუხლის გამოყენება იმ ადამიანების წინააღმდეგაც შეიძლებოდა, რომლებიც ვარდების რევოლუციის მსგავს მოვლენებში იღებდა მონაწილეობას და რომლის შედეგად დღევანდელი მმართველი პარტია მოვიდა ხელისუფლებაში, იმ შემთხვევაში, თუ გამომძიებლები და სასამართლო მათ მოქმედებებს შეაფასებდა განსაკუთრებული მნიშვნელობის ადგილების ბლოკირებად (სსკ 222-ე მუხლი), ამბოხად (სსკ 223-ე მუხლი), შეთქმულებად ძალაუფლების ხელში ჩასაგდების მიზნით (სსკ 315-ე მუხლი) და ასე შემდეგ, ხოლო ამ მოქმედებების ჯგუფურად ჩადენა კი დამამძიმებელ გარემოებად ჩაითვლებოდა.

სსკ-ის 323 მუხლის თანახმად, "ტერორისტული აქტი" ეს არის ნებისმიერი "ქმედება, რაც ქმნის [...] მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის [...] განხორციელების საშიშროებას და ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს [...] პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესს" და ჩადენილია "ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით". ასე რომ, თუ ხელისუფლება ჩათვლის, რომ ოპოზიციის დემონსტრაცია ბლოკავს სატრანსპორტო არტერიებს და სამთავრობო შენობებს, ზეწოლას ახდენს ხელისუფლების ორგანოებზე და ემუქრება საკუთრებას დაზიანებით და/ან სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს, მაშინ დემონსტრაციაში მონაწილეები შეიძლება დაისაჯონ როგორც "ტერორისტები".

საერთაშორისო ამნისტია (სა) ტერმინს "პოლიტიკური პატიმარი" ფართო ინტერპრეტაციით იყენებს, რათა მოიცვას ყველა ის საქმე, რომელშიც არის შესამჩნევი პოლიტიკური ელემენტი. მაგალითად, სისხლის სამართლის დანაშაულები, რომელიც ჩადენილია პოლიტიკური მოტივით ან აქვს გამოხატული პოლიტიკური კონტექსტი. ამ დეფინიციის შესაბამისად, სა არ ითხოვს ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლებას და არც მთავრობისაგან პოლიტიკური პატიმრებისადმი განსაკუთრებულ მოპყრობას. თუმცა, მთავრობას ავალდებულებს ასეთი სახის პატიმრები უზრუნველყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამართლიანი სასამართლოთი. სა ეწინააღმდეგება წამების გამოყენებას ნებისმიერ საქმეში, იქნება ეს სისხლის სამართლის თუ პოლიტიკური საქმე ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.[2]

"ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის" არჩევანი - ევროსაბჭოს განმარტება

"ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის" ფაქტების დამდგენმა მისიამ გადაწყვიტა საქართველოში პოლიტპატიმრების იდენტიფიცირებისთვის აზერბაიჯანის გამოცდილება გამოეყენებინა; მისიამ საქართველოში არსებული სიტუაციის შესაფასებლად პოლიტპატიმრის ევროსაბჭოს განმარტება აირჩია.

მისია დაეყრდნო "პოლიტპატიმრის" ევროსაბჭოს დოკუმენტებში მოცემულ განმარტებას. 2001 წელს საბჭოს გენერალურმა მდივანმა შეარჩია ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაავალა სომხეთსა და აზერბაიჯანში პოლიტიკური პატიმრების იდენტიფიცირებისათვის საჭირო კრიტერიუმების შემუშავება. ეს კრიტერიუმები 2001 წლის 3 მაისს იქნა მიღებული და გამოიყენებოდა 2001-2004 წლებში.[3] მიუხედვად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფს საქართველოს შესახებ არ უმსჯელია, მათ მიერ შემუშავებული კრიტერიუმები საქართველოს არსებულ საქმეებს შეგვიძლია მივუსადაგოთ.

ევროპის საბჭოს ექსპერტების თანახმად, "თავისუფლებააღკვეთილი ადამიანი პოლიტიკურ პატიმრად ჩაითვლება თუ:

---

[2] EUR 56/004/1996 საქართველო, „საერთაშორისო ამნისტიის შეშფოთება, შეჯამება" (1 ოქტომბერი 1996): http://www.amnesty.org.ru/library/Index/ENGEUR560041996?open&of=ENG-381.

[3] SG/Inf (2001)34 პოლიტიკური პატიმრების საქმეები აზერბაიჯანსა და სომხეთში (24 ოოქტომბერი 2001).

“ა. დაპატიმრება მოხდა “ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულიკონვენციისა” და მისი რომელიმე დამატებითი ოქმით გათვალისწინებული რომელიმე ფუნდამენტური უფლების დარღვევით. კერძოდ, თუ დაირღვა აღმსარებლობის თავისუფლება, გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება, შეკრებებისა და გაერთიანების თავისუფლება;

ბ. თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მიზეზებითაა განპირობებული და არ არის დაკავშირებული რაიმე დანაშაულის ჩადენასთან;

გ. პოლიტიკური მოტივები, პატიმრობის ვადა ან მისი პირობები მკვეთრად არაპროპორციულია ჩადენილ დანაშაულთან შედარებით, რომლისთვისაც ის სასამართლო განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ ან ეჭვმიტანილად;

დ. პოლიტიკური მოტივებით, პატიმარი დაკავებულ იქნა სხვა პატიმრებთან შედარებით დისკრიმინაციულ ვითარებაში;

ე. დაკავება შედეგია უდავოდ უსამართლო სამართალწარმოების და ეს ყველაფერი აშკარად უკავშირდება ხელისუფლების პოლიტიკურ მოტივებს.

“ვარაუდი იმის თაობაზე, რომ პირი პოლიტიკური პატიმარია უნდა ემყარებოდეს “prima facie” მტკიცებულებებს; დამკავებელ ხელისუფლებაზე გადადის ტვირთი ამტკიცოს, რომ დაკავება სრულიად შეესაბამედოდა ევროპული კონვენციის მოთხოვნებს, როგორც ამას განმარტავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო; რომ მოთხოვნა პროპორციულობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის თაობაზე დაცული იყო; რომ თავისუფლების აღკვეთა სამართლიანი სამართალწარმოების შედეგი იყო”.

დეფინიციის შესაბამისობა საქართველოში შესაძლო პოლიტიკური პატიმრების საქმეებთან

ევროპის საბჭო ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგენილი კრიტერიუმები ზოგადად ემთხვევა ქართველი ექსპერტების მიერ გამოყენებულ კრიტერიუმებს. მაგალითად, „ადამანის უფლებათა ცენტრი“ და „ყოფილი პოლიტიკური პატიმრები ადამანის უფლებებისათვის“ სრულად იზიარებენ ამ (ევროსაბჭოს ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებულ) კრიტერიუმებს. სხვა ექსპერტები დამატებით ორ კრიტერიუმს იყენებენ: 1) ადამიანის პოლიტიკურად აქტიურობა და 2) უკანონო სისხლის სამართლის დევნა (უკანონო პატიმრობა).

ეს ორი კრიტერიუმი "საერთაშორისო ამნისტიის" კრიტერიუმებს ემთხვევა. კერძოდ, 1) საქმე შეიცავს "შესამჩნევ პოლიტიკურ ელემენტს" და 2) საქმეზე მთავრობა არ უზრუნველყოფს "საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სამართლიან სასამართლოს".

[შესაძლო პოლიტპატიმრის] პოლიტიკური აქტივობასთან კავშირი პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია, [შესაძლო პოლიტპატიმარი] ფართო გაგებით ის ადამიანია, რომლის მიმართაც ხორციელდება "ფუნდამენტური გარანტიების" დარღვევა, ეს გარანტიები მოცემულია კრიტერიუმში (ა); გარდა ამისა ამ გარანტიებად მიიჩნევა ასევე "მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მიზეზის" არსებობა, რომლებზეც საუბარია კრიტერიუმში (ბ) და"პოლიტიკური მოტივების" არსებობა, რომლებიც მოცემულია (გ), (დ) და (ე) კრიტერიუმებში.

ამ კრიტერიუმის (კრიტერიუმი 1) ფართო ინტერპრეტაცია არის საჭირო ნორა კვიციანისა და ომარ ქუცნაშვილის დაპატიმრებასთან დაკავშირებით, რადგან მათი დაპატიმრება შესაძლოა კავშირში იყოს მათი ახლო ნათესავების პოლიტიკურ აქტიურობასთან. ამ კრიტერიუმის ინტერპრეტაციის შედეგად მათი დაპატიმრება შეიძლება მიჩნეულ იქნას მძევლად აყვანის მაგალითად.

მეორე კრიტერიუმი – საქმის არასამართლიანი წარმოება - ყურადღებას ამახვილებს (ბ), (გ), (დ) და (ე) კრიტერიუმების შესაბამისი მოტივაციის არსებობის გამო. მაგალითად, საქართვლოს სახალხო დამცველი პოლიტიკური პატიმრების არსებობის აღიარებისას ხაზს უსვამს პროცედურულ დარღვევებს, რომელსაც პოლიტიკური მოტივის დამადასტურებელ სამხილად მიიჩნევს. "ზოგს ნარკოტიკი ჩაუდეს, ზოგს იარაღი. {....} ნათელია, რომ ყველა მათგანი არის პოლიტიკური პატიმარი. ჩვენმა გამოძიებამ საქმეებში ბევრი პროცედურული დარღვევა აღმოაჩინა".[4]

ევროსაბჭოს კრიტერიუმები ყველა იმ საქმეს მოიცავს, სადაც იკვეთება პოლიტიკური მოტივით დაპატიმრებების ალბათობა:

1. ადამიანს არ ჩაუდენია სისხლის სამართლის დანაშაული და საქმე მთლიანად გაყალბებული იყო - კრიტერიუმი (ბ).

2. ადამიანმა ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ სასჯელი დანაშაულის არაპროპორციული, მკაცრი იყო – კრიტერიუმი (გ)

[4] http://www.kavkaz-uzel.ru/newstext/news/id/1203217.html.

3. ბრალდება მოიცავს როგორც ჩადენილ ასევე გამოგონილ დანაშაულს – კრიტერიუმები (ბ) და (გ).

4. გამომძიებლებისა და სასამართლოს მიერ ბრალდების განხილვა სამართლიანობის პრინციპის დარღვევით – კრიტერიუმი (ე).

5. ადამიანი სხვა პატიმრებთან შედარებით პატიმრობის უარეს პირობებშია – კრიტერიუმი (დ).

“პოლიტპატიმრის” განსაზღვრებებს შორის ძირეული განსხვავება არ არსებობს. თუმცა, ევროსაბჭოს კრიტერიუმები უფრო დეტალურია და კარგადაა დასაბუთებული ევროსაბჭოს ექსპერტთა ჯგუფის 2001 წლის ანგარიშებში.

პოლიტიკური მოტივაციის “Prima Facie” მტკიცებულება ზემოთხსენებული ყველა ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვანია შესაძლო პოლიტპატიმრის დაცვის დროს. თუ [პოლიტპატიმრის] დაცვის მხარემ არ წარმოადგინა პოლიტიკური მოტივაციის დამადასტურებელი სამხილი, მაშინ მტკიცება, რომ “ეს ადამიანი მიტინგის დროს დააპატიმრეს და შესაბამისად ვერ იქნება ნარკომანი” ან “ეს ადამიანი პოლიტიკური პარტიის წევრია და შეუძლებელია დამნაშავე იყოს” მიუღებელია.

არ არის აუცილებელი “Prima Facie” მტკიცებულება პირდაპირ იყოს დაკავშირებული ოფიციალურ ბრალდებასთან, რადგან პოლიტიკური მოტივი შესაძლოა დამალული იყოს და არ აისახოს საბრალდებო დასკვნაში ან განაჩენში. თეორიულად ასეთი მტკიცებულება შეიძლება წარმოდგენილ იქნას სასამრთლო პროცესის დროს. მტკიცებულება იმავე სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს, რასაც სხვა სისხლის სამართლის სასამართლოზე წარდგენილი მტკიცებულებები.

ასეთი სახის მტკიცებულება უნდა იყოს დამაჯერებელი და არ უნდა აღძრავდეს ეჭვს მისი უტყუარობის თაობაზე ან იმის შესახებ, თუ რა წყაროდან და რა ვითარებაში იქნა ის მოპოვებული. მსხვერპლის/მოწმის/ექსპერტის ზეპირი და/ან წერილობითი ჩვენება და სხვა მსგავსი დოკუმეტები მისაღებია;

მისიამ აღმოაჩინა, რომ ასევე მისაღებია შემდეგი სახის მტკიცებულები: მსჯავრდებულის ადვოკატებისა და მათი ოჯახის წევრების ინტერვიუები; სასამართლოს გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებების თარგმანები; სახალხო დამცველის, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები და პუბლიკაციები პრესასა და ინტერნეტში. თუმცა, მისიის ექსპერტების აზრით, არც ერთ მათგანს არ შეიძლება კანონის ძალა ჰქონდეს.

წინასწარი მტკიცებულებების მოგროვება უფრო ადვილია თუ პოლიტპატიმარს ჰყავს ადვოკატი და თავად ან ადვოკატის დახმარებით უკვე მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რაც ჩვენს მიერ შესწავლილი რვა საქმიდან უმეტესობაში მოხდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ფუნდამენტური თავისუფლებების და კანონის დარღვევის შესახებ არსებული მტკიცებულებები უკვე მოგროვებული და სისტემატიზებულია.

2. მისიის მიერ გამოყენებული კვლევის მეთოდები

იმის გამო, რომ ეს იყო ფედერაციის პირველი მისია საქართველოში პოლიტპატიმრებთან დაკავშირებით, მისიის პირველადი მიზანი იმის გარკვევა იყო შეესაბამებოდა თუ არა შესწავლილი საქმეები პოლიტპატიმრის იდენტიფიკაციისთვის საჭირო იმ კრიტერიუმებს, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ; მისიის მიზანი არ ყოფილა პოლიტიკური პატიმრების სრული სიის შედგენა, ჩვენ მიზანი იმის დადგენა იყო არიან თუ არა საქართველოში პოლიტპატიმრები. ეს უნდა დაგვედგინა იმ საქმეების შესწავლის საფუძველზე, რომლებზეც მიაპყრობინეს ყურადღება ფედერაციის მისიის წარმომადგენლებს.

მისიის აზრით, შეუძლებელი იყო შესაძლო პოლიტპატიმრების "საბოლოო" სიის შედგენა, რადგან შესაძლო პოლიტპატიმრების საქმეები ბევრი იყო. ამასთან ამგვარი საქმეების რიცხვი იზრდებოდა, როგორც საქართველოში მისიის მუშაობის დროს, ასევე მისიის საქართველოდან წამოსვლის შემდეგაც. მსგავსი საქმეები მათი მთავარი მახასიათებლების მიხედვით გაერთიანდა:

1. ე. წ. ნარკომანები ანუ ნარკოტიკების ტარებაში ბრალდებულები

2. გაქცეული ადამიანების ოჯახის წევრები, რომლებიც გაქცეულთა დასასჯელად იყვნენ დაპატიმრებულები

3. ე. წ შეთქმულები, რომლებსაც მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულება ედებოდათ ბრალად

4. ეკონომიკურ დანაშაულში ეჭვმიტანილი ბიზნესმენები

5. ჟურნალისტები

მისიამ შეარჩია ერთი ან ორი პატიმარი თითო ჯგუფიდან და შეიყვანა მისიის ე. წ. "საპილოტო სიაში". პრიორიტეტი მიენიჭა ისეთ საქმეებს, რომლებზეც მისიას

ყველაზე მეტი ინფორმაცია ჰქონდა და ერთდროულად რამდენიმე კატეგორიაში ჯდებოდა.

მისიამ აიღო ინტერვიუები (ინგლისურად და თარჯიმნის დახმარებით) დაპატიმრებულების ოჯახის წევრებისა და მათი ადვოკატებისგან, შეაგროვა ხელმისაწვდომი დოკუმეტები, მოსაზრებები და არგუმენტები ადამიანის უფლებათა დამცველებისა და სახალხო დამცველისგან თითოეულ საპილოტო საქმეზე. მისია ასევე დაესწრო საქართველოს კონსერვატიული პარტიის ეგიდით შექმნილ და მომუშავე ე. წ. სამოქალაქო საზოგადოების ადამიანის უფლებათა კომისიის შეხვედრას. ჩატარებული სამუშაოსა და შესაბამისი ანალიზის საფუძველზე, მისია ასკვნის, რომ საპილოტო სიის წევრი პატიმრების დაპატიმრების უკან პოლიტიკური მოტივი იკვეთება.

მისიამ პილოტირებისათვის შემდეგი საქმეები აირჩია:

ფედერაციის მისიის რვა საპილოტო საქმის ცხრილი

სახელი	**კატეგორია**	**ოფიციალური ბრალდება**	**პოლიტიკური მოტივი**
მერაბ რატიშვილი	- ე.წ. ნარკომანი - დაკავშირებულია 2007 წლის ნოემბრის მოვლენებთან	-ნარკოტიკის უკანონო შენახვა (სავარაუდოდ, პოლიციამ მას ნარკოტიკი ჩაუდო ჯიბეში) - რამდენიმე დემონსტრანტს/ადამიანს, რომელიც დემონსტრაციების	- ოპოზიციის წევრი - 2007 წლის ნოემბრის დემონსტრაციის მომზადება

		მომზადებაში აქტიურად იყო ჩართული, ბრალად ნარკოტიკის უკანონო შენახვა წაუყენეს ბრალად	
დემურ ანთია		- იარაღის ტარება (სავარაუდო, პოლიციამ ჩაუდო მას სახლში იარაღი)	ოპოზიციის წევრი + დაგმო 2008 წლის აგვისტოში საქართველოს მთავრობის მიერ თავის რეგიონში (აფხაზეთის საზღვართან) განხორციელებული მოქმედებები
ჯონი ჯიქია	- ე.წ. ნარკომანი - დაკავშირებულია 2007 წლის ნოემბრის მოვლენებთან	-ნარკოტიკის უკანონო შენახვა (სავარაუდოდ, პოლიციამ მას ნარკოტიკი ჩაუდო ჯიბეში)	2007 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციების მომზადება და მონაწილეობა
შალვა რამიშვილი	მედია ოპოზიცია	ფულის გამოძალვა	მთავრობისადმი კრიტიკული დამოუკიდებელი ტელევიზიის დამაარსებელი და მმართველი
ნორა კვიციანი	სამიზნე - ოჯახის წევრები	შეიარაღებული, უკანონო დაჯგუფების შექმნა, ხელმძღვანელობა და მონაწილეობა - იარაღის შესყიდვა და ტარება	კოდორის ხეობის ყოფილი გუბერნატორის ემზარ კვიციანის და. ემზარ კვიციანი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისათვის იძებნება
მაია თოფურია	გიორგაძის მხარდამჭერი	- ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების	„პრორუსული“ პოლიტიკური

		დაგეგმვა - გადატრიალების მცდელობა	ოპოზიცია
ომარ ქუცნაშვილი	ოპოზიციის დაფინანსება	ბიზნესთან/ფინანსებთან დაკავშირებული ბრალდებები	უარი თქვა უმრავლესობის საარჩევნო კამპანიის დაფინანსებაზე და დააფინანსა ოპოზიცია
რევაზ კლდიაშვილი	ოქრუაშვილის მხარდამჭერი	იარაღის უკანონო შენახვა (სავარაუდოდ, პოლიციამ მას იარაღი მანქანაში ჩაუდო)	- ოპოზიციური პარტიის „ერთიანი საქართველოს“ გავლენიანი წევრი - პარტიის ლიდერმა ოქრუაშვილმა მიიღო თავშესაფარი საფრანგეთში

II. საქართველოს უახლესი ისტორია და პოლიტიკური სიტუაცია ქვეყანაში

პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში

საქართველოს რესპუბლიკამ, რომელიც საბჭოთა კავშირის შემანდგენლობაში შედიოდა დამოუკიდებლობა 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა.

საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდში საქართველოში შეინიშნებოდა პლურალიზმის ნიშნები. 1990 წლის 28 ოქტომბერს ქვეყანაში ჩატარდა პირველი მრავალპარტიული არჩევნები. ეს იყო პირველი პლურალისტული არჩევნები საბჭოთა კავშირის მასშტაბით. არჩევნებში გაიმარჯვა დამოუკიდებლობის მომხრე ოპოზიციურმა ბლოკმა "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო". 1991 წლის 17 მარტს საქართველომ უარი თქვა საბჭოთა კავშირის აღდგენასთან დაკავშირებულ რეფერენდუმში მონაწილეობის მიღებაზე. სანაცვლოდ, იმავე წლის 31 მარტს ქვეყანაში ჩატარდა რეფერენდუმი 1918 წლის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით. ამის შემდეგ, 1991 წლის 26 მაისს მმართველი კოალიციის ლიდერი, ყოფილი დისიდენტი და ნაციონალისტი ზვიად გამსახურდია პრეზიდენტად აირჩიეს.

გამსახურდიას მმართველობამ ბევრის უკმაყოფილება და სეპარატიზმის გამძაფრება გამოიწვია საქართველოს იმ რეგიონებში, რომლებიც რუსეთს ესაზღვრება (აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი). 1991 წლის სექტემბერში, პოლიციამ თბილისში ფართომასშტაბიანი დემონსტრაცია დაარბია და ოპოზიციის რამდენიმე წევრი დააპატიმრა. ამან დაძაბულობის ესკალაცია, მსხვერპლი (22 სექტემბერი) და 24 სექტემბერს ქვეყანაში საგანგებო სიტუაციის გამოცხადება გამოიწვია. განხეთქილება მოხდა ეროვნულ გვარდიაში. გვარდიის ნაწილი ოპოზიციური, გასამხედროებული დაჯგუფება "მხედრიონის" მხარეს გადავიდა.

1991 წლის 21 დეკემბერს თბილისში ეროვნული გვარდია აჯანყდა. აჯანყებას მხედრიონის მებრძოლები უჭერდნენ მხარს. 1992 წლის 6 იანვარს გამსახურდია და მისი მთავრობა ქვეყნიდან გაიქცა. გამსახურდიამ ძალაუფლების დაბრუნება 1993 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში სცადა. ამ მიზნით მისი მთავრობის მხარდამჭერები სამეგრელოში, იმერეთსა და გურიაში აუჯანყდნენ მთავრობას. აჯანყება რუსეთის დახმრებით ჩაახშეს. გამსახურდია 1993 წლის 31 დეკემბერს გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა – უცნობია იგი მოკლეს თუ თავი მოიკლა.

კრიზისს ბოლო მოუღო ედუარდ შევარდნაძემ - ადამიანმა, რომელიც 1972-1985 წლებში საქართველოს კომუნისტური პარტიის ლიდერი და საბჭოთა კავშირის

საგარეო საქმეთა მინისტრი (1985-1990 და 1991 წლებში) იყო. მან 1992 წლის მარტში ჩამოაყალიბა და სათავეში ჩაუდგა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს. ის ქვეყანას მართავდა შემდგომი 11 წლის მანძილზე. 1992-1995 წლებში ის ხელმძღვანელობდა საქართველოს პარლამენტს; 1995 და 2000 წლებში მოიგო საპრეზიდენტო არჩევნები, თუმცა, ორივე არჩევნებმა ოპოზიციისა და საერთაშორისო დამკვირვებლების კრიტიკა დაიმსახურა.[5]

1992 წლის 21 თებერვალს, სამხედრო საბჭომ საქართველოს 1978 წლის კონსტიტუცია გააუქმა და დამოუკიდებელი საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია აღადგინა. 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კონსტიტუცია (ხელმოწერის ცერემონია 17 ოქტომბერს შედგა), რომელშიც კოდიფიცირებულია ადამიანის უფლებები და დემოკრატიული თავისუფლებები.

1991 წელს საქართველო შეუერთდა ევროპის საბჭოს, მოახდინა მისი მთავარი კონვენციების რატიფიცირება და აღიარა ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს იურისდიქცია.

2000 წელს შევარდნაძემ ეროვნული შერიგების პროცესის დაწყება სცადა გამსახურდიას მიმდევრებთან, რომლებიც მის ლეგიტიმურობას არ აღიარებდნენ. ამ პროცესის ქვაკუთხედი დაპატიმრებული ზვიადისტების (ზვიად გამსახურიდას მიმდევრების) შეწყალება იყო, მაგრამ ბევრმა მათგანმა უარი თქვა შეწყალებაზე და განაცხადა, რომ ისინი თავიანთი პოლიტიკური პოზიციის გამო იყვნენ გასამართლებულები და არა იმიტომ, რომ დანაშაული ჩაიდინეს, ამდენად, მათ შეწყალება ვერ შეეხებოდათ. ამის გამო შერიგება არ შედგა.

სეპარატიზმის გამძაფრება

საქართველოში სამოქალაქო ომი (1991-1993 წწ.) სამხრეთ ოსეთსა (1989-1992) და აფხაზეთში (1992-1993) მზარდი ეროვნებათშორისი კონფლიქტის ფონზე მიმდინარეობდა.

1989 წლის 10 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭომ საქართველოს უზენაეს საბჭოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ავტონომიურ რესპუბლიკად გამოცხადების თხოვნით მიმართა. პასუხად, საქართველოს პარლამენტმა ქართული ენა მთელი ქვეყნის მასშტაბით ოფიციალურ ენად გამოაცხადა და 1990 წელს აკრძალა

[5] იხილეთ ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ანგარიში 2000 წლის არჩევნების შესახებ http://www.osce.org/odihr-elections/14483.html/.

რეგიონალური პარტიები, მათ შორის, “სამხრეთ ოსეთის სახალხო ფრონტი”, რომელმაც რეგიონის სტატუსის შეცვლის თხოვნა წამოაყენა.

1990 წლის 20 სექტემბერს, ავტონომიური ოლქის საბჭომ სამხრეთ ოსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. ავტონომიური ოლქის მოსახლეობამ 1990 წელს საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა და 1990 წლის დეკემბერში რეფერენდუმი ჩაატარა დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით საბჭოთა კავშირთან შეერთების შესახებ. პასუხად, 1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს ახალმა პარლამენტმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი საერთოდ გააუქმა. სამხრეთ ოსეთი შიდა ქართლის რეგიონის ნაწილი გახდა.

1991 წლის 6 იანვარს საქართველოს პოლიციური ძალები და მოხალისეები ავტონომიური ოლქის დედაქალაქ ცხინვალში შევიდნენ. დაიწყო შეიარაღებული კონფლიქტი საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის. შემდეგ (26 იანვარს) საქართველოს ძალებმა ცხინვალიდან რამდენიმე კილომეტრით დაიხიეს უკან. კონფლიქტის დროს დაახლოებით 1 000 ადამიანი დაიღუპა. ორივე მხარეს ბევრი დევნილი გაჩნდა. 1991 წლის გაზაფხულზე სიტუაცია სტაბილური გახდა. იმ დროისათვის საქართველოს მთავრობა რეგიონში (სამხრეთ ოსეთი) მხოლოდ რამდენიმე დასახლებულ პუნქტს აკონტროლებდა, მათ შორის, ქალაქ ახალგორს. რეგიონის ქართული მოსახლეობა 28 700-დან 17 500-მდე შემცირდა.

1991 წლის მარტში რუსეთმა და საქართველომ ყაზბეგის ოქმს მოაწერეს ხელი, რომლის მიზანიც სამხრეთ ოსეთის პრობლემის მოგვარება იყო, მაგრამ ოქმით გათვალისწინებული მოთხოვნები არ შესრულებულა. 1992 წლის 24 ივნისს საქართველოში ხელისუფლების გადაცემის შემდეგ, რუსეთისა და საქართველოს ლიდერებმა ე. წ. დაგომისის (სოჭის) ხელშეკრულება გააფორმეს. ეს იყო შეთანხმება “საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პრინციპებზე”. შეთანხმების საფუძველზე, კონფლიქტურ რეგიონში, სამმხრივი სამშვიდობო და სამართალდამცავი ძალები ჩამოყალიბდა, შეიქმნა ასევე შერეული საკონტროლო კომისია ადმინისტრაციული და ეკონომიკური საკითხების მოსაგვარებლად. სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში შედიოდნენ ქართული, ოსური და რუსული შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები. 1992 წელს ეუთომ საქართველოში თავისი მისია დააფუძნა, რომლის მიზანი სამშვიდობო ოპერაციების ზედამხედველობა იყო.

სამხრეთ ოსეთში განვითარებული მოვლენების შედეგად აფხაზეთში წინ წამოიწია რეგიონის სტატუსის საკითხმა. 1991 წლის 17 მარტს აფხაზეთის არაქართულმა მოსახლეობამ საბჭოთა კავშირის შენარჩუნების თაობაზე სსრკ-ს მასშტაბით გამართულ რეფერენდუმში მიიღო მონაწილეობა და მხარი დაუჭირა საბჭოთა

კავშირის შენარჩუნებას. ამ რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიუღია საქართველოს დანარჩენ ნაწილს. 31 მარტს საქართველოს დამოუკიდებლობის თაობაზე ჩატარებულ რეფერენდუმში მონაწილეობა აფხაზეთის არაქართულმა მოსახლეობამ არ მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ 1992 წლის 21 თებერვალს აღდგენილი 1921 წლის კონსტიტუციით, აფხაზეთი ავტონომიურ რესპუბლიკად იყო აღიარებული, 23 ივლისს, საბჭოთა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს აფხაზეთის ფრაქციამ, აფხაზეთის რეგიონი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა.

მას შემდეგ, რაც 1992 წლის 6 იანვარს საქართველოში ძალაუფლება ხელში ახალმა ადმინისიტრაციამ აიღო, სამხედრო ძალებმა და მხედრიონმა, რომელმაც გადატრიალება მოაწყო, აფხაზური სეპარატიზმის პრობლემის ძალადობრივი გზით მოგვარება გადაწყვიტა. 1992 წლის 1 აგვისტოს ეროვნული გვარდიის ნაწილები აფხაზეთში შევიდნენ და ავტონომიური რესპუბლიკის თითქმის მთელს ტერიტორიაზე კონტროლი დაამყარეს. რუსეთი კონფლიქტში არაპირდაპირ ჩაერია. ის სეპარატისტებს კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის ძალებით დაეხმარა; აფხაზეთში დისლოცირებული რუსული ნაწილები აფხაზურ სამხედრო ძალებს ჰაერიდან და ზღვიდან არაოფიციალურად დაეხმარნენ. 1992 წლის ოქტომბრისათვის, აფხაზებმა გარკვეულ სამხედრო წარმატებებს მიაღწიეს, ხოლო 1993 წლის დასაწყისისათვის ისინი უკვე გაგრას აკონტროლებდნენ.

სოჭის მეორე შეთანხმების შედეგად, რომელიც "აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტასა და მისი შენარჩუნების მექანიზმს" ეხებოდა და რომელიც 1993 წლის 27 ივლისს დაიდო, რუსეთის მთავრობა სოჭის ორივე შეთანხმების შესრულების გარანტორი გახდა. აგვისტოში დაიწყო გაეროს სამშვიდობო სადამკვირვებლო მისია საქართველოში, მაგრამ აფხაზეთის მოსაზღვრე საქართველოს რეგიონებში გამსახურდიას მიმდევრების აჯანყებების გამო საქართველოს არმია იძულებული იყო ყურადღება ამ აჯანყებების ჩახშობაზე გადაეტანა. აფხაზებმა 1993 წლის სექტემბერში დაარღვიეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დადებული ხელშეკრულება და აფხაზეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე აღადგინეს კონტროლი. კონფლიქტის შედეგად ორივე მხრიდან რამდენიმე ათასი ადამიანი დაიღუპა და დაახლოებით 240 000 ადამიანი, უმეტესად ქართველები დევნილებად იქცნენ;[6] საქართველოს მთავრობამ მხოლოდ კოდორის ხეობის ზედა ნაწილზე შეინარჩუნა კონტროლი.

რუსეთმა, როგორც სოჭის შეთანხმების გარანტორმა, ოფიციალურად დაგმო აფხაზების საქციელი და მათ ეკონომიკური სანქციები დაუწესა. 1993 წლის ოქტომბერში, რუსეთის ჯარებმა შევარდნაძის დახმარების მიზნით საქართველოს

[6] "აფხაზეთი დღეს", საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი. ანგარიში # 176, 2006 წლის 15 სექტემბერი.

მთავარ სატრანსპორტო არტერიებზე დაამყარეს კონტროლი და შეაჩერეს ზვიადისტების ჯარების მოძრაობა თბილისის მიმართულებით. იმავე წლის 6 ნოემბერს საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ზუგდიდში ზვიადისტების შტაბბინა დაიკავეს.

რუსეთის მხარდაჭერის პასუხად, შევარდნაძემ 1993 წლის 23 ოქტომბერს გამოაცხადა, რომ საქართველო დსთ-ში წევრიანდებოდა. მან რუსეთს საქართველოში თავისი სამხედრო ბაზების დაეტოვების ნებაც დართო. ბაზები არამარტო აფხაზეთში, არამედ, ქვეყნის სხვა რეგიონებშიც იყო განთავსებული. 1993 წლის დეკემბერში, აფხაზეთისა და საქართველოს დელეგაციებმა ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

პრობლემა წარმოიშვა სამშვიდობო კონტინგენტთან დაკავშირებით. 1994 წლის 9 მაისს გაეროს გენერალურმა მდივანმა ბუტროს ბუტროს გალიმ უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოაცხადა, რომ არ არსებობდა გაეროს ჯარების აფხაზეთში შეყვანის აუცილებლობა და იქ რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფნას დაუჭირა მხარი. 1994 წლის გაზაფხულზე მოსკოვში ხელი მოეწერა შეთანხმებას და რუსული სამშვიდობო ძალები 1994 წლის 26 ივნისს აფხაზეთში შევიდნენ.

2002 წლის ოქტომბერში, შევარდნაძე რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს კიშინოვში (მოლდავეთი) შეხვდა ტერორიზმთან ბრძოლის საკითხის განსახილველად. შეხვედრის შემდეგ შევარდნაძემ განაცხადა, რომ "საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში შემობრუნების მომენტი დადგა". აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე თბილისის კონტროლის აღდგენის ნაცვლად, 2003 წლის მარტში, საქართველოს და რუსეთის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს ახალ შეთანხმებას, რომელიც მიზნად ისახავდა აფხაზეთში ეკონომიკის და რკინიგზის ხაზების აღდგენას. ამ შეთანხმებამ საქართველოში ოპოზიციის უკმაყოფილების ტალღა გამოიწვია და ხელისუფლების შეცვლა გამოიწვია.

ახალი ადმინისტრაცია თბილისში

1992-1993 წელს შევარდნაძის ოპონენტების დაპატიმრება და მათი სასამართლო პროცესები სამართლიანი სასამართლოს პრინციპების სერიოზული დარღვევებით წარიმართა. ეს აღნიშნულია ვიქტორ დომუხოვსკის[7] და სხვათა და შოთა რატიანის[8]

---

[7] დომუხოვსკი საქართველოს წინააღმდეგ, CCPR/C/62/D/623, 624, 626 & 627/1995.

[8] რატიანი საქართველოს წინააღმდეგ, CCPR/C/84/D/975/2001. კომუნიკაციის # 975/2001, 4 აგვისტო 2005.

საქმეებზე გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში.

კოალიცია, რომელმაც გაიმარჯვა 1992 წელს, მალევე დაიშალა. შევარდნაძემ რეპრესიული ზომები გამოიყენა მხედრიონის წინააღმდეგ. მხედრიონის შემადგელობაში დაახლოებით 2 000 ადამიანი შედიოდა. მხედრიონი ოფიციალურად 1993 წლის 3 სექტემბერს "საქართველოს გადარჩენის კორპუსის" სახელით დარეგისტრირდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დაჯგუფებას ოფიციალური სტატუსი ჰქონდა, 1995 წლის დასაწყისში მხედრინელებს ბრალი დასდეს ორგანიზებულ დანაშაულში და განაიარაღეს.

1995 წლის 29 აგვისტოს ტერორისტულმა ჯგუფმა შევარდნაძის ლიკვიდაცია სცადა, მაგრამ უშედეგოდ. ისარგებლა რა ამ ფაქტით, მან (შევარდნაძემ) უკანონოდ გამოაცხადა მხედრიონი და ბრალი დასდო მას პოლიტიკური ძალადობის რიგი ფაქტების ჩადენაში. მხედრიონის ლიდერი ჯაბა იოსელიანი 1998 წელს დააპატიმრეს და თერთმეტწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. 2001 წელს შეწყალებული იოსელიანი 2003 წელს ტვინში სისხლის ჩაქცევისგან გარდაიცვალა.

ასევე 1995 წელს დააპატიმრეს შევარდნაძის კიდევ ერთი ყოფილი მოკავშირე თენგიზ კოტოვანი, რომელიც 1992-1993 წლებში თავდაცვის მინისტრი იყო. მას უკანონო, გასამხედროებული ფორმირების შექმნისთვის 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

მაშინ როცა ოპოზიცია ქაოტურ მდგომარეობაში იყო, შევარდნაძემ ადვილად მოიგო საპრეზიდენტო არჩევნები 2000 წლის 9 აპრილს. მან ოფიციალური მონაცემებით ამომრჩეველთა 82 %-ის მხარდაჭერა მოიპოვა. 2002 წლის სექტემბერში შევარდნაძემ გამოაცხადა, რომ ის თავისი საპრეზიდენტო ვადის დასრულების შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნებში საპრეზიდენტო კანდიდატის სტატუსით აღარ მიიღებდა მონაწილეობას.

ტრადიციულმა, საბჭოთა სტილის მმართველობამ, კორუფციამ და შევარდნაძის უუნარობამ სეპარატიზმის პრობლემა სამხედრო ან მოლაპარაკებით გზით მოეგვარებინა, ქვეყნის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა დიდად გააუარესა. ისარგებლა რა 2003 წლის საპარლამეტო არჩევნებით, ოპოზიციამ, რომელმაც მხარდაჭერა სოროსის ფონდისა და კერძო მეწარმეებისგან მიიღო, კვლავ გააქტიურა თავისი მოქმედებები. შევარდნაძის გუნდის რამდენიმე წევრი ოპოზიციას შეუერთდა.

კრიზისი 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების წინა დღეს მომწიფდა. მმართველ პარტიას არჩევნებში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და "ბურჯანაძე-

დემოკრატები” დაუპირისპირდნენ, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ პრეზიდენტის ყოფილი თანაგუნდელები - მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ჟვანია და ნინო ბურჯანაძე (ორი უკანასკნელი შევარდნაძის დროს საქართველოს პარლამენტის სპიკერები იყო).

მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ოპოზიციის ლიდერი გახდა, მიმზიდველი პოლიტიკური ფიგურა იყო საერთაშორისო საზოგადოებისთვის მისი განათლებისა და კარიერის გამო: სამაგისტრო ხარისხი იურისპრუდენციაში კოლუმბიის უნივერსიტეტში დაიცვა, მოგვიანებით სწავლობდა საფრანგეთში, სტრასბურგის ადამიანის უფლებების საერთაშორისო ინსტიტუტში; იტალიაში, ფლორენციის ევროპული სამართლის აკადემიაში და საერთაშორისო სამართლის ჰააგის აკადემიაში. იგი მუშაობდა ოსლოს “ნორვეგიულ ინსტიტუტში ადამიანის უფლებებისათვის” და შემდეგ ნიუ იორკის იურიდიულ ფირმაში. 1995 წელს საქართველოში დაბრუნებისა და პარლამენტში არჩევის შემდეგ იგი პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე გახდა. 2000 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით იყო საქართველოს წარმომადგენელი ევროპის საბჭოს საპარლამეტო ასამბლეაში. 2000-2001 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრი. მან მინისტრის პოსტი მას შემდეგ დატოვა, რაც ედუარ შევარდნაძე და მისი მთავრობის წევრები კორუფციაში დაადანაშაულა. ამის შემდეგ მან შექმნა ოპოზიციური პოლიტიკური პარტია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”. 2002 წლის ნოემბრის დასაწყისში იგი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გახდა.

ოფიციალურად საპარლამენტო არჩევნები შევარდნაძის გამარჯვებით დამთავრდა. 20 ნოემბერს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების ოფიციალური შედეგები გამოაცხადა: პრო-შევარდნაძისეულმა ბლოკმა “ახალი საქართველოსთვის” 21.32 % მიიღო, “აღორძინების” პარტიამ – 18,84 %. საბოლოო შედეგების ოქმს ხელი ცესკოს 10-მა წევრმა მოაწერა, 5-მა უარი თქვა ხელის მოწერაზე, რადგან მიიჩნიეს, რომ მეორე რაუნდი უნდა ჩატარებულიყო ან ხმები უნდა გადათვლილიყო.

არჩევნების შედეგები არ სცნეს საერთაშორისო დამკვირვებლებმა და შევარდნაძის ოპონენტებმა. გამოიყენა რა არჩევნების შედეგები, სააკაშვილმა მოითხოვა ახალი არჩევნების დანიშვნა და ამომრჩევლებს ქუჩებში გამოსვლისაკენ მოუწოდა. ოპოზიციამ ახალ, სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ტაქტიკას მიმართა, რომელიც წარმატებულად გამოიყენეს სერბეთში. დაფუძნდა ახალგაზრდული მოძრაობა “კმარა”. საპროტესტო მოძრაობაში არამარტო ოპოზიციური პარტიები არამედ, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციაც ჩაერთო.

2003 წლის ნოემბრის შუა რიცხვებისთვის მასობრივი დემონსტრაციები იმართებოდა თბილისში. აქციები მოედო ქვეყნის სხვადასხვა ქალაქსა და სოფელს. შევარდნაძე დემონსტრანტების წინააღმდეგ რეპრესიული მეთოდების გამოყენებას არ ჩქარობდა.

თავდაპირველად მას საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვება სურდა ამ ნაბიჯის გადასადგმელად. ზუსტად ერთი თვით ადრე საქართველოს მეზობელ აზერბაიჯანში არჩევნების შემდეგ ილჰამ ალიევმა სანამ ოპოზიციონერთა აქციების წინააღმდეგ რეპრესიებს დაიწყებდა, რუსეთისა და შეერთებული შტატებისგან მოიპოვა პოლიტიკური მხარდაჭერა, მაგრამ შევარდნაძის შემთხვევაში შეერთებული შტატები აშკარად ოპოზიციის მხარეს იყო.

22 ნოემბერს დემონსტრანტებმა პარლამენტის შენობა აიღეს, სადაც ახლად არჩეული პარლამენტის პირველი სხდომა ტარდებოდა. დემონსტრანტებმა შევარდნაძეს სიტყვით გამოსვლა შეაწყვეტინეს და აიძულეს დაცვის წევრებთან ერთად დარბაზი დაეტოვებინა. ამ მოძრაობას ვარდების რევოლუცია დაერქვა იმის გამო, რომ სააკაშვილი და მისი მხარდამჭერები პარლამენტის სხდომაზე ვარდებით შეიჭრნენ.

შევარდნაძემ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და პოლიციას უბრძანა მისი რეზიდენცია დაეცვა, თუმცა პოლიცია მას უკვე მხარს აღარ უჭერდა. მეორე დღეს შევარდნაძე სააკაშვილს და ჟვანიას ესაუბრა. მედიატორი იგორ ივანოვი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. 23 ნოემბერს შევარდნაძე გადადგა პრეზიდენტის თანამდებობიდან.

იმავე დღეს უზენაესმა საბჭომ არჩევნების შედეგები გააუქმა. პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გახდა. დაინიშნა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები და 2004 წლის 4 იანვარს მიხეილ სააკაშვილი 96.27 %-ით აირჩიეს პრეზიდენტად. 2004 წლის 28 მარტს ახალი საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. არჩევნებში სააკაშვილის მხარდამჭერმა "ახალმა დემოკრატებმა" გაიმარჯვეს, რითაც ვარდების რევოლუციის შედეგები გაამყარეს.

ეროვნული შერიგების პროცესის კრახი

რევოლუციის შემდგომ პერიოდში სააკაშვილი თითქოს ერთგული იყო ევროპული ღირებულებებისა და ეროვული შერიგების პოლიტიკის, რომელზეც მან საჯაროდ ისაუბრა არჩევნებამდე.

2003 წლის 18 დეკემბერს სახელმწიფო მინისტრის ზურაბ ჟვანიას ინიციატივით ეროვნული უშიშროების საბჭომ შექმნა ეროვნული შერიგების კომისია. კომისიის მუშაობის შედეგად, ყოფილი ზვიადისტი პოლიტპატიმრები გაათავისუფლეს და „ტყის ძმები" – გამსახურდიას მხარდამჭერები (დაახლოებით 150 ადამიანი), რომლებიც დასავლეთ საქართველოს ტყეებში 1993 წლიდან იმალებოდნენ, შეიწყალეს. გამსახურდიას ფინანსთა მინისტრი გურამ აბსანძე, რომელიც ამ კომისიას ხელმძღვანელობდა, სახელმწიფო მინისტრის მოადგილედ დაინიშნა.

2007 წლის 1 აპრილს ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ნეშტი (ნაპოვნი ჩეჩნეთში), დიდი პატივით დაასაფლავეს მთაწმინდის პანთეონში. ქვეყნის ხელისუფლება, მათ შორის სააკაშვილი ესწრებოდა გადმოსვენების ცერემონიას.

ეროვნული შერიგება შერჩევითი იყო. მთავრობა არ აპირებდა ქვეყნის წინა ლიდერ ედუარდ შევარდნაძეთან, "კაგებეს" ყოფილ ხელმძღვანელ იგორ გიორგაძესა და აჭარის ყოფილ ლიდერ ასლან აბაშიძეთან და სხვა გარკვეულ ჯგუფებთან შერიგებას (გიორგაძეც და აბაშიძეც რუსეთში ცხოვრობდნენ).

ანტი-კორუფციული კამპანიის შედეგად გაიწმინდა ყველაზე გავლენიანი დაწესებულებები, რომლებიც შემდეგ სააკაშვილის მხარდამჭერებმა შეავსეს. 2004 წლის იანვარში დააპატიმრეს ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი, საქართველოს რკინიგზის ყოფილი ხელმძღვანელი, ქვემო-ქართლის (რეგიონის აზერბაიჯანული მოსახელობა მანამდე შევარდნაძეს უჭერდა მხარს) ყოფილ გუბერნატორზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა, ხოლო აჭარის მთავრობის ხელმძღვანელს გადადგომა და ქვეყნის დაეტოვება აიძულეს. თანამდებობა დაატოვებინეს გენერალურ პროკურორსაც.

2004 წლის 7 თებერვალს კონსტიტუციაში ცვლილებები შევიდა, რომლის საფუძველზეც პრემიერ მინისტრის თანამდებობა შეიქმნა. იმავე წლის 17 თებერვალს ეს პოსტი ზურაბ ჟვანიამ დაიკავა.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის გაუარესება

მისი წინამორბედების მსგავსად, სააკაშვილის შემთხვევაშიც ეროვნული შერიგების პროცესი და მთავრობის პოპულარობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარებასთან. დასაწყისში არსებული იმედების მიუხედავად, საქართველო- რუსეთის ურთიერთობის გაუარესებასთან ერთად, სიტუაცია ამ კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებით უფრო და უფრო მძიმდებოდა.

1999 წელს ეუთოს სტამბულის სამიტზე საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშიერბული შეთანხმება იქნა მიღწეული. 2005 წლის მარტში საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, იმ შემთხვევაში თუ რუსეთის ბაზების საქართველოდან გაყვანის თაობაზე 2005 წლის 15 მარტამდე მხარეები ორმხრივ შეთანხმებას ვერ მიაღწევდნენ, საქართველო რუსეთს სთხოვდა, ჯარები ქვეყნიდან 2006 წლის 1 იანვრისთვის გაეყვანა.

2006 წლის მარტში საქართველოში რუსული ბაზების გაუქმების თაობაზე შეთანხმება შედგა. შეთანხმების თანახმად, რუსეთის ბაზებსა და სამხედრო კონტინგენტს საქართველო 2008 წლის 31 დეკემბრისთვის უნდა დაეტოვებინა.

2006 წლის 25 იანვარს საქართველომ დატოვა დსთ-ს თავდაცვის მინისტრების საბჭო. ეს ნატოში შესვლის პროცესის ნაწილი იყო. 11 მაისს ქვეყნის პარლამეტმა ნატოში ინტეგრაციას მისცა ხმა.

2006 წლის ივლისის შუა რიცხვებში საქართველოს პარლამენტმა აფხაზეთიდან და ოსეთიდან რუსული სამშვიდობო ძალების გაყვანის თაობაზე რეზოლუცია მიიღო. 2006 წლის ივლისის ბოლოს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გააუქმა ვიზიტი მოსკოვში, რომლის ფარგლებშიც ის დსთ-ს არაფორმალურ სამიტს უნდა დასწრებოდა. ვიზიტის გაუქმების მიზეზი ის იყო, რომ რუსეთის მხარემ უარი თქვა სააკაშვილისა და ვლადიმირ პუტინის შეხვედრის ორგანიზებაზე.

სიტუაცია გაართულა იმ ფაქტმა, რომ რუსეთის კანონის თანახმად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ზრდასრული მოსახლეობის უმეტესობას რუსეთის პასპორტის აღების უფლება ჰქონდა. შემდგომში რუსეთმა ეს ფაქტი საქართველოს საქმეებში სამხედრო ჩარევის საბაბად გამოიყენა.

2006 წლის 22 სექტემბერს სააკაშვილი გაეროს გენერალური ასამბლეის წინაშე გამოვიდა და რუსეთი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდენის პროცესის ხელის შეშლაში დაადანაშაულა და აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების დაუყოვნებლივ გასვლა მოითხოვა. მან ასევე აღნიშნა სეპარატისტული რეგიონების მოსახლეობაზე რუსული პასპორტების მიზანმიმართული, ფართომასშტაბიანი გაცემის ფაქტი.

2006 წლის 27 სექტემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად გამოაცხადა ოთხი რუსი სამხედრო პირისა (2 ოქტომბერს გააძევეს საქართველოდან) და ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი საქართველოს 11 მოქალაქის დაკავების შესახებ. ოფიციალური განცხადების თანახმად, დაკავებულებს კავშირი ჰქონდათ ოპოზიციური პარტია "სამართლიანობის" ლიდერ იგორ გიორგაძის იმ მომხრეებთან, რომლებიც 2006 დასაწყისში მთავრობის დამხობის მიზნით შეთქმულების მოწყობის ბრალდებით დაპატიმრეს.

ჯაშუშურმა სკანდალმა უპრეცენდენტოდ დაძაბა ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის. რუსეთმა საქართველოდან თავისი ელჩი გაიწვია, მოხდა რუსეთის რამდენიმე მოქალაქის ევაკუაცია საქართველოდან, რუსეთიდან ქართველი ემიგრანტები

გამოაძევეს (დაახლოებით 800 ადამიანი 2 კვირის განმავლობაში გააძევეს[9]), ორ ქვეყანას შორის სატრანსპორტო მაკავშირებლები დაიხურა, ვიზების გაცემა შეჩერდა და ა. შ. რუსეთის ელჩი საქართველოში 2007 წლის თებერვლამდე არ დაბუნებულა.

ჯაშუშური სკანდალის შემდეგ რუსეთში ქართველი ემიგრანტების დევნის გამო საქართველომ რუსეთის წინააღმდეგ ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოში სახელმწიფოთაშორისი სარჩელი შეიტანა (No. 13255/07). 2009 წლის 16 აპრილს შედგა სასამართლო პროცესი, რომელზეც ადამიანის უფლებათა სასამართლომ წარმოებაში მიიღო საქართველოს სარჩელი.

რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლები ადრეც დაუკავებიათ საქართველოში ჯაშუშობის ბრალდებით, მაგრამ მათ ყოველთვის უხმაუროდ აძევებდნენ ქვეყნიდან. ჯაშუშური სკანდალი ამჯერად [საქართველოს] მთავრობის აშკარად პროპაგანდისტული სვლა იყო და ხალხში პოპულარობის გაზრდას ისახავდა მიზნად. ძნელი დასაჯერებელია, რომ სკანდალი და ადგილობრივი არჩევნების ბოლო ეტაპი უბრალოდ დაემთხვა ერთმანეთს. ამ ადგილობირივი არჩევნების დროს, რომელშიც ამომრჩევლების 43 %-მა მიიღო მონაწილეობა, მმართველმა "ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" 60 %-ზე ცოტა მეტი ხმა დააგროვა. სანამ 2006 წლის 5 ოქტომბრის საღამოს არჩევნების ოფიციალურ შედეგებს გამოაცხადებდნენ სააკაშვილმა შემდეგი რამ განაცხადა: "ბოლო რამდენიმე დღეა მთელი მსოფლიო უყურებს საქართველოს – დაუჭერს თუ არა ხალხი მხარს ჩვენს პოლიტიკას? – ყველამ უკვე იცის დანამდვილებით ქართველი ხალხის პოზიცია".

სიტუაცია საქართველოს რეგიონებში

შევარდნაძის ჩამოგდების შემდეგ, სააკაშვილის ახალ მთავრობას რამდენიმე მცდელობა ჰქონდა აღედგინა კონტროლი იმ რეგიონებზე, რომლებიც თბილისს არ ემორჩილებოდნენ.

2004 წლის 5 მაისს ვარდების რევოლუციის ტიპის სცენარით მოვლენების განვითარების შედეგად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი ასლან აბაშიძე გადადგა. ასლან აბაშიძემ ამ რეგიონში თავისი დიქტატურა დაამყარა, ისარგებლა რა რუსეთის ძალების რეგიონში [აჭარაში] ყოფნითა და იმ პრივილეგიებით, რომლებსაც ავტონომიის სტატუსიიძლეოდა. ის მხარს უჭერდა შევარდნაძეს ვარდების რევოლუციის დროს.

---

[9] იხილეთ "ადამიანის უფლებების საერთაშორისო ფედერაციისა" და "სამოქალაქო დახმარების" ანგარიში რუსეთში ემიგრაციისა და რუსეთში მცხოვრები ქართველებისთვის კრიზისის შედეგების შესახებ: http://www.fidh.org/IMG/pdf/Migranrussie472fr2007.pdf.

ახალციხეში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზა ხელს უწყობდა სეპარატისზმის გაღვივებას სომხეთის მოსაზღვრე სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, რომელიც ძირითადად სომხებითაა დასახლებული. რუსული სამხედრო ბაზა იქ 2007 წელს გაუქმდა.

პოლიტიკური მოძრაობა "გაერთიანებული ჯავახკის დემოკრატიული ალიანსის" ლიდერი და პოლიტიკური აქტივისტი ვაჰაგნ ჩახალიანი 2008 წლის ზაფხულში ახალქალაქში, მამასთან და უმცროს ძმასთან ერთად დააკავეს. 2009 წლის 7 აპრილს ახალქალაქის საოლქო სასამართლომ მას 10-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

2004 წლის ივნისში საქართველოს ხელისუფლებამ თბილისში შექმნა ალტერნატიული პრო-ქართული მთავრობა სამხრეთ ოსეთისთვის, რამაც სერიოზულად დაძაბა სიტუაცია სამხრეთ ოსეთში. პროპაგანდისტული მიზნებით ამ რეგიონში ბევრი ინვესტიცია ჩაიდო. საქართველომ ევროპარლამენტს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების გეგმა 2005 წლის 25 იანვარს, ხოლო ეუთოს მუდმივმოქმედ საბჭოს იმავე წლის 27 ოქტომბერს წარუდგინა. გეგმა ეუთომ მოიწონა, მაგრამ სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ უარყო.

2006 წლის 12 ოქტომბერს სამხრეთ ოსეთის პარლამენტმა ჩრდილო ოსეთის – ალანიის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის და ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკების ხელმძღვანელებს მიმართა თხოვნით ეღიარებინათ "საქართველოს იურიდული და მორალური პასუხისმგებლობა სამხრეთ ოსეთში ოსების გენოციდის გამო 1920 და 1989-1992 წლებში".

სააკაშვილის მთავრობამ ალტერნატიული მთავრობის შექმნა აფხაზეთშიც სცადა. კოდორის ხეობა, რომელიც აფხაზეთის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს და რომელიც ქართველებით (სვანებით) არის დასახლებული, საქართველოს ხელისუფლების კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმების შემდეგ, აქ აფხაზებსა და ქართველებს შორის სერიოზული დაპირისპირება აღარ მომხდარა, ხოლო სიტუაციის მონიტორინგს გაერო ახორციელებდა. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად ხეობიდან გაიყვანეს მძიმე ტექნიკა და დაშალეს ხეობაში არსებული შეიარაღებული ფორმირებები. უკანასკნელი ასეთი ფორმირება, რომელსაც ემზარ კვიციანი ხელმძღვანელობდა საქართველოს მთავრობამ 2006 წლის ივლის-აგვისტოში განაიარაღა. 27 ივლისს სააკაშვილმა კოდორში სამხედრო ოპერაციების დასრულების შესახებ გამოაცხადა. მან ასევე თქვა, რომ აფხაზეთის დევნილი მთავრობა და პარლამენტი, რომლებიც 1993 წლიდან თბილისში მუშაობდა, კოდორში გადავიდოდნენ სამუშაოდ. 2006 წლის სექტემბერში კოდორის ხეობას სააკაშვილის ბრძანებით ზემო აფხაზეთი დაერქვა.

2006 წლის 2 აგვისტოს აფხაზეთის მთავრობის კოდორის ხეობაში გადასვლა აფხაზმა სეპარატისტებმა პოლიტიკურ საფრთხედ აღიქვეს, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდია აფხაზეთის დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების პერპექტივაზე. როდესაც თბილისმა საქართველო-აფხაზეთის მოლაპარაკებებში "აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის" წარმომადგენლების ჩართვის შუამდგონლობა დააყენა, სოხუმმა პროტესტის ნიშნად მოლაპარაკება ჩაშალა.

საქართველოს მხრიდან რუსეთის სამშვიდობო ჯარების გაყვანის მოთხოვნის ფონზე, 2006 წლის 13 ოქტომბერს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია # 1716, რომლითაც გაეროს სამხედრო დამკვირვებლებს საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში ყოფნის მანდატი წლინახევრით გაუგრძელდათ. ამავე რეზოლუციით გაეროს უშიშროების საბჭომ მოუწოდა საქართველოს შეესრულებინა კოდორის ხეობასთან დაკავშირებით მანამდე მიღწეული შეთანხმებები.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა შემდეგი კომენტარი გააკეთა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციაზე: "საქართველი არ აპირებს ზემო აფხაზეთის ტერიტორიის ერთი სანტიმეტრის დათმობასაც კი. {....} პირიქით, ჩვენ ვაპირებთ გავაგრძელოთ ტერიტორიების შემოერთების პროცესი. ჩვენ ახლა აფხაზეთის 30 %-ს ვაკონტროლებთ და მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით იქ სრული კონტროლის აღდგენას ვაპირებთ". კოდორის ხეობაში ვიზიტისას სააკაშვილმა გამოაცხადა, "ეს არ არის XIX საუკუნე ან XX საუკუნის დასაწყისი, როცა ქვეყნები ხურდასავით ხელიდან ხელში გადადიოდა. ზემო აფხაზეთიდან ჩვენ მთელს მსოფლიოს ვეუბნებით, რომ ჩვენ აფხაზეთში ვართ და აქედან არასოდეს წავალთ."

5 ოქტომბერს კოდორის ხეობაში ადგილობრივი არჩევნები ჩატარდა. არჩევნების წინა დღეს მიხეილ სააკაშვილმა გამოაცხადა, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მალე საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მოექცეოდნენ.

2006 წლის 18 ოქტობერს აფხაზეთის სახალხო კრებამ თხოვნით მიმართა რუსეთის ხელმძღვანელობას ეღიარებინა აფხაზეთის დამოუკიდებლობა და ორ ქვეყანას შორის [რუსეთი და აფხაზეთი] ოფიციალური ურთიერთობი დამყარებულიყო.

28 ნოემბერს დსთ-ს მინსკის სამიტზე საქართველოს პრეზიდენტს ჰქონდა შესაძლებლობა შეხვედროდა თავის რუს კოლეგას, მაგრამ მათი საუბარი მხოლოდ ორმხრივი საყვედურებით შემოიფარგლა.

ზოგადად, 2006 წელი იყო რუსეთთან დაუსრულებელი კონფრონტაციისა და კონფლიქტურ ზონებში ძალთა ბალანსის შეცვლის მცდელობის წელი.

2007 წლის პოლიტიკური კრიზისი

ამასობაში სიტუაცია შევარდნაძის დამხობის წინა პერიოდში განვითარებული მოვლენების მსგავსად განვითარდა. ოპოზიცია ისევ გაერთიანდა და დაიწყო მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციები, სააკაშვილმა კი, შევარდნაძის მსგავსად, ოპონენტების წინააღმდეგ რეპრესიულ ზომებს მიმართა. სააკაშვილის რამდენიმე ყოფილი მოკავშირე ოპოზიციის მხარეს გადავიდა და პრეზიდენტს სხვადასხვა ბრალდება წაუყენა.

მათ შორის იყო ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც თავაცვის მინისტრის პოსტიდან 2006 წლის 10 ნოემბერს გაათავისუფლეს და რომელიც სააკაშვილის ოპონენტებს 2007 წლის სექტემბერში - პოსტის დატოვებიდან ერთი წლის შემდეგ შეუერთდა. იგი გამოვიდა ტელევიზიით და პრეზიდენტი კორუფციასა და პოლიტიკური მეტოქეების მოშორებაში დაადანაშაულა. კერძოდ, მან სააკაშვილს ბრალად დასდო პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას სიკვდილში თანამონაწილოება და ოპოზიციურად განწყობილი ბიზნესმენის, ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის მცდელობა. ოქრუაშვილი მალე დააპატიმრეს, მოგვიანებით მას 6 მილიონი დოლარის ოდენობის თანხის გადახდის საფასურად ქვეყნის დატოვების უფლება მისცეს.

2007 წლის სექტემბერში დედაქალაქში მასობრივი დემონსტრაციები დაიწყო. პატარკაციშვილის ტელევიზია "იმედმა" ეთერით გადასცა ოპოზიციის მოწოდება ხალხისადმი. ოპოზიცია ხალხს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდებდა და მართლაც, 2 ნოემბერს თბილისის ცენტრში 50-დან 100 000-მდე დემონსტრანტი გამოვიდა. ვარდების რევოლუციისას მიღებული გაკვეთილების საფუძველზე, 7 ნოემბერს სააკაშვილმა ხელკეტებით, ცრემლსადენი გაზითა და წყლის ჭავლით დემონსტრაციის დაშლა ბრძანა. შედეგად (სხვადსხვა მონაცემით), 360-600 დემონსტრანტი მოხვდა საავადმყოფოში, ბევრი დააპატიმრეს. დაშავებულებს შორის იყვნენ ოპოზიციის ლიდერები, ჟურნალისტები და სახალხო დამცველიც კი.

ტელევიზიით გამოსვლისას სააკაშვილმა საპროტესტო დემონსტრაცია შეაფასა როგორც კონსტიტუციური წყობის ძალისმიერი მეთოდით გადაგდების მცდელობა, რასაც მისი განცხადებით რუსეთთან ჰქონდა კავშირი. ოპოზიციის რუსეთთან კავშირის საბუთად გამოქვეყნდა აუდიო და ვიდეო ჩანაწერები, რომელზეც აღბეჭდილი იყო ოპოზიციის წევრებისა და რუსი დიპლომატების შეხვედრები. სამი რუსი დიპლომატი "პერსონა ნონგრატად" გამოცხადდა, რასაც რუსეთის მხრიდან ამდენივე ქართველი დიპლომატის ქვეყნიდან გაძევება მოჰყვა. ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, რომელიც დასავლეთის ზეწოლის შედეგად 16 ნოემბერს გაუქმდა.

ზეწოლა მედიაზე გრძელდებოდა. 2007 წლის 7 ნოემბერს პოლიციამ იმედის შენობა დაიკავა. ტელეკომპანიამ მაუწყებლობა დროებით შეწყვიტა. ტელეკომპანიის

მფლობელმა გამოაცხადა, რომ ის მზად იყო მთელი თავისი ფული "ქვეყნის სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმისაგან გასათავისუფლებლად" დაეხარჯა. ორი დღის შემდეგ, საქართველოს პროკურატურამ პატარკაციშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა საქართველოს მთავრობის დამხობის მიზნით შეთქმულების მოწყობის ბრალდებით.

25 ნოემბერს დემონსტრაციები კვლავ გრძელდებოდა. სააკაშვილმა გამოაცხადა, რომ ის გადადგებოდა თავისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე და 2008 წლის 5 იანვარს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდებოდა. არჩევნების შედეგებმა ცხადყო, რომ სააკაშვილის პოპულარობა შემცირდა: ოფიციალური მონაცემებითაც კი მან ხმათა მხოლოდ 53,47 % მიიღო, მაშინ როცა, 4 წლით ადრე მას მოსახლეობის 96,27 % უჭერდა მხარს. საერთაშორისო დამკვირვებლმებმა ევროპარლამენტიდან და ევროსაბჭოდან არჩევნები სამართილანად გამოაცხადეს.

ზოგიერთმა დამკვირვებელმა და ოპოზიციის წევრებმა გამოთქვეს ეჭვი, რომ არჩევნები გაყალბებული იყო და სააკაშვილმა პირველ რაუნდში გამარჯვებისათვის საჭირო ხმებიც ვერ მიიღო. ეჭვს ამყარებდა არამარტო ხმის მიცემის დროს დაფიქსირებული გაყალბების ფაქტები (უპირველეს ყოვლისა ბიულეტენების ჩაყრა), არამედ, ისიც, რომ არჩევნების შედეგები მხოლოდ 9 იანვარს გამოცხადდა. გარდა ამისა, ოთხმა სოციოლოგიურმა კომპანიამ, რომელიც მთავრობისთვის მუშაობდა, ეგზიტ-პოლების ისეთი შედეგები (53.5 %) დადო, რომელიც უმნიშვნელო ცდომილებით ემთხვეოდა ცესკო-ს ოფიციალურ მონაცემებს (53.47 %), მაშინ როცა, ოპოზიციის კანდიდატების შედეგები ოფიციალურისგან დიდად განსხვავდებოდა. მაგალითად, ოპოზიციის ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ მიიღო 25,69 %, ოფიციალური ეგზიტ-პოლით კი, 29,1 %. უკრაინულმა კომპანიამ (ჩომმონ Eуროპეან ჩაუსე (საერთო ევროპული შედეგი)), რომელმაც ალტერნატიული გამოკითხვა ჩაატარა, გამოაცხადა, რომ გაჩეჩილაძემ მიიღო ხმათა 31%, ხოლო სააკაშვილმა 24.4 %. აღსანიშნავია ისიც, რომ ცესკოს შემაჯამებელ ოქმს, რომელიც 13 იანვარს გამოაქვეყნეს ცესკოს 13 წევრიდან მხოლოდ 7 მოაწერა ხელი.

3.5 %-იანი განსხვავება მეორე რაუნდს ნიშნავდა, რომლის დროსაც ერთი კანდიდატის გარშემო გაერთიანებულ ოპოზიციას მეტი შანსი ექნებოდა. პატარკაციშვილი, გამყრელიძე, ნათელაშვილი და სარიშვილი მზად იყვნენ თავიანთი კანდიდატურები გაჩეჩილაძის სასარგებლოდ მოეხსნათ. შესაბამისად, ოფიციალური მონაცემებითაც კი, ის ხმების 43,46 % მიიღებდა.

ოპოზიციამ არჩევნების შედეგების გაუქმებისა და ლევან თარხნიშვილის ცესკოს თავმჯდომარეობიდან გადადგომის მოთხოვნით ახალი კამპანია წამოიწყო. იანვარში ოპოზიციის დემონსტრაციებს 200 000-მდე ადამიანი ესწრებოდა.

სააკაშვილის პასუხი მკაცრი იყო. 2008 წლის 10 იანვარს გენერალურმა პროკურატურამ პატარკაციშვილს, რომელმაც არჩევნებში ხმათა 7.1 % მიიღო, ბრალად წაუყენა ხელისუფლების დამხობის მიზნით შეთქმულების მოწყობა და პოლიტიკურ პირზე თავდასხმისა და ტერორისტული აქტის მოწყობის განზრახვა. პატარკაციშვილი იძულებული გახდა დიდ ბრიტანეთში გაქცეულიყო. 2008 წლის 16 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლომ მას ორთვიანი წინასწარი პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდა. 2008 წლის 13 თებერვალს ცნობილი გახდა, რომ პატარკაციშვილი გულის შეტევით გარდაიცვალა. სისხლის სამართლის საქმე მის წინააღმდეგ იმავე დღეს დაიხურა. გაერთიანებული სამეფოს პოლიცია მკვლელობის ვერსიაზეც მუშაობდა.

საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად ჩატარდა რეფერენდუმი რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარების თაობაზე. მოსახლეობამ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას დაუჭირა მხარი. საპარლამენტო არჩევნები 2008 წლის 21 მაისს ჩატარდა. არჩევნებზე საარჩევნო კანდიდატებისა და პარტიის აქტივისტების დაშინების რამდენიმე ფაქტი დაფიქსირდა. არჩევნებში მონაწილეობა მოსახლეობის 55 %-მა მიიღო. მმართველმა "ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" პროპორციული სისტემით ხმათა 59,4 % მიიღო. ამ არჩევნების შედეგად, ნაციონალურმა მოძრაობამ პარლამენტში ადგილების 2/3 (150 ადგილიდან 119) მიიღო.

ოპოზიციამ ხელისუფლებას ბრალად დასდო არჩევნების შედეგების გაყალბება და გადაწყვიტა პარლამენტში შესვლზე უარი ეთქვა და ამით პარლამენტი ერთპარტიულად ექცია. ამ მოქმედებით მათ რეჟიმის ავტორიტარულობისთვის სურდათ გაესვათ ხაზი. 2008 წლის ივნისში პარლამენტმა 16 ოპოზიციონერ დეპუტატს მანდატი გაუუქმა, მაგრამ "ქრისტიან დემოკრატიული პარტიის" ექვსმა და რესპუბლიკური პარტიის 2 წევრმა პარლამენტში შესვლა გადაწყვიტა.

ბოლო მოვლენები

სააკაშვილმა პირობა დადო, რომ აღადგენდა კონტროლს სამხრეთ ოსეთზე. 2008 წლის 1 აგვისტოს სამხრეთ ოსეთში შეიარაღებული შეტაკებები დაიწყო. 8 აგვისტოს ცხინვალში ქართული შეიარაღებული ძალები შევიდნენ. ამ ნაბიჯს ეწოდა პოლიციის ოპერაცია კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის მიზნით. პასუხად, რუსეთმა თავისი მოქალაქეებისა და რუსი მშვიდობისმყოფელების დაცვის საბაბით სამხრეთ ოსეთში რეგულარული არმიის ნაწილები გაგზავნა. მიუხედავად იმისა, რომ არანაირი სამხედრო ოპერაცია არ ტარდებოდა 9 აგვისტოს რუსული ჯარები აფხაზეთის სეპარატისტულ რეგიონშიც შევიდნენ და კოდორის ხეობა დაიკავეს. რუსეთმა

დაბომბა და დაიკავა სახედრო ბაზები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრების გარეთ და ბუფერული ზონის მიღმაც კი. 12-16 აგვისტოს ევროკავშირის შუამდგომლობით, მიღწეულ იქნა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ამ შეთანხმების მიხედვით თბილისი აღმოჩნდა იმაზე უარეს მდგომარეობაში, ვიდრე ის 7 აგვისტომდე იმყოფებოდა.

უფრო მეტიც, 2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთმა ოფიციალურად აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, ხელი მოაწერა სამხედრო პაქტებს მის მიერ აღიაერბულ ორივე რესპუბლიკასთან და მათ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზები დააფუძნა.

აგვისტოს კონფლიქტის დროს საქართველოს მარცხმა ქვეყნის მთავრობის იმიჯი შეარყია. 2007 წლის 7 ნოემბრის წლისთავზე ოპოზიციამ კიდევ ერთი მასობრივი დემონსტრაცია მოაწყო და სააკაშვილის გადადგომა მოითხოვა, თუმცა, პრეზიდენტი დაჟინებით ამტკიცებს, რომ ის თავისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე არ გადადგება.

საქართველოს მთავრობა ჟურნალისტებისა და ოპოზიციის მიმართ რეპრესიული ზომების გატარებას აგრძელებს და უფრო და უფრო ხშირად მიმართავს საკითხისადმი შევარდნაძისთვის დამახასიათებელ მიდგომას. მაგალითად, “ადამიანის უფლებების საერთაშორისო ფედერაციის” მისიის 2009 წლის 8 მარტის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უარი თქვა ოქრუაშვილის ინტერვიუს გადაცემაზე, რომელსაც განაჩენი დაუსწრებლად გამოუტანეს და რომელიც ემიგრაციაში საფრანგეთში წავიდა. მაუწყებლის მენეჯმენტის წარმომადგენლებმა ან საკითხზე შემდეგი რამ განაცხადეს: - “საზოგადოებრივ მაუწყებელს მიაჩნია, რომ საერთაშორისო სტანდარტების დარღვევა იქნება თუ საეთერო დრო დაეთმობა სახელმწიფოს მიერ ძებნილ მსჯავრდებულებს, მათ შორის, იგორ გიორგაძეს, ირაკლი ოქრუაშვილს, ლევან მამალაძესა და ემზარ კვიციანს”. ეს იმ დროს, როცა იგივე ტელეკომპანია თავად ავრცელებს ნეგატიურ ინფორმაციას ამ ადამიანების შესახებ.

2009 წლის 23 მარტს, გამთენიისას, თბილისსა და ბათუმში, იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ეჭვის საფუძველზე, ნინო ბურჯანაძის მოძრაობა “ერთიანი საქართველოს” 9 აქტივისტი დააკავეს. რამდენიმე დღით ადრე ხელისუფლების წარმომადგლებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ნინო ბურჯანაძის 48 წლის მეუღლე ბადრი ბიწაძე, რომელიც სასაზღვრო პოლიციის ყოფილი ხელმძღვანელი და შინაგან საქმეთა მინისტრიეს ყოფილი მოადგილეა, შეიარაღებულ დაჯგუფებას ქმნიდა ოპოზიციის მხარდასაჭერად. დაპატიმრებულ პირთა შორის იყო ბიწაძის მძღოლი. გავრცელდა ვიდეო ჩანაწერი, რომელზეც ასახულია რამდენიმე დაპატიმრებული ეჭვმიტანილი იარაღის შეძენის დროს ან მაშინ, როცა ისინი იარაღის, პისტოლეტიდან დაწყებული

ყუმბარმტყორცნით დამთავრებული, ყიდვაზე საუბრობდნენ. ოპოზიციის განცხადებით ეს საქმე შეკერილი და პოლიტიკური საფუძვლის მქონე იყო.

2009 წლის აპრილში საგადასახადო ინსპექციამ მთავრობის მიერ ნაჩუქარი სააგარაკო სახლის გამო ნინო ბურჯანაძეს ჯარიმის სახით 1,5 მილიონ ლარზე მეტის გადახდა დააკისრა.

ანგარიშის წერის პერიოდში (2009 წლის ივნისი) ოპოზიციის აქციები და ოპოზიციის აქტივისტების წინააღმდეგ რეპრესიული ზომების გატარება კვლავაც გრძელდებოდა.

III. ინფორმაცია პოლიტიკურ პატიმრებსა და პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგ განხორციელებ რეპრესიებზე

1. ინფორმაცია საქართველოში შესაძლო პოლიტიკური დევნის შესახებ

ა – ადგილობირივი ორგანიზაციების მტკიცება პოლიტიკური დევნის თაობაზე

ადამიანის უფლებათა არასამთავრობო ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიები

საქართველოს სამოქალაქო საზოგადეობაში პოლიტიკურ დევნასთან და პოლიტპატიმრებთან დაკავშირებულ საკითხებს აქტიურად განიხილავენ. ამ საკითხებზე უპირველეს ყოვლისა საუბრობენ პოლიტიკოსები, რადგან სწორედ პოლიტიკური პარტიის წევრებს სდევნიან და აპატიმრებენ.

სამოქალაქო საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებისგან შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა განესაზღვრა იყო თუ არა ესა თუ ის ადამიანი პოლიკური პატიმარი. პირველადი ჩანაფიქრის თანახმად, ეს კომისია უნდა ყოფილიყო მიუკერძოებელი,

დამოუკიდებელი ორგანო, თავისუფალი პოლიტიკური გავლენისაგან, რომლის წევრები იქნებოდნენ გამოჩენილი იურისტები (თეორეტიკოსები, პრაქტიკოსები და ყოფილი მოსამართლეები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და სოციალურ მეცნიერებათა ექსპერტები [10]). არსებობდა იდეა, რომ კომისიას ემუშავა სახალხო დამცველის ოფისის ეგიდით. პირველ რიგში კომისიას უნდა განესაზღვრა უფლებამოსილების არეალი და პროცედურები, რათა ორივე მხარეს - პოლიტპატიმრების სტატუსის მიღების კანდიდატსა და ხელისუფლებას შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, კომისიის წინაშე თავისი მოსაზრებები გამოეხატვის შესაძლებლობა მისცემოდა. იდეის თანახმად კომისია თავის მხრივ წარმოადგენდა თავის დასაბუთებულ მოსაზრებას. კომისიის წევრობის უფლება არ ჰქონდათ შესაძლო პოლიტპატიმრების ადვოკატებს.[11] თუმცა, საბოლოოდ კომისია სხვა სახით ჩამოყალიბდა.

ამჟამინდელი კომისია კონსერვატიული პარტიის[12] ეგიდით მოქმედებს. კომისიის სახელია "კონსერვატიული პარტიის ადამიანის უფლებათა კომისია".[13] კომისიის ხელმძღვანელია კონსერვატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის გენერალური მდივანი კახა კუკავა. კომისიის წევრები იკრიბებიან კონსერვატიული პარტიის სათაო ოფისში.

კომისიის შემადგენლობაში შედიან ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები (მათ შორის, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის", "ადამიანის უფლებათა ცენტრი" და "კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი"). კომისიას არა აქვს განსაზღვრული უფებამოსილების არეალი (მაგალითად, პოლიტიკური პატიმრის განსაზღვრებასთან დაკავშირებით) და პროცედურები.

მისიის წარმომადგენლები დაესწრნენ კომისიის 2009 წლის 20 თებერვლის სხდომას. სხდომის დროს მისიის წევრებ გაეცნენ ომარ ქუცნაშვილის და ლუკა რამაზაშვილის საქმეებს. ქუცნაშვილის საქმე მისმა შვილმა ზაქარიამ წარადგინა. მან აღწერა მამის

---

[10] ლია მუხაშავრიასა და ნინო ციხისთავისგან აღებული ინტერვიუებიდან, 2009 წლის 23 თებერვალი.

[11] იმის გამო, რომ ლია მუხაშავრია რამდენიმე სავარაუდო პოლიტპატიმრის ადვოკატი იყო, მან კომისია დატოვა (ინტერვიუ ლია მუხაშავრიასთან, 2009 წლის 23 თებერვალი).

[12] სოზარ სუბარისთვის ეს მიუღებელი იყო. მისი აზრით, კომისია არ უნდა მოიაზრებოდეს კონსერვატიული პარტიის გავლენის ქვეშ მყოფ ორგანოდ. მან აღნიშნა, რომ კომისია ორჯერ შეიკრიბა მის ოფისში (ინტერვიუ სოზარ სუბართან. 2009 წლის 23 თებერვალი)

[13] http://conservatives.ge/en/?p=351 (accessed on 9 March 2009).

წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის ისტორია. მისთვის კითხვები არ დაუსვამთ, ზაქარია ქუცნაშვილის გამოსვლას არც დისკუსია მოჰყოლია. რამაზაშვილის საქმე კომისიის ერთ-ერთმა წევრმა წარადგინა. საქმეების განხილვის შემდეგ კომისიის სხდომა დროებით დაიხურა. შემდეგ კი, კომისიამ ორივე ადამიანი პოლიტპატიმრად აღიარა.[14]

კომისიის მიერ აღიარებული პოლიტპატიმრების საჯარო სია კონსერვატიული პარტიის ვებ გვერდზეა[15] მოცემულია. ამ სიაში არ არიან იგორ გიორგაძის პარტია "სამართლიანობის" მსჯავრდებული წევრები. თუმცა, მისიას მიაწოდეს პოლიტპატირების კომისიის მიერ დამტკიცებული სხვა სიაც, მასში შეტანილია იმ 12 ადამიანის სახელი, რომელთაც მაია თოფურიასა და სხვათა სასამართლოზე პატიმრობა მიუსაჯეს.

"ადამიანის უფლებათა ცენტრმა", რომელიც ევროსაბჭოს მიერ დადგენილი პოლიტპატიმრის განსაზღვებას იყენებს, გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც აღწერილია 26 პოლიტპატიმრის საქმე.[16] ორი პოლიტპატიმარი, რომლის საქმეც "ადამიანის უფლებათა ცენტრის" ანგარიშში იყო შეტანილი მოგვიანებით გაათავისუფლეს. ლეიბორისტული პარტიის წევრი არჩილ ბენიძე 2009 წლის თებერვლის ბოლოს გაათავისუფლეს უპირობოდ, ხოლო დიმიტრი გოდაბრელიძე 2008 წლის ბოლოს გაათავისუფლეს (გადაიხადა გირაო).

საქართველოს სახალხო დამცველი

საქართველოს სახალხო დამცველი (იგივე ომბუდსმენი) ერთადერთი სახელმწიფო მოხელეა, რომელმაც პოლიტპატიმრების საკითხი წამოჭრა და თავის ბოლო ანგარიშში საქართველოში პოლიტიკური დევნის საკითხსა პოლიტიკური მიზეზის მქონე პატიმრობას[17] 30 გვერდი დაუთმო..

სახალხო დამცველის განმარტებით, პოლიტპატიმარი არის პოლიტიკურად აქტიური ადამიანი, რომელიც დააპატიმრებულ იქნა ყალბი ბრალდებების

---

[14] Ibid.

[15] http://conservatives.ge/docs/political%20prisoners%20en.pdf (accessed on 9 March 2009) and http://conservatives. ge/en/?p=321 (accessed on 9 March 2009).

[16] http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/Political%20Prisoners%20_Eng.pdf.

[17] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2008 პირველი 6 თვის შესახებ ქართულად: http://www.ombudsman.ge/uploads/reports/moxseneba_2008_1naxevari.pdf (accessed on 10 March 2009).

საფუძველზე.[18]კერძოდ სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ სისხლის სამართლის საქმეები აღიძრა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მონაწილეობდნენ პოლიტიკურ შეკრებებსა და შეხვედრებში. სახალხო დამცველის მოადგილის განცხადების თანახმად, პოლიტიკური აქტივისტების დევნას რამდენიმე საერთო მახასიათებელი აქვს, მათ შორისაა, სასამართლოს მიერ მოწმეთა საეჭვო ჩვენებებზე დაყრდნობა და პოლიციის მიერ წინასწარი გამოძიების პერიოდში განხორციელებული ზეწოლის ფაქტების გამოუძიებლობა.[19] სახალხო დამცველის მოადგილის განცხადების თანახმად, ამჟამად შეუძლებელია პოლიტპატიმართა ამომწურავი სიის ჩამოყალიბება, თუმცა, სახალხო დამცველის მოადგილემ პოლიტიკური დაპატიმრების მაგალითებად რევაზ კლდიაშვილის, მერაბ რატიშვილის, ომარ ქუცნაშვილის და ნორა კვიციანის საქმეები დაასახელა.[20]

სახალხო დამცველი "პოლიტიკურს" შემდეგი სახის საქმეებს უწოდებს:

1. ნოემბრის საპროტესტო აქციებში მონაწილეობისათვის დაპატიმრებულთა საქმეები. "ზოგს ნარკოტიკი ჩაუდეს, ზოგს იარაღი. მაგალითად, თამაზ მიჩიაური მხოლოდ იმის გამო დააპატიმრეს, რომ მისი ვაჟი პოლიტიკურად აქტიური იყო. ცხადია, რომ ყველა მათგანი პოლიტპატიმარია". 2008 წლის ანგარიშში ყურადღება არის გამახვილებული მერაბ რატიშვილზე, იოსებ ჯანდიერზე, ილია წურწუმიაზე, ჯონი ჯიქიასა და დიმიტრი გოდაბრელიძეზე.

2. იგორ გიორგაძის მხარდამჭერების საქმეები; საფუძველი - მათი "უკანონო დაკავება". "ჩვენ კვლევის ფარგლებში აღმოვაჩინეთ, რომ მათ საქმეებში ბევრი პროცედურული დარღვევა იყო" [21], - აღნიშნულია ანგარიშში.

3. შალვა რამიშვილი: "საფუძვლიანია ეჭვი, რომ რამიშვილის პირობით გათავისუფლება ან მისი შეწყალება არ მოხდა პოლიტიკური მიზეზით და მისი პატიმრობა არის შურისძიება იმ კრიტიკისათვის, რომელსაც ის მედიის საშუალებით გამოთქვამდა".[22]

---

[18] ინტერვიუ საქართველოს სახალხო დამცველ სოზარ სუბართან. 2009 წლის 23 თებერვალი.

[19] ინტერვიუ საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილესთან Gიორგი ჩხეიძესთან. 2009 წლის 23 თებერვალი.

[20] ინტერვიუ საქართველოს სახალხო დამცველ სოზარ სუბართან. 2009 წლის 23 თებერვალი.

[21] http://www.kavkaz-uzel.ru/newstext/news/id/1203217.html.

[22] http://media.ge/eng/page.php?m=news_detailed&id_numb=3806.

4. მაია თოფურია და კიდევ 11 ადამიანი, რომლებიც შეთქმულების მოწყობის ბრალდებით დააპატიმრეს[23] და რომლებიც ასოცირებულნი იყვნენ ყოფილი უშიშროების მინისტრის და ამჟამად ძებნაში მყოფი იგორ გიორგაძის "სამართლიანობის" პარტიასთან.

5. ნორა კვიციანი - ძებნაში მყოფი ემზარ კვიციანის და.[24]

6. "ეჭვგარეშეა, რომ ბათიაშვილი უკანონოდ დააკვეს, რადგან მტკიცებულებები მის საქმეში სრულიად გაყალბებული იყო."

ბ. პოლიტპატიმრების საერთაშორისო აღიარების საკითხი

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი და ეუთო

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა 2008 წლის ანგარიშში "ადამიანის უფლებათა პრაქტიკის" შესახებ, რომელიც 2009 წლის 25 თებერვალს[25] გამოქვეყნდა, აღიარა, რომ საქართველოში არიან პოლიტპატიმრები. ანგარიშში მოხსენიებულია საქართველოს სახალხო დამცველის მიერ პოლიტპატიმრად აღიარებული 5 ადამიანი და ასევე ირაკლი ბათიაშვილის, მაია თოფურიასა და სხვათა საქმეები. ანგარიშში აღნიშნულია ოპოზიციის მიერ შედგენილი პოლიტპატიმართა 42-კაციანი სიის შესახებ, რომელთაგან 34, ამავე ანგარიშის თანახმად, 2008 წლის ბოლოსთვის გაათავისუფლეს. ანგარიშში ნათქვამია, "ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებდნენ, რომ არიან პოლიტპატიმრები, მაგრამ ხშირად ვერ თანხმდებოდნენ პოლიტპატიმრის ტერმინის განსაზღვრებაზე ან პოლიტპატიმრების საერთო რაოდენობაზე". ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ "პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის განცხადებით, ქვეყანაში არ იყვნენ პოლიტპატმირები".

ეუთო პოლიტიკურ დაპატიმრებებზე საუბრობს თავის ანგარიშებში, რომლებიც 2008 წლის [21] მაისის არჩევნებს ეხება, მაგრამ საკითხს არ განიხილავს დეტალურად.

საქმის წარმოება ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოში

---

[23] http://www.civil.ge/eng/article.php?id=20647.

[24] Ibid

[25] იხილეთ http://www.state.gov/g/drl/rls/hrrpt/2008/eur/119080.htm (2009 წლის 10 მარტი).

ყველა ის საქმე, რომელიც მისიამ შეისწავლა უკვე გაგზავნილია ან უნდა გაიგზავნოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

ევროპულმა სასამართლომ უკვე გამოიტანა განაჩენი საქმეზე რამიშვილი და კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ (ნო. 1704/06, 27.01.2009), რომელიც ეხებოდა ბრალდებულების წინასწარი დაკავების კანონიერებასა და დაკავების პირობებს აღნიშნულ პერიოდში. სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 3 მუხლის დარღვევა, რადგან განმცხადებლები თბილისის მე-5 ციხეში გადატვირთულ საკნებში იმყოფებოდნენ და იმის გამოც, რომ განმცხადებლები სასამართლო პროცესზე რკინის გალიაში ისხდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი, ევროპული სასამართლოს თანახმად, "ცნობილი ადამიანები იყვნენ და მათგან საფრთხე არ მოდიოდა" (პარაგრაფი 101). სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის 1 პარაგრაფის ც პუნქტის დარღვევა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ 2005 წლის 27 ნოემბრიდან 2006 წლის 13 იანვრის ჩათვლით, ე. ი. 6 კვირაზე მეტ ხანს, განმცხადებლები იმყოფებოდნენ პატიმრობაში შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის 4 პარაგრაფის დარღვევა, იმის საფულძველზე, რომ განმხცადებლების საჩივარი მათი დაპატიმრების შესახებ არ იქნა განხილული გონივრულ ვადაში.

თუმცა, განმცხადებლების საჩივრის ის ნაწილი, სადაც კონვენციის მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) და მე-18 (უფლებებზე შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები) მუხლების დარღვევაზე იყო საუბარი, სასამართლომ 2007 წლის 27 ივნისს დაუშვებლად სცნო. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ განმცხადებლების წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის დევნა არ ეწინააღმდეგებოდა კონვენციის ზემოაღნიშნულ მუხლებს. ამის გამო საქართველოს ხელისუფლება ცდილობს დააკნინოს სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელობა და ამტკიცებს, რომ მე-3 მუხლთან დაკავშირებული საკითხები არ არის აქტუალური, რადგან თბილისის მე-5 საპყრობილე დაინგრა.[26] მისიის ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, საქმე შალვა რამიშვილის სასამართლო პროცესისა და განაჩენის თაობაზე უკვე ევროპულ სასამართლოშია.[27]

წინასწარ დაკავებასთან დაკავშირებული საქმეები თოფურია საქართველოს წინააღმდეგ ((ნო. 14694/07) და დავითაია საქართველოს წინააღმდეგ (ნო. 14001/07)

[26] ინტერვიუ თამარ ჩერგოლეიშვილთან. 2009 წლის 23 თებერვალი. ინტერვიუ ლევან გაბუნიასთან 2009 წლის თებერვალი.

[27] ინტერვიუ ლია მუხაშავრიასთან. 2009 წლის 23 თებერვალი.

კომუნიფიცირდა 2008 წლის 18 ივლისს, ხოლო საქმე თალაკვაძე საქართველოს წინააღმდეგ (ნო. 40969/06) კომუნიფიცირდა 2008 წლის 22 იანვარს. დანარჩენი საქმეები კი, რომლებიც ევროსასამართლოს წარედგინა ანგარიშის წერის პერიოდში კომუნიფიცირების წინა ეტაპზე იყო.

2. კონსესუსი პოლიტიკური ოპოზიციის დევნის არსებობის თაობაზე

ა - ადგილობრივი დოკუმენტაცია პოლიტიკური ოპოზიციის დევნის თაობაზე

საქართველოს სახალხო დამცველმა 2008 წლის 13 დეკემბრის გამოსვლაში პარლამენტის წინაშე, ოპოზიციის პოლიტიკური დევნა დაგმო.

სახალხო დამცველმა შეისწავლა 2008 წლის არჩევნების შემდეგ ოპოზიციის წევრების წინააღმდეგ რეპრესიების განხორციელების 14 საქმე[28]. საქმეები ეხებოდა ნიღბიანი ხალხის თავდასხმებს ოპოზიციის წარმომადგენლებზე. სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, თავდასხმებსა და მსხვერპლთა პოლიტიკურ აქტივობას შორის კავშირზე თავად თავდამსხმელები საუბრობდნენ. არსებობს რამდენიმე მაგალითი, მათ შორის ნონა ცაგარიეშვილის შემთხვევა, როცა თავდამსხმელებმა მოსთხოვეს მას თავისი პოლიტიკური საქმიანობის შეწყვეტა და არც დაუმალავთ, რომ ისინი დაკავშირებულნი იყვნენ სამართალდამცავ სტრუქტურებთან (ამ შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ დეპარტამენტთან). 2008 წლის დეკემბრისთვის არც ერთი ეს საქმე არ იყო გამოძიებული.

ბ - საერთაშორისო დოკუმენტაცია პოლიტიკური ოპოზიციის დევნის თაობაზე

2008 წლის მაისში საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შესახებ მომზადებულ ანგარიშში ეუთო მმართველი პარტიის მიერ ოპოზიციის დევნის შესახებ საუბრობს.

ეუთოს ოფიციალური შეფასების მიუხედავად, რომლის თანახმადაც "საერთო ჯამში, საქართველოს მოსახლეობას ამ არჩევნების დროს შესაძლებლობა ჰქონდა მრავალი კანდიდატიდან თავისი წარმომადგენლები აერჩია", ორგანიზაციამ ღრმა შეშფოთება გამოთქვა ხელისუფლებისა და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის"

[28] მამუკა კვარაცხელია, რამინ აბულაძე, დავით საზანიშვილი, ამირან იობაშვილი, ნუგზარ ხუცურაული, გიორგი შერვაშიძე, ბორის ჯანაშვილი, ლევან ჯღარკავა, ლევან გვარჯალაძე, დავით მეტრეველი, იოსებ ბორცვაძე, ზურაბ გიგუაშვილი და ნონა ცაგარეიშვილი.

წარმომადგენლების მიერ ოპოზიციის მიმართ ჩადენილი დარღვევების გამო. მრავალი საარჩევნო დარღვევიდან რამდენიმე მიანიშნებს, რომ არსებობდა საქართველოს ხელისუფლებისა და ნაციონალური მოძრაობის მიერ პოლიტიკური ოპოზიციის მიმართ რეპრესიების განხორციელების მზარდი ტენდენცია. ეს განსაკუთრებით ეხება ოპოზიციის კანდიდატებსა და აქტივისტებზე თავდასხმებს.

"ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია" ხაზს უსვამს, რომ ეუთოს სადამკვირვებლო მისიამ დააფიქსირა ფაქტები, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები დაპატიმრებით იმუქრებოდნენ და ციხიდან პატიმრის გამოშვებით ვაჭრობდნენ და ეს პირდაპირ იყო დაკავშირებული ოპოზიციის საქმიანობასთან.

ეუთოს სადამკვირვებლო მისიამ ოპოზიციური პარტიის წარმოამდგენელთა უფლებების შემდეგი სახის დარღვევები დააფიქსირა:

- ხელის შეშლა ოპოზიციის საარჩევნო კამპანიისთვის [29]
- ოპოზიციის უფლების დარღვევა ჩაეტარებინა საარჩევნო კამპანია
- პოლიტიკური ზეწოლა "ნაციონალური მოძრაობის" მხრიდან არჩევნების დღეებში
- ზეწოლა ოპოზიციის კანდიდატებსა და აქტივისტებზე [30]

---

[29] "სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის, კახეთში, იმერეთში და აჭარაში ინფორმაცია ოპოზიციის კამპანიისთვის ხელის შეშლის შესახებ რამდენჯერმე გავრცელდა. ეუთოს სადამკვივებლო მისიისთვის ეს ინფორმაცია დამაჯერებელი იყო. მაგალითად, ქუთაისში "ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის" დაგეგმილი შეხვედრის წინ, რომელიც სპორტულ მოედანზე უნდა შემდგარიყო, ორი ადგილობრივი ჩინოსანი დაემუქრა ხალხს, თუ ისინი დაესწრებოდნენ შეხვედრას მათ ადგილობრივი ადმინსიტრაციის მიერ გამოყოფილი შეღავათები მოეხსნებოდათ. მათ ასევე განაცხადეს, რომ "ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია" "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ აშენებულ სპორტულ მოედანზე ვერ ჩაატარებდა შეხვედრას"- ეუთოს ადამიანის უფლებათა და დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიის მიერ 2008 წლის 21 მაისის საპრლამენტო არჩევნებზე მომზადებული საბოლოო ანგარიშიდან.

[30] "იყო შემთხვევები, მაგალითად კახეთში, მცხეთა-მთიანეთის ნაწილში, შიდა ქართლში, იმერეთში, გურიასა და აჭარაში, რომელთაგან რიგი შეთხვევებისა დადასტურდა, როცა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ზეწოლას ახდენდნენ ოპოზიციის მხარდამჭერებზე, რათა ამ უკანასკნელებს საარჩევნო კამპანია შეეწყვიტათ. მასწავლებლებზე ხორციელდებოდა ზეწოლა: არის რამდენიმე დადასტურებული შემთხვევა, როცა სკოლის დირექტორები და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი სახელმწიფო მოხელეები მასწავლებლებს ემუქრებოდნენ, თუ ისინი არ შეწყვეტდნენ ოპოზიციური პარტიებისთვის მუშაობას, სამუშაოს დაკარგავდნენ. მაგალითად, კახეთში ერთი მასწავლებელი, რომელმაც "ნაციონალური მოძრაობა" დატოვა და რესპუბლიკურ პარტიაში გაწევრიანდა, დირექტორმა გააფრთხილა, რომ თუ ნაცმოძრაობაში არ დაბრუნდებოდა სამსახურიდან დაითხოვდნენ, ხოლო ნაცმოძრაობის ადგილობრივმა კანდიდატმა მას ხელფასის გაორმაგება

- პოლიტიკურად მოტივირებული დაპატიმრებები და გარიგება გათავისუფლებისათვის [31]
- არ იყო განცალკევებული სახელმწიფო და პარტიული კამპანიები [32]
- თავდასხმები ოპოზიციის აქტივისტებზე [33]
- საარჩევნო წესების დარღვევების საწინააღმდეგო ეფექტური იურიდიული საშუალებების არარსებობა [34]

შესთავაზა, თუ ნაცმოძრაობაში დაბრუნდებოდა." ეუთოს ადამიანის უფლებათა და დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიის მიერ 2008 წლის 21 მაისის საპრლამენტო არჩევნებზე მომზადებული საბოლოო ანგარიშიდან.

[31] ."იყო ასევე ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფი ადამიანების ნათესავებს ეუბნებოდნენ, თუ სურდათ ნათესავების გათავისუფლება, ნაცმოძრაობის სასარგებლოდ ხმები უნდა შეეგროვებინათ. სანდო მოწმემ ეუთოს სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ ნაცმოძრაობის კანინდატმა თბილისში უთხრა ერთ ქალბატონს, რომ მის დაპატიმრებულ შვილს გაათავისუფლებდნენ თუ ის ნაცმოძრაობას რამდენიმე ასეულ ხმას შეუგროვებდა. გურიაში ახალგაზრდა მამაკაცების ჯგუფი წაიყვანეს პოლიციაში და გააფრთხილეს, რომ მათ დააპატიმრებდნენ თუ ნაცმოძრაობისთვის მხარდამჭერ ხმებს არ შეაგროვებნენ." ეუთოს ადამიანის უფლებათა და დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიის მიერ 2008 წლის 21 მაისის საპრლამენტო არჩევნებზე მომზადებული საბოლოო ანგარიშიდან.

[32] "სახელმწიფო და პარტიული საქმიანობა ხშირად არეული იყო. მაგალითად, ზოგჯერ მთავრობის სოციალური პროგრამები, როგორიც იყო მაგალითად სოფლებში გაზის ვაუშერის დარიგება, ნაცმოძრაობის კამპანიასთან იყო არეული. ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობიების მტკიცებით, ნაცმოძრაობის წევრი სახელმწიფო მოხელეები ხალხის მოსყიდვას ცდილობდნენ სოფლებში ფქვილის დარიგების, ბავშვებისთვის ტკბილეულის გადაცემის და სხვათა საშუალებით." ეუთოს ადამიანის უფლებათა და დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიის მიერ 2008 წლის 21 მაისის საპრლამენტო არჩევნებზე მომზადებული საბოლოო ანგარიშიდან.

[33] არჩევნების შემდგომ პერიოდში უცნობი ადამიანები თავს ესხმოდნენ ოპოზიციის აქტივისტებს. თავდასხმები ყოველ დღე 29 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით ყოველ დღე ხდებოდა. გაერთიანებული ოპოზიციის მონაცემებით ამ პერიოდში 13 თავდასხმა მოხდა. სახალხო დამცველმა გააკეთა განცხადება, რომელშიც მსგავსი თავდასხმები დაგმო. თავდასხმის მსხვერპლთა დიდი ნაწილი საარჩევნო დარღვევების წინააღმდეგ გამოდიოდა და კანონიერების აღდგენას ითხოვდა. "ეუთოს ადამიანის უფლებათა და დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციის" სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები 7 დაშავებულ აქტივისტს ესტუმრნენ და დაადასტურეს, რომ 6 მათგანი ნაცემი იყო (მეშვიდეს მანქანა დაეჯახა). გაერთინაებული ოპოზიციის ერთ-ერთმა კანდიდატმა ფეხის მოტეხილობა მას შემდეგ მიიღო, რაც უცნობმა თავდამსხმელებმა აიძულეს მანქანა გაეჩერებინა." ეუთოს ადამიანის უფლებათა და დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიის მიერ 2008 წლის 21 მაისის საპრლამენტო არჩევნებზე მომზადებული საბოლოო ანგარიშიდან.

[34] ზოგადად არ არსებობდა ნება საარჩევნო ადმინისტრაციისა და სასამართლოების მხრიდან საჩივრების სერიოზულად, მიუკერძოებლად განხილვისთვის. უმეტეს შემთხვევაში, მათ ჯერონად არ

- ოპოზიციის საჩივრების განხილვის დროს სასამართლო არ იყო დამოუკიდებელი
- მედია ფაქტებს მიკერძოებულად აშუქებდა.

გ. ინფორმაცია არასამართლიანი სასამართლო პროცესებისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის არასაკმარისობის შესახებ

მისიის წარმომადგენლებმა მოისმინეს მოსაზრებები სასამართლოს არასაკმარისი დამოუკიდებლობის შესახებ, თუმცა, ეს მოსაზრებები მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში იყო მტკიცებულებებით გამყარებული.

სასამართლოს სტატისტიკა სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით შეშფოთებას იწვევს.[35] სტატისტიკის თანახმად, 2008 წელს სასამართლოს პირველმა ინსტანციამ 15 052 სისხლის სამართლის საქმე განიხილა. აქედან 25 შემთხვევაში დადგა გამამართლებელი განაჩენი, 231 საქმე შეწყდა სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის დანაშაულის მტკიცებულების არარსებობის, დანაშაულის ხანდაზულობის და სხვა მიზეზთა გამო. საბოლოო ჯამში საქმეთა 98,3 %-ში გამამტყუნებელი განაჩენი დადგა.

ასეთი სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით, ლოგიკურია, რომ ბრალდებულები საპროცესო გარიგებას თანხმდებიან, რადგან იციან, რომ თუ სასამართლოს წინაშე წარდგებიან გამამტყუნებელი განაჩენი არ ასცდებათ. ამავე დროს პროკურატურის წარმომადგენლებისთვის ასეთი სტატისტიკური მონაცემები შვებას წარმოადგენს, რადგან ისინი სასამართლოში თითქმის ყველა საქმეს იგებენ იმისდა მიუხედავად თუ რა ხარისხის სამხილებს წარადგენენ სასამართლოს წინაშე. ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს როცა სისხლის სამართლის საქმეებს, მათ შორის ამ ანგარიშში მოცემულ საქმეებს განვიხილავთ.

განიხილეს საქმეები და აშკარად მიკერძოებულები იყვნენ მმართველი პარტიის და საჯარო მოხელეების სასარგებლოდ. სხვასახვა საქმეში სასამართლოები უარს ამბობდნენ მოწმეების მოსმენაზე და სამხილები ხილვაზე, არ განიხილავდნენ მნიშვნელოვან ფაქტებს, ახდენდნენ კანონის არაგონივრულ ინტერპრეტაციას, კანონს უგულვებელყოფდნენ და/ან არ წარმოადგენდნენ განაჩენის სრულყოფილ, ნათელ და ფაქტობრივ, იურიდიულ დასაბუთებას." ეუთოს სადამკვირვებლო მისიის მიერ 2008 წლის 21 მაისის საპრლამენტო არჩევნებზე მომზადებული საბოლოო ანგარიშიდან.

[35] http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=1081&lang=2.

IV. მისიის მიერ გამოკვლეული რვა საპილოტო საქმის აღწერა

1. ნორა კვიციანის საქმე

ნორა კვიციანი, სვანი-ქართველი, დაიბადა 1948 წლის 1 დეკემბერს გულრიფშში და ცხოვრობდა კოდორის ხეობის სოფელ ჩხალთაში. პროფესიით ეკონომისტია. ხეობაში ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლის არყოფნის დროს თვითნებურად ასრულებდა გამგებლის ფუნქციებს, რა დროსაც ცდილობდა გადაეჭრა ადგილობრივი სვანების სოციალური და ეკონომიკური პრობლემები. ამჟამად ის იმყოფება ქალაქ რუსთავის ნომერ პირველ საპყრობილეში და აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები (ინტრაკრანიული წნევა).

დივიზიონი "მონადირე"

ნორა კვიციანის წინააღმდეგ არსებული ზოგიერთი ბრალდება დივიზიონ "მონადირეს" საქმიანობას უკავშირდება, რომელიც მისმა ძმამ ემზარ კვიციანმა 1992 წელს საქართველო-აფხაზეთის ომის დროს ჩამოაყალიბა.

1998 წლის 25 ივლისს, დივიზიონი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში ბატალიონის სახით გადავიდა. ბატალიონის წევრებმა მიიღეს იარაღი და ხელფასი. ამ უკანასკნელით მათ შესაძლებლობა მიეცათ საყოველთაო უმუშევრობის დროს ოჯახის წევრები შეენახათ. ბატალიონმა ადგილობრივი მოსახლეობის დაცვა აიღო საკუთარ თავზე.

ემზარ კვიციანი პატივისცემის ნიშნად შევარდნაძის წარმომადგენელად დაინიშნა კოდორში 1999 წელს. 2003 წლის ნოემბრის მოვლენების დროს ემზარ კვიციანმა შევარდნაძის მხარე დაიჭირა; ამის შედეგად 2004 წლის დეკემბერში, ის პრეზიდენტის რწმუნებულის თანამდებობიდან გადააყენეს, ხოლო ბატალიონის მეთაურის თანამდებობიდან 2005 წლის აპრილში დაითხოვეს. იმავე თვეს, თავდაცვის მინისტრმა ოქრუაშვილმა ბატალიონი "მონადირე" დაშალა, უწოდა რა მას უსარგებლო სამხედრო ნაწილი, რომლის ჩანაცვლება რეგულარული სამხედრო ნაწილით ადვილად შეიძლებოდა.[36]

[36] www.memo.ru/hr/hotpoints/caucas1/msg/2005/04/m44964.htm

2006 წლის 22 ივლისს, კვიციანმა მოითხოვა ძალოვანი მინისტრების მოხსნა, რომლებიც მისი მტკიცებით, რეპრესიულ ზომებს ატარებდნენ. ის დაემუქრა ოფიციალურ თბილისს სამოქალაქო დაუმორჩილებლობით და საჭიროების შემთხვევაში შეიარაღებული წინააღმდეგობითაც.[37] პასუხად, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ 23 ივლისს ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კვიციანი კოდორში რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელს და აფხაზეთის თავდაცვის მინისტრს შეხვდა (რასაც სამივე უარყოფს) და რომ კვიციანი "ვიღაცის დამქაში ან უარეს შემთხვევაში რუსეთის უშიშროების სამსახურის ბრძანებების ზუსტი შემსრულებელი" იყო. ამ განცხადების მართებულობის შემთხვევაში, კოდორის ხეობაში პოლიციური ოპერაციის ჩატარების საჭიროების საკითხი დგებოდა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ უკვე აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე [კვიციანის წინააღმდეგ]. უნდა ითქვას ისიც, რომ სამინისტროს არ მიუთითებია სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლებით აღიძრა საქმე. კვიციანმა განაცხადა, რომ "ხეობაში არცერთ იარაღიან ადამიანს არ შეუშვებდა და ადგილობრივი მოსახლეობის განიარაღების მცდელობის შემთხვევაში, მზად იყო გაეწია შეიარაღებული წინააღმდეგობა".[38]

24 ივლისს, მან კონფლიქტის მოგვარების მიზნით საქართველოს პრემიერ მინისტრთან, ეკონომიკის განვითარების მინისტრთან, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მოადგილესთან და საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელთან შეხვედრის მზადყოფნა დააფიქსირა. ამავე დროს კვიციანმა პარლამენტს ვანო მერაბიშვილის შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნაზე უარის თქმა მოსთხოვა.[39] პრეზიდენტის რეაქცია ამაზე მყისიერი იყო. მან კვიციანს უწოდა "ბანდიტი", რომლისთვისაც "დიდი ხნის წინათ უნდა მოევლოთ", და რომ პრეზიდენტი უჩვენებდა მას "ვინ არის უფროსი". ერთადერთი საკითხი რაზეც პრეზიდენტს სურვილი ჰქონდა მოლაპარაკებები ეწარმოებინა, იყო "რომელ საკანში და რა პირობებში გადაიყვანდნენ კვიციანს ნომერ მეხუთე საპყრობილეში".[40] პრეზიდენტის კომენტარების შემდეგ ოფიციალურმა პირებმა, უარი თქვეს კვიციანთან რაიმე სახის მოლაპარაკებაზე.[41]

---

[37] http://lenta.ru/news/2006/07/27/operation/

[38] http://lenta.ru/news/2006/07/23/kodori/

[39] http://lenta.ru/news/2006/07/24/talks/

[40] http://lenta.ru/news/2006/07/24/mother/

[41] http://lenta.ru/news/2006/07/25/mother1/

25 ივლისს საქართველოს რეგულარული ჯარის დაახლოებით 800 წევრი და პოლიცია ხეობაში შევიდნენ. იმ დღეს ადგილობრივი უხუცესები კვიციანთან იყვნენ შეიკრიბილები ხელისუფლებასთან მისი [კვიციანის] კონფლიქტის განსახილველად.[42] მოლაპარაკებები არ აღმოჩნდა შედეგიანი და საღამოს ორივე მხრიდან გაისმა სროლის ხმა. იმავე დღეს, ალექსანდრე ლომაიამ, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა, გამოაცხადა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სპეციალურ ოპერაციას ატარებდა კოდორის ხეობაში და დაიმუქრა, რომ გაანადგურებდნენ ყველას "ვინც შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაუწევდა ხელისუფლებას".[43]

ამ კრიზისის დროს, ოპოზიციონერი პოლიტიკოსი და საქართველოს სახელწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრი ირაკლი ბათიაშვილი რამდენჯერმე ესაუბრა კვიციანს ტელეფონით. მან ურჩია კვიციანს მოეწოდებინა ჯარისკაცებისთვის, რომლებიც გააგზავნეს ხეობაში, "არ ესროლათ თავიანთი ძმებისთვის". მიუხედავად იმისა, რომ ბათიაშვილს პრესისთვის არ დაუმალავს კვიციანთან კონტაქტის ფაქტი, აღმოჩნდა, რომ მისი ტელეფონი ისმინებოდა პოლიციის მიერ. ხელისუფლებამ [კვიციანის და ბათიაშვილის] საუბარი აჯანყების "ინტელექტუალურ მხარდაჭერად" აღიქვა.[44] 2006 წლის 29 ივლისს, ბათიაშვილი დააკავეს. მართალია სასამართლოს მსვლელობის დროს დადგინდა, რომ სატელეფონო ჩანაწერი გაყალბებული იყო, მაგრამ ამის მიუხედავად, ბათიაშვილს 2007 წლის მაისში, 7 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.[45] ოპოზიციის წევრები გამუდმებით ითხოვდნენ მის გათავისუფლებას. 2007 წლის ნოემბერში მის მხარდასაჭერად საპროტესტო აქციები გაიმართა. ოპოზიციის მოთხოვნების საპასუხოდ, 2008 წლის 11 იანვარს, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ ხელი მოაწერა ბრძანებას ბათიაშვილის შეწყალების თაობაზე.[46]

2006 წლის 26 ივლისს, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა კვიციანის წინააღმდეგ სამშობლოს ღალატის, უკანონო სამხედრო დაჯგუფების შექმნის, ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის და გამოყენების ბრალდებით. თბილისის საქალაქო სასამართლომ მისი დაპატიმრების ბრძანება

---

[42] http://lenta.ru/news/2006/07/25/troops1/

[43] http://lenta.ru/news/2006/07/25/specoperation/

[44] ინტერვიუ ირაკლი ბათიაშვილთან. ასევე იხილეთ:
http://misc.cmmp.ru/text.aspx?fileName=47876370BB01F.HTML

[45] http://lenta.ru/news/2007/05/23/jail/

[46] http://lenta.ru/news/2008/01/11/free/

გასცა. გაკეთდა განცხადება, რომ ყველა, ვინც მონაწილეობას იღებდა კოდორის მოვლენებში, სასამართლოს წინაშე წარსდგებოდა.[47]

მთავრობის შეიარაღებული ძალების რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, კვიციანმა და მისი მხარდამჭერების ჯგუფმა მიმალვა მოახერხეს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მის შესახებ ინფორმაციის სანაცვლოდ 100 000 ლარის ოდენობის (დაახლოებით 55 000 ამერიკული დოლარი)[48] ჯილდო დააწესა. იძებნებოდა ასევე მისი დისშვილი ბაჩო არღვლიანი. გარდა ამისა, შეიქმნა ცხელი ხაზი კვიციანის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად.[49] კვიციანმა გაავრცელა ვიდეო ჩანაწერები, რომელიც ადასტურებდა, რომ ის კოდორში იყო და ბრძოლისთვის ემზადებოდა.[50] მან განაცხადა, რომ "საქართველოს სააკაშვილზე და მის მთავრობაზე უფრო დიდი მტერი არ ჰყავს". მან მოსახლეობას გაერთიანებისა და სააკაშვილის საქართველოდან გაძევებისაკენ მოუწოდა.[51]

სპეცოპერაციის მიმდინარეობის დროს მოკლულებისა და დაჭრილების შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ გავრცელებულა. რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაჭრილთა და მოკლულთა უმეტესობა კოდორიდან გაიყვანეს. გარდა ამისა, საქართველოს საპარლამენტო ოპოზიციის წევრებმა განაცხადეს, რომ "საქართველოს უშიშროების ძალების დანაკარგი სულ მცირე 50 ადამიანს შეადგენდა".

გარდა ამისა გავრცელდა ინფორმაცია, რომ მსხვერპლი იყო კოდორის მშვიდობიან მოსახლეობაშიც.[52] კერძოდ, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სოფელ ჩხალთაში აჯანყების ლიდერის და მისი ნათესავების სახლების დაცხრილვის დროს მოკლული იქნა ერთი ქალი.[53]

მიუხედავად იმისა, რომ 2006 წლის 27 ივლისს ოპერაცია დასრულებულად გამოცხადდა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოგვიანებით განაცხადეს, რომ

---

[47] http://lenta.ru/news/2006/07/26/traitor/

[48] http://lenta.ru/news/2006/07/25/mother1/

[49] http://lenta.ru/news/2006/07/27/kvitsiani/

[50] www.regnum.ru/news/706913.html

[51] http://subscribe.ru/archive/tv.news.1tv.odnako/200703/22055443.html

[52] http://lenta.ru/news/2006/07/27/kvintsiani/

[53] http://lenta.ru/news/2006/07/27/operation1/

კოდორის ტყეებში 70 აჯანყებულს კვლავ ეძებდნენ.[54] ოპერაციის დასრულების შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაწილი ხეობაში დარჩა წესრიგის შესანარჩუნებლად.

იმავე დღეს (27 ივლისს) სააკაშვილმა განაცხადა, რომ აფხაზეთის განდევნილი მთავრობა და პარლამენტი, რომელიც თბილისში 1993 წლიდან იმყოფებოდა, კოდორში გადადიოდა. "ამ გადაწყვეტილებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რადგან {....} აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა ამ ტერიტორიას საქართველოს იურისდიქციაში დააბრუნებს".[55] 2006 წლის სექტემბერში, პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძანებით კოდორის ხეობას სახელი შეუცვალეს და "ზემო აფხაზეთი" დაარქვეს.[56] სავსებით შესაძლებელია, რომ დივიზიონ "მონადირეს" განიარაღების ოპერაცია დაკავშირებული იყო უკვე არსებულ გეგმასთან, რომელიც მიზნად ამ ნაბიჯის გადადგმას ისახავდა.

სააკაშვილმა მთავრობას კოდორში ფართომასშტაბიანი მშენებლობის დაწყება უბრძანა, რათა არამარტო ადგილობრივ მოსახლეობას, არამედ მეზობლად, აფხაზეთში მცხოვრებ მოსახლეობასაც ენახა შედეგი. კვიციანმა აღნიშნა, რომ ხეობაში კონფლიქტის თავიდან აცილება შეიძლებოდა ცენტრალურ მთავრობას რეგიონისთვის უფრო ადრე რომ მიექცია ყურადღება. პარლამენტის წევრმა გოჩა ფიფიამ განაცხადა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა უკმაყოფილო იყო, რადგან "რამდენიმე წლის განმავლობაში თბილისში არავინ აქცევდა ყურადღებას ამ რეგიონს, სადაც ცხოვრება საკმაოდ მძიმეა კლიმატური პირობების გამო". ფიფიას განცხადებით, ხალხი იძულებული იყო დაეზიანებინა კავკასიონის მაღალი ძაბვის ხაზი, რათა ხელისუფლებას კოდორიდან პაციენტების ტრანსპორტირებისთვის ხეობაში ვერტმფრენი გაეგზავნა.[57]

რეპრესიები ნათესავების წინააღმდეგ

კვიციანის ნათესავებისა და მეგობრების წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიები ნათელს ხდის ოპერაციის პოლიტიკური მოტივს.

---

[54] http://lenta.ru/news/2006/07/28/search/

[55] http://lenta.ru/news/2006/07/27/saakashvili/

[56] http://lenta.ru/news/2006/09/27/kodori/

[57] http://lenta.ru/news/2006/08/15/build/

2006 წლის აგვისტოს დასაწყისში ფინანსურმა პოლიციამ ქალაქ ფოთში დახურა სუპერმარკეტი და რესტორანი, რომელიც ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, თავდაპირველად კვიციანს ეკუთვნოდა და რომელიც იმ დროს ოფიციალურად შპს. ვარდის უბნის კუთვნილება იყო.[58] ფინანსურმა პოლიციამ შპს-ს ფინანსური დოკუმენტების კონფისკაცია მოახდინა. 2007 წლის იანვრის ბოლოს, ზუგდიდის საქალაქო სასამართლომ კვიციანის მთლიანი ქონების კონფისკაციის გადაწყვიტილება მიიღო. ჩამორთმეული ქონება თბილისის შემოსასვლელში მდებარე ბენზინ-გასამართი სადგურისა და კვიციანის ნათესავების სახელზე დარეგისტრირებული ორი ბინისაგან შედგებოდა. ნათესავები ბინებიდან დაუყოვნებლივ გამოასახლეს და გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლებაც არ მისცეს.[59]

ყველაზე მკაცრი სასჯელი შეეხო კვიციანის დას ნორა კვიციანს. დივიზიონ "მონადირეს" წინააღმდეგ ჩატარებული ოპერაციის დროს ნორა კვიციანს არ დაუტოვებია თავისი სოფელი. მან სატელეფონო ინტერვიუში მთავრობის ქმედებები გააკრიტიკა. 2006 წლის 29 ივლისს, გამთენიისას ის დააპატიმრეს. სამართალდამცავებს მისთვის დაპატირების ორდერი არ წარუდგენიათ.[60] მას ბრალად ძმასთან ერთად უკანონო სამხედრო დაჯგუფების შექმნა ედებოდა. ამ ბრალდების საფუძველი გახდა სატელეფონო ზარი უშიშროების ერთ-ერთ თანამშრომელთან. ამ ზარის ავტორმა უშიშროების თანამშრომელს აცნობა, რომ დაინახა როგორ მოძრაობდა ხეობაში შეიარაღებული ნორა კვიციანი.

კვიციანის დაცვის მხარის განცხადებით, საქმის ოქმი გაყალბებული იყო, რადგან ზემოაღნიშნულ სატელეფონო ზარსა და პოლიციის მისვლას შორის არსებული დროის მონაკვეთში ნორა კვიციანი ვერ შეძლებდა კოდორის ხეობიდან თბილისში ჩამოსვლას. ამ მანძილის დაფარვას კარგ ამინდში 16 საათი სჭირდება (ისეთ წვიმიან ამინდში კი, როგორიც 2006 წლის ივლისის ბოლოს იყო, ამ გზის დაფარვას უფრო მეტი დრო დასჭირდებოდა). ნორა კვიციანი 29 ივლისს, ღამის 00:35 საათზე დააკავეს, ხოლო დაკავების ორდერი მოგვიანებით, დილის 5:30 საათზე გამოსცეს. კვიციანის დაცვის მხარის მტკიცებით, პროცედურული თვალსაზრისით, დაკავების კანონიერება საეჭვოა.

ნორა კვიციანის სახლის ჩხრეკისას იპოვეს იარაღი, რომელიც მისი [ნორა კვიციანის] განცხადებით, მის ძმას და ვაჟს ეკუთვნოდა. მიუხედავად ამისა, ნორა კვიციანს

---

[58] http://lenta.ru/news/2006/08/03/supermarket/

[59] http://lenta.ru/news/2007/02/01/seize/

[60] ინტერვიუ პატა ბუჩუკურთან

ბრალად იარაღის უკანონოდ ფლობა და უკანონო სამხედრო დაჯგუფების მეთაურობა წაუყენეს. თუმცა, არც გამოძიების და არც სასამართლო განხილვის დროს ხელისუფლების წარმომადგენლებს არ უცდიათ დაედგინათ ნორა კვიციანის გარდა კიდევ ვინ შედიოდა ამ დაჯგუფებაში.[61]

მოგვიანებით, 2006 წლის 19 აგვისტოს, ნორა კვიციანს კიდევ ერთი ბრალდება წაუყენეს: 75 000 ლარის ღირებულების (დაახლოებით 41 000 ა.შ.შ. დოლარი) "სახელმწიფო საკუთრების" – ჰუმანიტარული დახმარების მითვისება 2005 წელს. თუმცა, იმავე თვეს, სოფელ ჩხალთის მოსახლეობა შეიკრიბა, რათა სასამართლოში წარედგინათ განცხადება იმის თაობაზე, რომ მათ მიიღეს ჰუმანიტარული დახმარება. ისინი მზად იყვნენ მოეწყოთ მასობრივი შიმშილობის აქცია პროტესტის ნიშნად.[62]

ეს განცხადება სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო. ამ მოვლენებამდე კონტროლის პალატამ დაადასტურა ჰუმანიტარული დახმარების დარიგება და არ აღმოუჩენია რაიმე დარღვევა.[63]

სასამართლომ ნორა კვიციანის ადვოკატის, პაატა ბუჩუკურის არაერთი შუამდგომლობა უარყო.[64] ამის გამო, დაცვის მხარემ მოსამართლის აცილება მოითხოვა, მაგრამ არცეს მოთხოვნა დააკმაყოფილდა.

ბრალდების სამი მოწმიდან ორმა (ჩხეტიანმა და წულუკიძემ) შეცვალა პირველადი ჩვენებები, რის შედეგადაც მათ მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო.[65] მესამემ (არკანიამ) უბრალოდ უარი თქვა ჩვენების მიცემაზე. ადვოკატის შუამდგომლობა იმ გამომძიებელის დაკითხვის თაობაზე, რომელმაც მოწმეებს ცრუ ჩვენების მიცემა აიძულა არ დაკმაყოფილდა. გარდა ამისა, სასამართლო ბრალდების მოწმეთა პირველად ჩვენებებს დაეყრდნო.

სასამართლომ ნორა კვიციანი დამნაშავედ ცნო ქონების მითვისებაში (სისხლის სამართლის კოდექსის 182-3 მუხლები), უკანონო სამხედრო ჯგუფის ხელმძღვანელობაში (სისხლის სამართლის კოდექსის 223-1 მუხლები),

---

[61] ინტერვიუ მაია არღვლიანთან

[62] http://lenta.ru/news/2006/08/20/kvitsiani/

[63] "საზოგადოებირივი კომიტეტი ადამიანის უფლებებისთვის", 23.01.2009.

[64] "ადამიანის უფლებათა ცენტრი" პოლიტიკური პატიმრები საქართველოში (2009)

[65] "საზოგადოებირივი კომიტეტი ადამიანის უფლებებისთვის" 23.01.2009.

ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა-ტარებაში (სისხლის სამართლის კოდექსის 236-2 მუხლები). მას 6,5 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

მისიის დასკვნა

მისიამ დასკვნის თანახმად დაადგინა რომ:

• ნორა კვიციანის დაკავება და დაპატიმრება გამოწვეული იყო ემზარ კვიციანის ნათესავების წინააღმდეგ განხორციელებული ფართო რეპრესიებით

• ნორა კვიციანის ადვოკატი ამტკიცებს, რომ კვიციანის დაკავებისას სამართალდამცველებს არ წარუდგენიათ დაკავების ორდერი, რაც ეწინააღმდეგება სამართლებრივ პროცედურებს

• ნორა კვიციანის სასამართლო პროცესის დროს:

- არ წარმოდგენილა სარწმუნო სამხილები იმის დასადასტურებლად, რომ იარაღი კონკრეტულად მას ეკუთვნოდა

- გამოძიებას არ წარმოუდგენია რაიმე არსებითი ინფორმაცია იმ სამხედრო დაჯგუფების შესახებ, რომელსაც ნორა კვიციანი თითქოსდა ხელმძღვანელობდა

- ხალხმა, რომელსაც კვიციანმა თითქოსდა მოპარა ჰუმანიტარული დახმარება, წარმოადგინეს განცხადება, რომელშიც ისინი ჰუმანიტარული დახმარების მიღების ფაქტს ადასტურებდნენ

- კონტროლის პალატას არ აღმოუჩენია რაიმე დარღვევა ჰუმანიტარული დახმარების დარიგებისას

- სამიდან ორმა მოწმემ უარყვო კვიციანის წინააღმდეგ მიცემული პირველადი ჩვენება

“ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის” მისიამ დაადგინა, რომ ნორა კვიციანის დაპატიმრება დაკავშირებული იყო მისი ძმის, ემზარ კვიციანის დაკავების უიმედო მცდელობასთან. “ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციამ” დაადგინა, რომ ნორა კვიციანის დაკავება იყო პოლიტიკურად მოტივირებული და რომ ის პოლიტპატიმარია.

2. ჯონი ჯიქიას საქმე

ჯონი ჯიქია დაიბადა 1973 წლის 25 მაისს ქალაქ ზუგდიდში. პროფესიით ეკონომისტი ზუგდიდის მუნიციპალური საკრებულოს წევრია; ის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით აირჩიეს. ოპოზიციური კონსერვატიული პარტიის წევრი ამჟამად ქალაქ რუსთავის მე-2 საპყრობილეში იმყოფება.მას აწუხებს თირკმელების დაავადება და დაპატიმრებისას მას ჰქონდა C ჰეპატიტი.

პოლიტიკური მდგომარეობა ზუგდიდში

ზუგდიდი არის სამეგრელოს ადმინისტრაციული ცენტრი, რომელიც აფხაზეთს ესაზღვრება. ეს რეგიონი მეგრელებისთვის - ეთნიკური ქართველებისთვის, მშობლიურ მხარეს წარმოადგენს. ბევრი გამოჩენილი ქართველი პოლიტიკოსი და საზოგადოებრივი მოღვაწე, ზვიად გამსახურდიას ჩათვლით, წარმოშობით ამ რეგიონიდანაა. გამსახურდიას შთამომავლებიც ჯერ კიდევ სარგებლობენ გავლენით ამ რეგიონში. ამიტომ იყო, რომ პრეზიდენტ გამსახურდიას ხელისუფლებაში დაბრუნების მცდელობა 1993 წლის შემოდგომაზე განსაკუთრებული პომპეზურობით ამ რეგიონში აღინიშნებოდა. ამჟამინდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც თავის თავს მეგრელად თვლის და ამ რეგიონს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს.[66] 2007 წელს მან ზუგდიდში პრეზიდენტის რეზიდენციაც კი ააშენებინა, სადაც 2008 წლის 26 ოქტომბერს ბომბი იქნა ნაპოვნი (რომელიც მოგვიანებით წარმატებით განნაღმეს).[67]

შევარდნაძისა და ასევე სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც ზუგდიდში ოპოზიციურ გამოსვლებს სასტიკად ახშობდნენ: 1993 წელს ოპოზიციონერები ეროვნული შერიგების კომისიის მიერ გამოცემული ამნისტიით არ შეიწყალეს და დახვრიტეს. ჯიქიას დაპატიმრება მოხდა 2007 წლის 2 ოქტომბერს, იმ დროს, როდესაც გაერთიანებული ოპოზიცია ნელ-ნელა აქტიურდებოდა.

27 სექტემბერს ჯონი ჯიქიას დაპატიმრებამდე რამდენიმე დღით ადრე, ხელისუფლების წარმომადგენლებმა დააპატიმრეს ყოფილი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც ოპოზიციაში გადავიდა. მან გააერთიანა ოპოზიცია, რომელშიც კონსერვატიული პარტიაც შედიოდა. 28 სექტემბერს, ირაკლი ოქრუაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით თბილისში საპროტესტო აქცია გაიმართა. ოპოზიცია მთელი ქვეყნის მასშტაბით აქციების დაწყებას 6 ოქტომბერს გეგმავდა. ეს უნდა ყოფილიყო ნაწილი კამპანიისა "საქართველო პრეზიდენტის

[66] იხილეთ მაგალითი www.pankisi.info/media/?page=ru&id=8885

[67] იხილეთ მაგალითი www.govoritmoskva.ru/russia/081026200734.html

გარეშე". 2 ნოემბერის დემონსტრაციაში მთელი საქართველო უნდა ჩართულიყო და რეგიონებიდან ჩამოსულ ხალხს თბილისში დამაგვირგვინებელი აქცია უნდა გაემართა. ჯიქია ამ დემონსტრაციის მომზადებაში მონაწილეობდა.

შემდგომ განვითარებული მოვლენები ზუგდიდში არსებულ დაძაბულ პოლიტიკურ მდგომარეობას ადასტურებს. 2007 წლის 28 ოქტომბერს, როცა ჯიქია უკვე დაპატიმრებული იყო, ოპოზიციის წევრებს ზუგდიდში გამართული აქციის შემდეგ თავს დაესხნენ სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პოლიციელები.[68] ნაცემ ოპოზიციონერებს შორის იყო, "გაერთიანებული ოპოზიციის" ლიდერი, გიორგი ხაინდრავაც, რომელმაც ხელისუფლების ქმედებები ტერორიზმად შეაფასა.[69]

იგივე სიუჟეტი განვითარდა 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების წინ. მაგალითად, სოფელ რუხში (აფხაზეთის საზღვართან მდებარე სოფელი) არჩევნების დღეს"გაერთიანებული ოპოზიციის" მაჟორიტარი კანდიდატო კობა დავითაშვილი უცნობმა თავდამსხმელებმა სცემეს. მას თან ახლდნენ ტელეკომპანია რუსთავი 2-ის რეპორტიორებიც, რომელთა კუთვნილი კამერა დაზიანდა. კობა დავითაშვილს ჰქონდა ინფორმაცია, რომ აფხაზეთიდან დევნილები პირადობის მოწმობუს წარდგენის გარეშე აძლევდნენ ხმას რუხის საარჩევნო უბანში და უნდოდა ამ ინფორმაციის გადამოწმება. სამმა შეიარაღებულმა პირმა დააკავა ზუგდიდში გაერთიანებული ოპოზიციის საარჩევნო ბიუროს ხელმძღვანელი ზვიად ფიფია, მას წაართვეს მობილური ტელეფონი, რომლითაც ფიფიამ გადაიღო თუ როგორ გაყალბდა არჩევნები. იმავე დილით, წალენჯიხის რაიონში გაერთიანებული ოპოზიციის მხარდამჭერი გერონტი კაცია მოკლეს. ოპოზიციამ ეს მკვლელობა არჩევნებს დაუკავშირა.[70]

2008 წლის 5 სექტემბერს, ზუგდიდში, ადგილობრივი კონსერვატიული პარტიის ლიდერ, დემურ ანთიას დაპატიმრების დროს იარაღი ჩაუდეს (იხილეთ მე-6 საქმე).

ჯიქიას დაპატიმრების გარემოებები

ჯონი ჯიქია 2007 წლის 2 ოქტომბერს, ზუგდიდში ტაქსით მგზავრობის დროს დააკავეს. პოლიციამ მას ნარკოტიკები "აღმოუჩინა"; ჩამოართვეს ბინის გასაღები. ჯიქიამ კანონის თანახმად მოითხოვა, რომ მის ჩხრეკას ორი მოწმე მაინც

[68] http://www.inforos.ru/?id=19707

[69] http://news-ru.com/detali/all/522/80993.html

[70] http://www.kavkaz-uzel.ru/newstext/news/id/1217193.html

დასწრებოდა, მიუხედავად ამისა ჩხრეკის პროცესს მხოლოდ პოლიციელები ესწრებოდნენ.[71]

მისი ბინა მოგვიანებით გაჩხრიკეს და ერთ-ერთ ოთახში ნაპოვნი იქნა იარაღი. შენობის სარდაფში ასევე აღმოაჩინეს ჭურვები. ჩვეულებრისამებრ, იარაღის აღმოჩენის შემდეგ პოლიციას ბინის დანარჩენი ნაწილი აღარ გაუჩხრეკავს.

ნაპოვნი სამხილის საფუძველზე ჯიქიას ბრალი იარაღის უკანონო მფლობელობასა (სისხლის სამართლის კოდექსის 236-1 მუხლის მიხედვით) და ნარკოტიკების უკანონო ფლობაში დასდეს (სისხლის სამართლის კოდექსის 260-2 მუხლი). მას ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ჯიქიას სარჩელი; მან გაასაჩივრა ბრალდება იარაღის უკანონო მფლობელობის შესახებ.

ამასობაში, აღმოჩნდა, რომ ჯიქიას ბინის გაჩხრეკვამდე, არც ისე დიდი ხნით ადრე. ოჯახის მეზობელმა შეამჩნია, თუ როგორ შედიოდა პოლიციელი ჯიქიას ბინაში.[72] მოწმის ეს ჩვენება სასამრთლოს წარუდგინეს, რის შემდეგაც ჯიქიას იარაღის უკანონო ფლობის ბრალდება მოუხსნეს. გამოძიებამ ვერ შეძლო იმ ადამიანის ვინაობის დადგენა, რომელმაც ჯიქიას ბინაში იარაღი შეიტანა.

დაცვის მხარემ სასამართლოს ყურადღება გაამახვილა პოლიციელის ჩვენებაზე სადაც იგი ამტკიცებდა რომ ჯიქიას ნარკოტიკები ჰქონდა. აშკარაა რომ თარიღი 2007 წლის 2 სექტემბრიდან 2 ოქტომბრით შეცვალეს. გაყალბება აშკარა იყო ამ დოკუმენტის რეგისტრაციის ნომერშიც რომელიც დათარიღებულია სექტემბრის პირველი დღეებით. თუმცა, სასამართლომ უარი განაცხადა ამ დოკუმენტის ასლის სამხილად გამოყენებაზე, რადგან მათ არ შეეძლოთ მისი ორიგინალის შემოწმება. ამ დარღვევებმა წარმოშვა სერიოზული ეჭვი ნარკოტიკებთან დაკავშირებული ბრალდების უტყუარობასთან დაკავშირებით.

ზემოთ აღნიშნული პროცესები ცხადყოფს რომ ჯიქიას დაპატიმრების არანაირი საფუძველი არ არსებობდა, ვინაიდან სამხილი შეთითხნილია. მიუხედავად იმისა რომ სასამართლომ ეს ნაწილობრივ აღიარა, ჯიქია მაინც პატიმრობაში რჩება, ხოლო დოკუმენტების გაყალბებაში დამნაშავე პირები დღენდე დაუსჯელები არიან.

ჯიქიას პოლიტიკური პატიმრობის დამამტკიცებელი საბუთი

---

[71] "საზოგადოებირივი კომიტეტი ადამიანის უფლებებისთვის" 23.02.2009.

[72] Ibid

ჯიქიას პატიმრობამ ხელი შეუშალა მას, საპროტესტო აქციების ორგანიზებაში და შეზღუდა მისი სიტყვისა და შეკრების თავისუფლება. იმ შემთხვევაშიც თუ გაურკვეველი დარჩა, სად და ვის მიერ გაიცა ბრძანება, ჩანს, რომ ეს დაპატიმრება პოლიტიკურ ხასიათისაა, ხოლო განაჩენი არის შედეგი მიზანმიმართული არასწორი ქმედებებებისა.

3. რევაზ კლდიაშვილის საქმე

რევაზ კლდიაშვილი 1967 წელს დაიბადა. ის სამხედრო პირია, სამსახურიდან დათხოვნამდე დააწინაურეს და პოლკოვნიკის წოდება მიანიჭეს. ის ერთი წლის განმავლობაში სამხედრო პოლიციის მეთაური იყო. ამ თანამდებობაზე ის ყოფილი თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ოქრუაშვილმა დანიშნა და მინისტრის თანამდებობაზე მოღვაწეობის ბოლოს თავდაცვის სამინისტროს მედლით დააჯილდოვა. 2007 წლის მარტში თავდაცვის ახალმა მინისტრმა დავით კეზერაშვილმა კლდიაშვილი დაიბარა და აცნობა, რომ მალე მას სამსახურიდან გაათავისუფლებდნენ, რაც აღსრულდა კიდეც 2007 წლის 13 მარტს. თანამდებობიდან დათხოვნის შემდეგ ის ცოტა ხანს უქმობდა, მოგვიანებით კი, 2007 წლის სექტემბერს ყოფილი თავდაცვის მინისტრის მიერ ახლად შექმნილ პოლიტიკურ პარტიას ,,მოძრაობა გაერთიანებული საქართველოსთვის" შეუერთდა. ოქრუაშვილის დაპატიმრების შემდეგ, 2007 წლის სექტემბრის ბოლოს, კლდიაშვილი 2007 წლის 7 ნოემბრის საპროტესტო აქციაში მონაწილეობდა. სამხედრო ფორმაში ჩაცმული კლდიაშვილი, რომელიც საპროტესტო აქციის დროს საქართველოს დროშას აფრიალებდა, დაცვის სამსახურის თანამშრომლის მიერ იქნა გადაღებული.[73]

2007 წლის 13 ნოემბერს სახლიდან გამოსვილისას კლდიაშვილი იარაღის ტარების საფუძველზე დააპატიმრეს. მას სახლში ნამდვილად ჰქონდა იარაღი, მაგრამ ეს სამსახურიდან გადამდგარი სამხედრო პირისათვის სრულიად კანონიერად მიაჩნდა. მიუხედავად ამისა, ხვდებოდა რომ იარაღის ქონას შეიძლება პრობლემები შეექმნა მისთვის, ამიტომ იარაღს სახლში მალავდა. მისი სახლის ჩხრეკის დროს გამომძიებელბმა იპოვეს მისი სამხედრო პოლიციელის მოწმობა, რომელიც მას თვდაცვის მინისტრისთვის თანამდებობიდან დათხოვნის შემდეგ უნდა ჩაებარებინა, მაგრამ არ ჩააბარა. სახლში დამალული იარაღი ვერ იპოვეს.

კლდიაშვილის მეუღლე და ადვოკატი ამტკიცებდნენ, რომ კლდიაშვილი დაპატიმრებისას სცემეს. მან იგრძნო, თუ როგორ ჩაუდეს შარვალში რაღაც ნივთი. მოაგვიანებით აღმოჩნდა, რომ ეს ნივთი იარაღი იყო. ამის შემდეგ მან გონება

[73] ინტერვიუ ციცინო სინაურიძესთან და თორნიკე ორბელაძესთან

დაკარგა. გაირკვა, რომ კლდიაშვილი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ხელბორკილებით ჩამოჰკიდეს (ეს ინციდენტი არ გამოუძიებიათ) ჰქონდა მაღალის წნევა, მაგრამ მისთვის არანაირი სამედიცინო დახმარება რა აღმოუჩენიათ. როგორც კლდიაშვილის მეუღლემ და ადვოკატმა განაცხადეს, გამოძიება დაკითხვისას ცდილობდა დაედგინა დაკავებულის კავშირი ოქრუაშვილთან და ოპოზიციის ლიდერ, ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილთან.

კლდიაშვილის მეუღლე და ადვოკატი ამტკიცებენ, რომ ორი ადვოკატი, მარინა ჩიტაძე და თამარ თედლიაშვილი, რომლებიც კლდიაშვილის ინტერესებს იცავდნენ იმყოფებოდნენ მუქარისა და დაშინების ქვეშ. თავის დასაცავადKკლდიაშვილი ამტკიცებდა, რომ როგორც სამხედრო სამსახურიდან გადამდგარ პირს, შეეძლო კანონიერად ეტარებინა იარაღი, ხოლო თანამდებობიდან დათხოვნის შემდეგ სამხედრო პოლიციელის მოწმობის გადაცემა თავდაცვის მინისტრისთვის უბრალოდ დაავიწყდა. სასამართლო პროცესზე კლდიაშვილმა ბრალდების მხარის მოწმეებიდან ერთ-ერთი, პოლიციის თანამშრომელი ამოიცნო. ამ მოწმის პოლიციასთან თანამშრომლობის დეტალების დასადგენად კლდიაშვილმა დახურული სხდომის ჩატარება მოითხოვა, მაგრამ მისი თხოვნა არ დააკმაყოფილეს. 2007 წლის 25 დეკემბერის სასამართლო პროცესზე კლდიაშვილი დამნაშავედ სცნეს. მას ბრალი დასდეს ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ფლობასა (სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლი) და ყალბი ოფიციალური დოკუმენტებით სარგებლობაში (სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლი); კლდიაშვილს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. გასაჩივრების შედეგად მისი პატიმრობის ვადას 18 თვე დაემატა; სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კარიერით სამხედრო მოსამსახურეს გაცნობიერებული უნდა ჰქონოდა, მისი ქმედების უკანონობა. 2008 წლის 17 ნოემბერს, კლდიაშვილის საჩივარი არც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა.

კლდიაშვილს სარჩელი ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში არ შეუტანია.

მისიის დასკვნა:

ჩანს, რომ კლდიაშვილის საქმე შეთითხნილია. ვერ ვიტყვით, რომ მის წინააღმდეგ წაყენებული სისხლის სამართლის ბრალდებები უსაფუძვლოა. მართალია მისიას არ ევალება თავის დასკვნაში გაარკვიოს კლდიაშვილს მართლა ჰქონდა იარაღის ტარების უფლება თუ არა, მაგრამ იმის მტკიცებულებას, რომ პოლიციამ მას იარაღი ჩაუდო, უფრო მეტად დამაჯერებელი მტკიცებულება სჭირდება. საქართველოს სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ჩაიდინა თუ არა დანაშაული კლდიაშვილმა დანაშაული, როცა სამხედრო პოლიციის მოწმობა შესაბამის უწყებას არ ჩააბარა, მაგრამ თუ კლდიაშვილის ქმედებები დანაშაულია, მაშინ საინტერესოა, ითვლება თუ

არა ოფიციალური დოკუმენტის ჩაუბარებლობა დოკუმენტის გაყალბებად, რადგან გაყალბების არანაირი მცდელობა არ ყოფილა დადგენილი.

მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ კლდიაშვილი, ყოფილი მაღალი თანამდებობის სამხედრო პირი და ყოფილი თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის მოკავშირე პირველი იყო, ვინც პოლიციამ ამოიცნო 2007 წლის 7 ნოემბრის საპროტესტო აქციაზე. ეს მოხდა მალევე მას შემდეგ, რაც კლდიაშვილი ოქრუაშვილის პოლიტიკური მოძრაობის მომხრე გახდა.[74]

მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ დასადგენია კლდიაშვილის სასამართლო პროცესის სამართლიანობა, კომენტარი უნდა გაკეთდეს იმ განაჩენზე, რომელიც კლდიაშვილს გამოუტანეს. მას მიუსაჯეს პატიმრობის მაქსიმალური ვადა. მისთვის გამოტანილი საბოლოო განაჩენი 5,5 წლით პატიმრობა მაქსიმალური ვადაა, რაც შეიძლება ადამიანს მიუჩინონ იარაღის უკანონო ფლობისა და ოფიციალური დოკუმენტების გაყალბებისთვის. შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ დანაშაულებრივი წარსულის არმქონე პირს, გადამდგარ სამხედრო მოსამსახურეს, პირველივე დანაშაულისთვის პატიმრობის მაქსიმალური ვადა მიუსაჯეს. მიღებული განაჩენის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს[75] მითითებებიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ იმ შემთხვევაში თუ ვინმე კლდიაშვილის მსგავს დანაშაულს ჩაიდენდა, მისთვის გამოტანილი განაჩენი 3-4 წლით თავისუფლების აღკვეთა იქნებოდა. მართალია მათ განაცხადეს, რომ ეს მითითებები არანაირ ვალდებულებებს არ აკისრებს სასამართლოს, მაგრამ მაინც კლდიაშვილისთვის გამოტანილი განაჩენი აშკარად გადაჭარბებულია.

ზემოთ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე მისიამ დაასკვნა, რომ კლდიაშვილი არის პოლიტიკური პატიმარი.

4. შალვა რამიშვილის საქმე

შალვა რამიშვილი დაიბადა 1971 წელს. ის და დავით კოხრეიძე თბილისის მასშტაბით მაუწყებელი ტელეკომპანია 202-ის თანადამფუძვნებლები და მოწილეები იყვნენ. რამიშვილი, როგორც პოპულარული თოქ შოუს "დებატების" წამყვანი, ხშირად ეხებოდა მტკივნეულ პოლიტიკურ საკითხებს. ამ სატელევიზიო არხზე გადიოდა ანიმაციური ფილმი ყოფილ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეზე. ტელევიზია მხარს უჭერდა სააკაშვილს ხელისუფლებაში მოსვლამდე და შემდეგაც,

[74] ინტერვიუ ციცინო სინაურიძესთან და თორნიკე ორბელაძესთან

[75] ქართულად იხილეთ საიტზე www.supremecourt.ge ინგლისური ვერსია მოგვაწოდა „ადამიანის უფლებათა ცენტრმა"

მაგრამ მისი პრეზიდენტად არჩევიდან ერთი წლის შემდეგ ტელევიზიამ პრეზიდენტის პოლიტიკის კრიტიკა დაიწყო.

2005 წლის 25 აპრილს გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, 202-მა "სტუდია რეპორტიორის" რამდენიმე დოკუმენტური ფილმის ჩვენების უფლება მიიღო. 2005 წლის მაისში "სტუდია რეპორტიორმა" მუშაობა დაიწყო დოკუმენტურ ფილმზე, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობის წევრის კობა ბექაურის ბიზნეს საქმიანობას ეხებოდა. დოკუმენტური ფილმის მიზანი იყო გამოემჟღავნებინა ბექაურის უკანონო კომერციული საქმიანობა. ხელისუფლების მტკიცებით, სატელევიზიო კომპანიაში რამიშვილისა და კოხრეიძის გარდა არავინ იცოდა ბექაურზე ფილმის გადაღების შესახებ.

მას შემდეგ, რაც ბექაურმა ვერ დაარწმუნა ფილმის ავტორები შეეწყვიტათ ფილმის გადაღება, ის რამიშვილს დაუკავშირდა. 2005 წლის მაისიდან აგვისტომდე, პარლამენტარი ურეკავდა რამიშვილს და სთხოვდა, რომ დაებლოკა ფილმი. საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ შეხვდებოდნენ და განიხილავდნენ ამ საკითხს.

2005 წლის 26 აგვისტოს მათი პირველი შეხვედრის დროს, შეთანხმდნენ, რომ 100 000 დოლარის სანაცვლოდ რამიშვილი აღარ გაუშვებდა ფილმს თავისი სატელევიზიო არხის ეთერით. ბექაურმა შეხვედრის დასრულებისთანავე შეიტანა საჩივარი შინაგან საქმეთა სამინისტროში. ის ირწმუნებოდა, რომ რამიშვილი მას აშანტაჟებდა და ხელისუფლებასაც აუწყა, რომ ტელევიზიით ამ მაკომპრომეტირებელი ფილმის ჩვენება კატასტროფული იქნებოდა არამარტო მისთვის, არამედ მმართველი პარტიის რეპუტაციისთვისაც.

იმავე დღეს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ სისხლის სამართლის საქმე აღძრა სარგებელის მიღების მიზნით ფულის გამოძალვის ბრალდებით. მოგვიანებით, იმავე დღეს, ბექაური და რამიშვილი კიდევ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს და შეთანხმდნენ, რომ რამიშვილი მიიღებდა თანხას ნაწილ-ნაწილ, ჯერ 30 000 დოლარს და შემდეგ 70 000-ს.

2005 წლის 27 აგვისტოს, დილით, ბექაურმა პროკურატურას აცნობა, რომ ის თანხის პირველ ნაწილს რამიშვილს შუადღეს გადასცემდა. 100-დოლარიანი ბანკნოტები, რომლებიც ბექაურს უნდა გადაეცა რამიშვილისთვის, შესაბამისად დაამუშავეს უხილავი ქიმიური ნივთიერებებით და აღნიშნეს სპეციაური ფანქრით, საგამოძიებო ჯგუფმა ბანკნოტების სერიის ნომრებიც ჩაიწერა. გენერალურმა პროკურატურამ 2005 წლის 27 აგვისტოს 11.00 საათზე "გადაუდებელი აუცილებლობის გამო", სასამართლოს დადგენილების გარეშე გამოსცა ნებართვა ამ შეხვედრის ფარული ვიდეო კამერით გადაღების თაობაზე.

ბექაურისა და რამიშვილის შეხვედრა, რომლის დროსაც ბექაურს მისთვის ფული უნდა გადაეცა, მათი საერთო მეგობრის ბინაში, 2005 წლის 27 აგვისტოს შედგა. მათთან ერთად იმყოფებოდა კოხრეიძეც. ბექაური ფარულად იწერდა საუბარს და ფულის გადაცემის პროცესს. როცა კოხრეიძემ და რამიშვილმა დატოვეს ბინა და ჩასხდნენ კოხრეიძის მანქანაში, ისინი დააკავეს და გაჩხრიკეს. პოლიციამ მათ ჩამოართვა 30 000 აშშ დოლარი და მანქანა, რომელშიც ეს ფული იპოვეს. იმავე დღეს, თბილისის სამოქალაქო სასამართლომ ფარული ვიდეო ჩანაწერი კანონიერად სცნო.

2005 წლის 28 აგვისტოს გამოძიებამ ბექაური მსხვერპლად მიიჩნია, რამიშვილი და კოხრეიძე კი ფულის გამოძალვაში დაადანაშაულა. დაკავებულებმა არ აღიარეს დანაშაული და ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადეს.

სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს, რამიშვილი და კოხერიძე გისოსებიან საკანში იმყოფებოდნენ, ხოლო სასამართლოს დაცვის სამსახურის თანამშრომლები "იცავდნენ", რომლებსაც ეკეთათ შავი ნიღბები და ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ შეიარაღებული.

რამიშვილმა და კოხრეიძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის მიუკერძოებულობა ეჭვქვეშ დააყენეს და მისი აცილების მოითხოვეს, მაგრამ მოსამართლემ აცილების შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რადგან მიიჩნია, რომ მოთხოვნა დაუსაბუთებელი იყო. მოსამართლის ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება მხოლოდ საბოლოო ვერდიქტის გასაჩივრებით გახდა შესაძლებელი.

2006 წლის 29 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლომ რამიშვილი და კოხრეიძე დამნაშევედ სცნო ფულის გამოძალვაში; რამიშვილს 4 წლით, ხოლო კოხერიძეს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. 2006 წლის 30 ივნისს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა. რამიშვილმა და კოხერიძემ გაასაჩივრეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოში, მაგრამ უშედეგოდ.

2006 წლის 27 მაისს პრეზიდენტმა კოხრეიძე შეიწყალა. ის ციხიდან გაათავისუფლეს.

განაცხადზე # 1704/06 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2009 წლის 29 იანვარს გამოიტანა განაჩენი და დაადგინა, რომ რამიშვილისა და კოხრეიძის მიმართ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლი დარღვევა (წამების, არადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა). ეს გადაწყვეტილება ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თბილისის მე-5 საპყრობილეში (რომელიც მოგვიანებით დაანგრიეს) პატიმრობის პირობების შესწავლის შედეგად დაადგინა. სასამართლოს განაჩენი გამყარებული იყო იმითაც, რომ ორივე მათგანს სასამართლო პროცესის დროს ხელბორკილები ედო და იმყოფებოდნენ რკინის

გალიაში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი "ცნობილი ადამიანები იყვნენ და მათგან საფრთხე არ მოდიოდა" (ევროპული სასამართლოს განაჩენის პარაგრაფი 101). ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ასევე გამოარკვია, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლი (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) იმის გამო, რომ არ არსებობდა ძალაში შესული სასამართლო ბრძანება, რომელიც კანონიერს გახდიდა მათ დაკავებას 2005 წლის 27 ნოემბრიდან 2006 წლის 13 იანვრამდე; განსასჯელთა მხარემ ვერ შეძლო უფრო ადრე მიეღო 2005 წლის 27 აგვისტოს ვიდეო ჩანაწერი იმის გამო, თუ რა ფორმით განიხილა სასამართლომ მათი დაკავების ბრძანებები. ამასთან, ევროპულმა სასამართლომ 2007 წლის 27 ივნისის სარჩელის დაშვებადობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს არ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა (აზრისა და გამოხატვის თავისუფლება), რადგან მტკიცება იმის თაობაზე, რომ სისხლის სამართლის დევნა რამიშვილისა და კოხრეიძის წინააღმდეგ მათ ჟურნალისტურ საქმიანობასთან იყო დაკავშირებული, არ იყო გამყარებული ღირებული და კონკრეტული სამხილებით.

რამიშვილს უარი უთხრეს პირობით გათავისუფლებაზე, რადგან "სასჯელის მიზანი არ იყო მიღწეული". მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა პოზიციაზე დგანან, რამიშვილის დაცვის მხარეც და საქართველოს ხელისუფლებაც აღიარებენ, რომ პირობითი გათავისუფლების საფუძვლები ზუსტად არ არის გაწერილი ქართულ კანონმდებლობაში, რაც შესაძლებელს ხდის პირობით გათავისუფლების თვითნებურ გამოყენებას. რამიშვილის პატიმრომის ვადა 2009 წლის აგვისტოს ბოლომდე იწურება.

მისიის დასკვნა:

"ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციას" მიაჩნია, რომ რამიშვილის საქმე არაერთგვაროვანია. "ფედერაცია" არ ამტკიცებს, რომ რამიშვილს არ გამოუძალავს ფული. უფრო მეტიც, მიუხედავად რამიშვილის ადვოკატის მტკიცებისა, "ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციისთვის" არ წარმოუდგენიათ უტყუარი სამხილი, რომელიც დაამტკიცებდა რამიშვილის სასამართლო პროცესის არასამართლიანობას. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ღირებული და კონკრეტული სამხილების არარსებობის გამო არ დაადასტურა, რომ ბატონი რამიშვილის სისხლის სამართლებრივი დევნა მიმართული იყო კონკრეტულად მისი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისაკენ.

თუმცა, მისაიმ მხედველობაში მიიღო შემდეგი გარემოებები:

1. რამიშვილის მიერ ჩადენილი დანაშაული პროვოცირებული იყო ბექაურის დანაშაულებრივი ქმედებებით, რომელიც პარლამენტისა და პრეზიდენტის პოლიტიკური პარტიის წევრია. მან ისარგებლა პარლამენტარის იმუნიტეტით, ხოლო

მის მიერ განხორციელებულ პროვოკაციას ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაუჭირეს მხარი
2. ბატონი რამიშვილის მხრიდან დოკუმენტური ფილმის ჩვენება, ნამდვილად იყო პრეზიდენტის პოლიტიკური პარტიისაკენ მიმართული მუქარა
3. "ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციას" მტკიცე დასაბუთების საფუძველზე მიაჩნია, რომ დანაშაულებრივი საქმე რამიშვილისა და კოხერიძის წინააღმდეგ ნაწილობრივ გამოიყენეს სატელევიზიო არხის დახურვისათვის
4. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაგმო რამიშვილისა და კოხრეიძის დაკავების პირობები და დაკავებულების მიმართ დამაცირებელი მოპყრობა სასამართლო პრეცესებზე და მანმადე
5. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე დაგმო ის ფაქტი, 2005 წლის 27 ნოემბრიდან 2006 წლის 13 იანვრამდე რამიშვილის და კოხრეიძის პატიმრობის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება არ არსებობდა. ვროპულმა სასამართლომ ასევე დაგმო ის ფაქტიც, რომ განსასჯელთა მხარეს ხელი არ მიუწვდებოდა 2005 წლის 27 აგვისტოს ვიდეო ჩანაწერზე. ევროპულმა სასამართლომ ასევე დაგმო ის ფორმა, რომლითაც სასამართლომ მათი დაკავების ბრძანებები განიხილა.

"ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის" ფაქტების დამდგენი მისია მიიჩნევს, რომ საქმეს აქვს პოლიტიკური ხასიათი, რადგან მასში პრეზიდენტის პოლიტიკური პარტია იყო გარეული. ამ საქმემ საფრთხე შეუქმნა პარტიის ავტორიტეტს, რის გამოც რამიშვილის საქმის წარმოების დროს დაირღვა ადამიანის უფლებათა კონვენციის რიგი მუხლები. ამ დარღვევებმა ასახვა პოვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში რამიშვილის საქმეზე, რომელმაც რამიშვილის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-3 და მე-5 მუხლების დარღვევა დააფიქსირა. ეს კი საკმარისი გარემოებაა დასკვნისთვის, რომ რამიშვილის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე იყო არაერთგვაროვანი და რომ ერთი შეხედვით რამიშვილი პოლიტპატიმარია.

5. მაია თოფურიას საქმე

1966 წელს დაბადებული მაია თოფურია იგორ გიორგაძის ნათესავი და პარტია "სამართლიანობის" წევრია, რომელიც გიორგაძემ დაარსა.

1950 წელს დაბადებული გიორგაძე "კაგებეს" თანამშრომელი და საბჭოთა კავშირის საპატიო აგენტი იყო.[76] საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ის საქართველოს უშიშროების სამსახურში მსახურობდა და ჰქონდა პოდპოლკოვნიკის წოდება.

[76] http://lenta.ru/lib/14160024/

სამოქალაქო ომის დროს ის მხარს ედუარდ შევარდნაძეს უჭერდა. 1993 წელს გიორგაძე სახელმწიფო უშიშროების მინისტრყ გახდა. 1995 წელს მას ბრალად დასდეს შევარდნაძის მკვლელობის მცდელობაში მონაწილეობა და თანამდებობიდან გაათავისუფლეს.[77] ამის შემდეგ ის საქართველოდან გაიქცა და 1998 წლიდან რუსეთში ცხოვრობს[78], სადაც, როგორც ამბობენ, რუსეთის ხელისუფლების მაღალჩინოსნების მხარდაჭერით სარგებლობს.[79] 2003 წელს მან დაარსა პარტია "სამართლიანობა" და ანტისოროსული მოძრაობა. ორივე მათგანი "ქართული წარმოშობის რუსი ბიზნესმენის"[80]მიერ ფინანსდებოდა. რუსულ გაზეთ "*Rossiyskaya Gazeta"* -სთან ინტერვიუში მან განაცხადა, რომ სურდა კენჭი ეყარა საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობაზე.[81]

2008 წლის 24 მაისს, მან მოსკოვში პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას "ჭინჭრის რევოლუციით" დაამხობდა.[82] მეორე დღეს ქართული ოპოზიციური პარტიების გარკვეული ნაწილი ("ახალი მემარჯვენეები", "კონსერვატიული პარტია", "რესპუბლიკური პარტია" და "მოძრაობა თავისუფლება") გიორგაძის მიერ გაკეთებულ განცხადებას გაემიჯნა.[83]

2006 წლის 3 სექტემბერს, ორი მოწმის ჩვენების საფუძველზე, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მაია თოფურიას და 12 ადამიანის წინააღმდეგ. მოწმეები ამტკიცებდნენ, რომ გიორგაძესთან დაკავშირებული პოლიტიკური ძალების შეხვედრის დროს შეხვედრის მონაწილეებმა გადატრიალება დაგეგმეს. მოწმეების ჩვენებებიდან ირკვევა, რომ ინფორმაცია გადატრიალების შესახებ მათ "სხვებისგან გაიგეს". მოწმეებმა სიტყვიერი ჩვენებები წერილობითაც დაადასტურეს.

---

[77] http://www.newsru.com/background/24may2006/giorgadze.html

[78] http://lenta.ru/lib/14160024/

[79] http://www.echo.msk.ru/programs/code/43760/

[80] ინტერვიუ გელა ნიკოლაიშვილთან. თუ გავითვალისწინებთ 2006 წელს საქართველოში რუსი დიპლომატების დაპატიმრების შემდეგ, რუსეთში ქართველებისადმი მოპყრობას, ამ დახმარების ინიცირება ქართველი ბიზნესმენების მხრიდან საეჭვოა.

[81] http://www.rg.ru/2003/12/05/giorgadze.html

[82] http://www.kommersant.ru/doc.aspx?DocsID=676226

[83] http://www.newsru.com/world/25may2006/giorgadze.html

2006 წლის 6 სექტემბერს ე. წ. შეთქმულები, მათ შორის თოფურია და 30 ადამიანი, მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული ოპერაციის შედეგად დააპატიმრეს. ოპერაციის მსვლელობისას 63 ჩხრეკა ჩატარდა. თოფურიას და კიდევ 12 ადამიანს მეორე დღეს ბრალი წაუყენეს.

2006 წლის 8 სექტემბერს თბილისის სამოქალაქო სასამართლომ წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა 13 ბრალდებულს.[84]

ერთ-ერთი დაკავებული მაია ნიკოლაიშვილი საპროცესო შეთანხმებას დათანახმდა და ბრალდების მოწმე გახდა. გირაოს გადახდის შემდეგ ის გაათავისუფლეს და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა.

თავდაპირველად პროკურატურამ დაკავებულებს ბრალი მთავრობის დამხობაზე მოსალაპარაკებლად შეკრებაში (რომელიც 2006 წლის 24 მაისს გაიმართა) წაუყენა. თუმცა, როცა გაირკვა, რომ "შეხვედრის დღეს" ე. წ. შეთქმულთაგან ერთ-ერთი გერმანიაში იმყოფებოდა, პროკურატურამ ამ შეხვედრის თარიღი 2006 წლის 4 მაისით შეცვალა. ბრალდება ამტკიცებდა, რომ ე. წ. შეთქმულები შეხვედრის დროს შეთანხმდენენ, რომ თითოეული მათგანი 100 ადამიანს შეკრებდა შეიარაღებული დაჯგუფებისთვის და ეს დაჯგუფება იმდროინდელი პარლამენტის სპიკერ ნინო ბურჯანაძესა და სააკაშვილს შეიპყრობდა. ბრალდების 10 მოწმიდან 6-ის ვინაობა ანონიმური იყო (დაცვის მხარეს უფლება მისცეს მათი ჩვენებების წინააღმდეგ თავიანთი არგუმენტები წარმოედგინა, მაგრამ მათი ვინაობა ბრალდებას არ გაუმხელია). საქმეში ასევე ფიგურირებდა სამი არაპირდაპირი მოწმე.

დაცვის მხარე ამტკიცებს, რომ შეთქმულები დაპატიმრებამდე ერთმანეთს არ იცნობდნენ და შესაბამისად, 2006 წლის მაისში[85] ისინი ერთმანეთს ვერ შეხვდებოდნენ. მათ წარმოადგინეს ჯორჯტაუნის უნივერსიტეტში (აშშ) მოღვაწე როჯერ შუის ლინგვისტური ანალიზი. შუის მტკიცებით, შეუძლებელი თუ არა საკმაოდ საეჭვოა, რომ სხვადასხვა განათლების მქონე 10 ადამიანს ელაპარაკა ორი თუ სამი თვის წინ მომხდარ მოვლენაზე ერთნაირი ლექსიკის გამოყენებითა და ერთნაირად გრძელი წინადადებების გამოყენებით.[86]

---

[84] დაპატიმრებულები გიორგაძის ცნობილი მხარდამჭერები არ ყოფილან. ირინა სარიშვილი, რომელიც საზოგადოებისთვის ცნობილი პოლიტიკოსია, არ დაუპატიმრებიათ. მას უთხრეს, სურვილიც რომ ჰქონოდა, მას არასოდეს დააპატიმრებდნენ. დაუდასტურებელი ინფორმაციით, დაპატიმრებები "სამართლიანობის" ლიდერებზე ზეწოლას ისახავდა მიზნად. (ემილ ადელხანოვის ინტერვიუდან)

[85] ილია თოფურიასა და მაია ელაშვილის ინტერვიუებიდან.

[86] როჯერ შუის ლინგვისტური ანალიზიდან: "ჩემთვის მოწოდებული 11 მოწმის ჩვენების ლინგვისტური ანალიზიდან ჩანს, რომ მოწმეები ინფორმაციას გადმოსცემენ ერთნაირი

სასამართლო პროცესი დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. 2007 წლის 24 აგვისტოს განსასჯელები დამნაშავედ სცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პარაგრაფითა (სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა) და 236-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფით (იარაღის უკანონო შენახვა-შეძენა) გათვალისწინებული დანაშაულებების ჩადენის გამო. თოფურის 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დანარჩენებს 4-დან 8 წლამდე პატიმრობა მიესაჯათ. მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლოში სასამართლო მოსმენები ღია იყო, იმის გამო, რომ სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილების სფერო კანონით არის შეზღუდული, სამხილების ხელახალი განხილვა არ მომხდარა. ამ მიზეზით არ მოხდა წინა ინსტანციის დროს დაშვებული შეცდომების გამოსწორება. სააპელაციო სასამართლომ განაჩენი 2008 წლის 29 აპრილს გამოიტანა და თოფურიას და რამდენიმე განსასჯელს სასჯელის ვადა 6 თვით შეუმცირა. უზენაესმა სასამართლომ 2009 წლის 30 იანვარს, იურიდიული საკითხების გამო მსჯავრდებულთა საჩივარი არ დააკმაყოფილა.

2009 წლის 18 იანვარს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მაია თოფურიას, ზაზა დავითაიასა და ვახტანგ ტალახაძის საჩივრებთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობას ინფორმაცია გაუგზავნა. საჩივრებში განმცხადებლები ამტკიცებნენ, რომ მათი დაკავებისა და პატიმრობის დროს მათ მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება). განაცხადი საქმის წარმეობის სამართლიანობის (ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი) თაობაზე ასევე წარდგენილია ევროპულ სასამართლოში. სასამართლო პროცესებზე დარღვევების შესახებ განცხადების განხილვა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოშიც მიმდინარეობს.

მისიის დასკვნები

მისია ცნობს საქართველოს სახელმწიფოს უფლებას აღკვეთოს მთავრობის ჩამოსაგდებად განხორციელებული ძალადობრივი მცდელობები და გაასამართლოს ამ დანაშაულებრივ ქმედებებში ეჭვმიტანილი პირები, რომლებიც მიზნად

თანმიმდევრობით. გასაოცარი მსგავსებაა სინტაქსის გამოყენების (წინადადების წყობის) თვალსაზრისითაც. 30 წლის მანძილზე ჩემს მიერ გაანალიზებული მოწმეთა ასობით ჩვენებიდან არც ერთს შორის არ შემინიშნავს ისეთი გასაოცარი ლინგვისტური მსგავსებები, როგორიც ამ 11-ს შორის აღმოვაჩინე. ბევრ შემთხვევაში, ჩვენებები სრულიად იდენტურია. Dდადგენილია, რომ ადამიანები არა თუ იდენტურად არამედ ერთმანეთის მსგავსადაც არ საუბრობენ მაშინაც კი, როცა ერთსა და იმავე მოვლენაზე საუბრობენ. ამ 11 მოწმის ჩვენებებში აღმოჩენილი მსგავსებების მოწმეთა სანდოობას სერიოზული ეჭვის ქვეშ აყენებს, ასევე, საეჭვოა, რომ მოწმეები საკუთარ აზრს ამბობდნენ იმაზე თუ რა ნახეს, გაიგონეს ან უთხრეს მომხდართან დაკავშირებით.

სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას ისახავენ. ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს შესაძლოა ჰქონდათ მიზეზი იმის დასაჯერებლად, რომ მათი რუსი კოლეგები საქართველოში კონსტიტუციური წყობის შეცვლას ცდილობდნენ.[87] მისიას არ გააჩნია ინფორმაცია, რომელიც მაია თოფურიასა და დანარჩენების წინააღმდეგ რუს მაღალჩინოსნებთან და უშიშროების სამსახურთან კავშირისა და საქართველოში მთავრობის წინააღმდეგ ჩადენილი ქმედებების შესახებ არსებულ ბრალდებებს გააქარწყლებდა.

თუმცა, ყველაფერი ზემოთქმული არ წარმოადგენს საკმარის სამხლის იმისთვის, რომ ეს ხალხი სასამართლოს წინაშე წარმდგარიყო. ის ფაქტი, რომ სასამართლო საზოგადოებისთვის სრულიად დახურული იყო (იმისდა მიუხედავად შეიცავდა თუ არა სამხილები სახელმწიფო საიდუმლოებას), და ისიც, რომ თოფურიასა და დანარჩენი 12 მსჯავრდებულის საქმეში არსებული სამხილები საკმაოდ ბევრ ეჭვს აღძრავს, იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ მათ წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე დაუსაბუთებელი იყო. სასამართლოსთვის წარდგენილი ლინგვისტური ანალიზი და მისია მხარს ადასტურებს ამგვარ დასკვნას.

მისიის აზრით, მაია თოფურია არის პოლიტპატიმარი. საქმის ზედაპირული განხილვით ჩანს, რომ მასთან ერთად მსჯავრდებული პირებიც პოლიტპატიმრები არიან.

6. დემურ ანთიას საქმე

59 წლის ინჟინერი და ეკონომისტიდემურ ანთია, კონსერვატიული პარტიის ზუგდიდის რეგიონალური ფილიალის თავმჯდომარეა. 2008 წლის 5 სექტემბერს, პოლიციამ გაჩხრიკა მისი სახლი, ხოლო ანთია დააპატიმრა.

პოლიტიკური ფონი (აგვისტო-სექტემბერი 2008)

რუსეთის შეიარაღებული ფორმირებების შემოსვლის დროს ყველა ადგილობრივმა ოფიციალურმა პირმა დატოვა ზუგდიდი (ქალაქი აფხაზეთის საზღვართან მდებარეობს). მერია და რეგიონალური პოლიციის შენობა ცარიელი იყო. იქ არც მთავრობის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. როცა რუსებმა დატოვეს ზუგდიდი

[87] სატელეფონო საუბარი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვსა და ა.შ.შ.-ს სახელმწიფო მდივან კონდოლიზა რაისს შორის, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს შედგა და რომლის შინაარსიც გაეროს უშიშროების საბჭოს შეხვედრაზე ა.შ.შ.-ს წარმომადგენელმა გაამჟღავნა, ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი საბუთია.

მთავრობა უკან დაბრუნდა. ოპოზიციამ მთავრობის ქმედებები გააკრიტიკა. 2008 წლის სექტემბერში ოპოზიციამ დაინახა, რომ სააკაშვილის წინააღმდეგ მოსახლეობის უკმაყოფილებამ იმატა და ამით სარგებლობა გადაწყვიტა. ანთიას ადვოკატი ამტკიცებს, რომ იმ პერიოდში ოპოზიციის 3 წევრი დააპატიმრეს. მან ვერ დაასახელა ამ ადამიანების სახელები, მაგრამ ირწმუნებოდა, რომ ზოგიერთი მათგანი საარჩევნო კომისიის დამკვირვებელი იყო. იგი ამტკიცებს, რომ ადგილი ჰქონდა ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების დაშინების ფაქტებსაც. მისი განცხადებით ადამიანები მიჰყავდათ პოლიციის განყოფილებაში და შემდეგ ათავისუფლებდნენ. „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია“ ამ ინფორმაციას ვერ ადასტურებს, მაგრამ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მსგავსი შემთხვევები დაადასტურა ეუთომ საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მოხსენებაში 2008 წლის მაისის საპარლამენტო არჩევნების შესახებ.[88]

დემურ ანთიას პოლიტიკური მოღვაწეობა

ანთია არის კონსერვატიული პარტიის ზუგდიდის რეგიონალური ფილიალის თავმჯდომარე. როცა ოფიციალურმა პირებმა დატოვეს ქალაქი, იგი მივიდა გაეროს ოფიცერთან და დაგმო ადგილობრივი ოფიციალური პირების ქმედება. როგორც კონსერვატიული პარტიის ადგილობრივი წარმომადგენელი, ის მთავრობას აკრიტიკებდა.

2007 წლის ნოემბრის მოვლენების დროს ანთია ოპოზიციის ერთერთი ყველაზე აქტიური წევრი იყო. ის მონაწილეობას იღებდა ოპოზიციის მიერ გამართულ საპროტესტო აქციაში 2008 წლის ოქტომბერში. ამ დროს ოპოზიციის რამდენიმე აქტივისტი სასტიკად სცემეს უცნობმა მამაკაცებმა, რომლებიც უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები იყვნენ.[89] 2007 წლის ნოემბრის მოვლენების დროს პოლიციამ ანთია სასტიკად სცემა. მას ერთი კვირის განმავლობაში გადაადგილება არ შეეძლო. 2008 წლის სექტემბერში, ის მონაწილეობდა 2008 წლის ნოემბრის ოპოზიციის აქციების მომზადებაში.

იურიდიული საქმე – ფორმალური საქმე და საქმის წარმოება

დემურ ანთიას ბრალად იარაღის ტარება ედებოდა, თუმცა მას თავი დამნაშავედ არ უცნვნია. პატიმრობა მას პირველად, 2009 წლის 12 იანვარს ზუგდიდის სასამართლომ

[88] ეუთოს არჩევნების სადამკვირვებლო მისიის საბოლოო დასკვმა 2008 წლის 21 მაისის საპარლემანტო არჩევნების თაობაზე

[89] „ჰუმან რაითს ვოჩის“ ანგარიში: „ზღვარს გადასვლა:დემონსტრანტებისა და ტელეკომპანია იმედის დარბევა საქართველოში“ – 2007 წლის დეკემბერი გვერდი 13

მიუსაჯა. სასამართლომ მას ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯა. საქმე გაასაჩივრეს. მისმა ადვოკატმა ახსნა, რომ მოსამართლემ ვერ წარმოადგინა საკმაო მტკიცებულება იმისა, თუ რატომ უნდა ყოფილიყო ანთია წინასწარ პატიმრობაში.

ანთიას ადვოკატის განცხადების თანახმად საქმის გამომძიებელმა ანთიას გამოძიების დროს უთხრა „თუ მთავრობა ადგილიდან გაიქცა, ეს შენი საქმე არ არის. არ უნდა მისულიყავი და გეწუწუნა ამაზე გაეროსთან“. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის მისიას არ აქვს საშუალება დაამტკიცოს ეს განცხადება სამხილის საფუძველზე, მაგრამ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ 2008 წლის მაისის საპარლამენტო არჩევნების ეუთოს საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ, თავის ანგარიშში ასახა არაერთი მსგავსი საქმე.

გამოძიებისა და სასამართლო პროცესის სისუსტეები

2008 წლის 5 სექტემბერს დილის 4 საათზე 20-დან 30-მდე ადამიანი მივიდა დემურ ანთიას სახლში და გაჩხრიკეს ანთიას სახლი. მხოლოდ ამის შემდეგ დაურეკეს მეზობლებს და მესამე საურთულზე იპოვეს იარაღი (ავტომატური თოფი). მოწმეებს დაუძახეს ჩხრეკის დაწყებიდან ერთი საათის შემდეგ.

ანთიას ადვოკატი აცხადებს, რომ სახლში ნაპოვნი იარაღი, მისი დაცვის ქვეშ მყოფს ჩხრეკის დაწყების დროს, მოწმეების არ ყოფნის დროს ჩაუდეს. ჩხრეკის შედეგად პოლიციამ იპოვა იარაღი საიდენტიფიკაციო ნომრის გარეშე, მაგრამ გამოძიებისა და სასამართლო პროცესის დროს იარაღი შეამოწმეს და მიანიჭეს საიდენტიფიკაციო ნომერი.

6 ადამიანი ცხოვრობდა სახლში და არ არსებობდა რაიმე სამხილი, რომელიც დაამტკიცებდა, რომ იარაღი ეკუთვნოდა ანთიას.

ამჟამინდელი მდგომარეობა

დემურ ანთია არის დაპატიმრებულია. განაჩენის გამოტანის შემდეგ, მის ოჯახს პატიმრის თვეში ერთხელ მოინახულების უფლება აქვს. წინასწარი პატიმრობის დროს მისი მონახულება აკრძალული იყო.

მისიის დასკვნა

„ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის“ მისია ვერ დაადასტურებს დემურ ანთიას განცხადებას, რომ მთავრობის წარმომადგენლებმა თვითონ დაუკავშირეს მისი დაპატიმრება ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლების გაკრიტიკებას. თუ ეს დადასტურდება, ეს განცხადება იქნება საკმარისი იმის

საჩვენებლად, რომ მისი დაკავების უკან პოლიტიკური მოტივი იკითხება. შაქმეზე დასკვნის გამოტანისას მისიამ მხედველობაში მომდევნო ფაქტები მიიღო:

- ანთია პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიის მსხვერპლი იყო (იგი სცემეს 2008 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციებში მონაწილეობის შემდეგ)

- 2008 წლის სექტემბერში, მისი დაკავების დროს, ის ჩართული იყო 2008 წლის ნოემბრის ოპოზიციური აქციების მოწყობაში და შეინარჩუნა ადგილობრივი პოლიტიკური თანამდებობა, როგორც კონსერვატიული პარტიის რეგიონალური ფილიალის თავმჯდომარემ

- გამოძიებამ და სასამართლო პროცესმა წარმოაჩინა სერიოზული სისუსტეები (წინასწარი ჩხრეკა მოწმეების გარეშე, არანაირი საიდენტიფიკაციო ნომერი იარაღზე და არანაირი სამხილი იმისა, რომ იარაღი ეკუთვნოდა ანთიას)

„ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის“ ფაქტების დამდგენი მისიის დასკვნით შესაძლებელია, დემურ ანთია განვიხილოთ, როგორც შეთითხნილი საქმის მსხვერპლი, რომელიც მიზნად ისახავდა მისი ოპოზიციური მოღვაწეობისა და მთავრობისადმი კრიტიკის შესუსტებას.

7. ომარ ქუცნაშვილის საქმე

ომარ ქუცნაშვილი დაიბადა 1942 წლის 28 იანვარს. 2000 წლის 7 აპრილს, ის გახდა შპს "ჯეოინჯინერინგის" თანადამფუძვნებელი. 2006 წლის 3 ნოემბერს ამ შპს-მ გაფორმდა კონტრაქტი # ICB/CW/05 ფონდ *Millennium Challenge Georgia* -სთან. კონტრაქტის თანახმად, შპს-ს მიერ შესასრულებელი სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა 1, 444, 917 აშშ დოლარს. პროკურორმა შპს "ჯეოინჯინერინგი" "სამუშაოების პროცენტული მონაცემების ხელოვნურად გაზრდაში" რამდენიმეჯერ დაადანაშაულა. შპს "ჯეოინჯინერინგს" ბრალად 115 348 აშშ დოლარის მითვისება ედება.

სისხლის სამართლის საქმის # 092080102 საბრალდებო დასკვნის თანახმად, ომარ ქუცნაშვილს ბრალი ედება ქონების მითვისებაში – "სხვისი მოძრავი საგნების დიდი რაოდენობით, უკანონოდ მითვისება" (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის, მე-2 ნაწილის ა და დ ქვეპუნქტები და მე-3 ნაწილის ბ ქვეპუნქტი). მას ასევე ბრალი ედება "ყალბი საკრედიტო ბარათებისა და საგადასახადო დოკუმენტების წარმოებასა და გამოყენებაში".

2009 წლის თებერვალში, სასამართლომ ქუცნაშვილს მითვისების ბრალდება მოუხსნა. თუ მას არაფერი მიუთვისებია მაშინ, რატომღა გააყალბებდა დოკუმენტებს. მოტივი გაუგებარია.

პოლიტიკური წარსული

2007 წლის 22 დეკემბერს ქუცნაშვილს "ნაციონალური მოძრაობიდან" დაურეკეს და პარტიის ოფისში მისვლა სთხოვეს. "ნაციონალური მოძრაობის" ოფისში იმ დროს, მის გარდა კიდევ რამდენიმე ბიზნესმენი იყო დაბარებული. მას პარტიაში გაწევრიანება და "ნაციონალური მოძრაობის" ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფა სთხოვეს, რაზეც უარი განაცხადა. პარტიის ოფისში იმ მიზეზით არ წავიდა, რომ არ სურდა პოლიტიკაში გარევა. 24 დეკემბერს მას ისევ დაურეკეს პარტიიდან.

მისი ვაჟი, ზაქარია ქუცნაშვილი, ამტკიცებს, რომ ფინანსური პოლიცია მას მამამისის დაპატიმრებით დაემუქრა, იმ შემთხვევაში თუ ზაქარია არჩევნებში მონაწილეობას მიიღებდა.[90] გენერალურმა პროკურორმა, რომელიც ზაქარიას ახლო მეგობარია (ისინი ერთად სწავლობდნენ უნივერსიტეტში) გააფრთხილა იგი, რომ მამამისს მალე დააპატიმრებდნენ. ზაქარია ამ ადამიანს 27 მარტს შეხვდა. მან ზაქარიას "ნაციონალური მოძრაობიდან" ორი შეტყობინება გადასცა:

- ზაქარიას არ უნდა მიეღო მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში

- მას უნდა შეეწყვიტა მთავრობის კრიტიკა.

ომარ ქუცნაშვილის ვაჟისა და ადვოკატის განცხადებით, საქართველოს პარლამენტის პროცედურულ საქმეთა კომიტეტის თვმჯდომარე, ხათუნა გოგორიშვილმა, მას ზურაბ ადეიშვილის მეშვეობით ჰკითხა, აპირებდა თუ არა ზაქარია არჩევნებში მონაწილეობას. პასუხად ზაქარიამ განაცხადა, რომ ის აღარ აპირებდა პოლიტიკაში დაბრუნებას.

[90] 2008 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტის წინაშე გამოსვლისას საქართველოს სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ მას ჰქონდა მტკიცებულებები, რომ ზურაბ ადეიშვილს დავით კეზერაშვილთან ერთად (თავდაცვის მინისტრი) საიდუმლო შეხვედრა ჰქონდა შინაგან საქმეთა სამინისტროში 2007 წლის 4 ნოემბერს, რომლისდროსაც გადაწყდა პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ პოლიციური ძალის გამოყენება.

ომარ ქუცნაშვილის წინააღმდეგ საქმე 2008 წლის მარტში აღიძრა. სარჩელის აღძვრის შემდეგ, ქუცნაშვილი არ დაუპატიმრებიათ, მაგრამ პოლიციამ მას დოკუმენტები და პერსონალური კომპიუტერი ჩამოართვა. მისი კუთვნილი ნივთები ფინანსურ პოლიციაში დარჩა მანამ, სანამ ზაქარია არ შეხვდა ზურაბ ადეიშვილს, რომელიც იმ დროს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის თავმჯდომარე იყო. მათი შეხვედრა 2008 წლის მარტში შედგა. ზაქარია ცდილობდა მასთან დაკავშირებას და ბოლოსდაბოლოს 21 აპრილს, საარჩევნო რეგისტრაციის ბოლო დღეს მოახერხა ადეიშვილთან შეხვედრა. ზაქარიას სჯერა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა ის მხოლოდ მაშინ მიიღეს შეხვედრაზე, როცა დარწმუნდნენ, რომ ზაქარია საპარლამენტო არჩევნებში კენჭს არ იყრიდა. ზაქარიას განცხადებით, სატელეფონო ზარებით დამტკიცდება, მისი და ადეიშვილის შეხვედრის ფაქტი. ადეიშვილთან საუბრის შემდეგ, ომარ ქუცნაშვილს კუთვნილი ნივთები დაუბრუნეს.

ზაქარიამ ადეიშვილს აუხსნა, რომ თუ ხელისუფლების პირებს მასთან ჰქონდათ პრობლემა, სჯობდა პირდაპირ მისთვის მიემართათ და მამამისი ან ოჯახის სხვა წევრები ამ საქმეში აღარ ჩაერიათ. ადეიშვილმა უპასუხა, რომ ის განიხილავდა ამ პრობლემას, მაგრამ საქმე ომარ ქუცნაშვილის წინააღმდეგ არ დახურულა.

არჩევნების შემდეგ, ზაქარიამ საჯაროდ გამოთქვა მოსაზრება არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით. 4 ივლისს, ზაქარია გადაცემაში მიიწვია ტელეკომპანია "კავკასიამ", სადაც მან განაცხადა, მართალია მთავრობამ არჩევნები მოიგო, მაგრამ ხელისუფლებას ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნება მაინც გაუძნელდებაო. მან მაყურებელს შეახსენა, რომ სტაბილურობა თავისუფლებისა და სამართლიანობის პრინციპებს უნდა ეფუძნებოდიეს, საქართველოში კი ეს ღირებულებები არ არსებობს.

4 ივლისს მიიღეს საბოლოო გადაწყვეტილება ომარ ქუცნაშვილის დაპატიმრების შესახებ.

7 ივლისს ფინანსურმა პოლიციამ საქმე აღძრა მის წინააღმდეგ.

7 ივლისს ქუცნაშვილმა ხმამაღლა დააფიქსირა, რომ მას უთვალთვალებდნენ...

10 ივლისს ომარ ქუცნაშვილი დააპატიმრეს.

კავშირი პოლიტიკურ მოტივაციასა და ოფიციალურად აღძრულ საქმეს შორის

ზაქარია ქუცნაშვილის განცხადებით, მამამისის დაპატიმრების შემდეგ ფინანსურმა პოლიციის უფროსმა მას განუცხადა, ხელისუფლების წარმომადგენლებს სწყინთ, რომ კვალავ განაგრძობდა მთავრობის კრიტიკასო. ფინანსური პოლიციის უფროსმა

მას უთხრა, რომ მამამისს მხოლოდ იმ შემთხვევაში გაათავისუფლებდნენ, თუ ის გადაიხდიდა გირაოს და დანაშაულსაც აღიარებდა. ქუცნაშვილის ოჯახმა დაიწყო ვაჭრობა, რის შედეგადაც მტკიცედ მოთხოვნილი გირაოს რაოდენობა შემცირდა, 2009 წლის თებერვალში კი სასამართლომ ქუცნაშვილს ქონების მითვისების ბრალდება მოუხსნა.

საქმე და სასამართლო საქმის წარმოება

ომარ ქუცნაშვილის ადვოკატი მიიჩნევს, რომ პროკურორმა არ მოიძია მტკიცებულებები ბრალდებულის სასარგებლოდ. პროკურორი ამტკიცებს, რომ ობიექტურობის ხარისხი შენარჩუნებული იყო, ამასთან მიღებული იყო დაცვის მხარის ყველა შუამდგომლობა. ქუცნაშვილის ადვოკატი ამ შეფასებას არ ეთანხმება და განმარტავს, რომ სასამართლომ დაცვის მხარის ის მოთხოვნები გაითვალისწინა, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანი არ იყო. დაცვის მხარე ხაზს უსვამდა სისხლის სამართლის დანაშაულის არარსებობის ფაქტს. დაცვის მხარის მტკიცებით ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ კონტრაქტის ხელმომწერი ორივე მხარე კმაყოფილი იყო ამ კონტრაქტის შესრულებით. დაცვის მხარისთვის გაუგებარი იყო, რატომ აღძრა სახელმწიფომ ქუცნაშვილის წინააღმდეგ საქმე ქონების მითვისების ბრალდებით მაშინ, როცა მისი კონტრაქტორი კმაყოფილი იყო.

“ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის” ფაქტების დამდგენმა მისაიმ მოიპოვა შემდეგი დოკუმენტები:

- სამუშაოების დასრულების სერთიფიკატი:[91] *ამ დოკუმენტის თანახმად, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია, რომელიც პროექტის მენეჯერი იყო ადასტურებს, რომ “საკონტრაქტო დეტალებით” , რომელიც კონტრაქტს დანართი # 4-ის სახით ერთვის, გათვალისწინებული სამუშაოები შესრულდა სრულად.*

[91] . სამუშაოების დასრულების სერთიფიკატი: Ref GICP-GEOP-PIP-L-0019, 29/08/07“გაცემული ფონდ Millennium Challenge Georgia -ს ა (დამსაქმებელი) და შპს.“ჯეოინჯინერინგს” (კონტრაქტორს) შორის დადებული კონტრაქტის MCG-ICB-CW-05 საფუძველზე. გაცემის თარიღი 2006 წლის 3 ნოემბერი; (კონტრაქტი) მომზადებულია საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის (პროექტის მენეჯერის) მიერ.

• წუნთან დაკავშირებული ვალდებულების სერთიფიკატი: [92] *"ჯეოინჯინერინგმა" სრულად და წარმატებით დაასრულა ზემოთ აღნიშნული კონტრაქტით მოთხოვნილი ყველა სამუშაო.*

• *Millennium Challenge Corporation*-ის წერილი[93]:წერილში განმარტებულია, როგორ და რატომ გაიზარდა სამუშაოების რიცხვი სატენდერო დოკუმენტებში აღნიშნულ დაწყებითი სამუშაოების რაოდენობასთან შედარებით:
როცა 2006 წლის ნოემბერში კონტრაქტმა ტენდერში გაიმარჯვა, Millennium Challenge Georgia Fund-ის, Millennium Challenge Corporation-ისა და საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიერ დადგენილი იყო, რომ გლდანულას გზაჯვარედინის სარემონტო გეგმას გარკვეული ტექნიკური წუნი ჰქონდა, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ სატენდერო დოკუმენტები მომზადებული იყო დაჩქარებული წესით. ტენდერში გამარჯვებულ, ***"ჯეოინჯინერინგს" მოსთხოვეს საკუთარი ხარჯებით შეექმნა გაუმჯობესებული და ალტერნატიული პროექტი, რომელიც შემდგომში მოწონებული იქნა საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიერ. ყველა შემდგომი სამუშაოები განხორციელდა ალტერნატიული გეგმის მიხედვით, ასევე ეს სამუშაოები მისაღები იყო ხელშემკვრელი მეთვალყურეებისათვისაც.***

Millennium Challenge Corporation წერილში ამბობს, რომ "ჯეოინჯინერინგმა" კონტრაქტით გათვალისწინებული ყველა პირობა კარგად შეასრულა.

• ამონარიდი წერილიდან, რომელიც საქართველოში „ამერიკის სავაჭრო პალატამ" (AmCham) ამჟამინდელ გენერალურ პროკურორს გაუგზავნა.[94] წერილში ამერიკის სავაჭრო პალატის (AmCham) აღმასრულებელი დირექტორი, მრავალგზის განმარტავს, რომ ფონდ *Millennium Challenge Georgia* -სა და "ჯეოინჯინერინგს" შორის გაფორმდა კონტრაქტი და *Millennium Challenge Georgia* "ჯეოინჯინერინგის" მიერ კონტრაქტის შესრულებით სრულებით კმაყოფილია. იგი ასევე აღნიშნავს, რომ ეს კონტრაქტი ითვალისწინებდა თანხის სრულად გადახდას ერთჯერადად. ამასთან, იგი გენერალური პროკურატურის ოფისის ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ

---

[92] საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია, წუნთან დაკავშირებული ვალდებულების სერთიფიკატი, 11/11/08, გაცემულია პროექტის მენეჯერისსაქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიერ

[93] კოლინ ჰაგ ბაკლეის საქართველოში Millennium Challenge Corporation-ის დირექტორის მიერ გაგზავნილი 27/08/08.

[94] საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის აღმასრულებელი დირექტორის ემი დენმანის წერილი მოქმედ გენერალურ პროკურორს გიორგი ლაცაბიძეს. 02/09/08

“კონტრაქტი, რომელსაც ფინანსური პოლიცია გამოძიების საფუძვლად იყენებს განსხვავებული, მოძველებული და გაუქმებული პროექტია. შესაბამისად ის კანონიერად არ არის დამტკიცებული.”

საქართველოს სახალხო დამცველის დასკვნა ომარ ქუცნაშვილის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით[95]

2008 წლის 16 სექტემბერს, ომარ ქუცნაშვილის ვაჟმა სახალხო დამცველის აპარატში მამამისის საქმესთან დაკავშირებით განცხადება შეიტანა. საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს სახალხო დამცველის როლის შესახებ” მე-13 და მე-14 მუხლების საფუძველზე, სახალხო დამცველმა ქუცნაშვილის საქმე (# 2469-08) შეისწავლა.

„ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის“ ფაქტების დამდგენ მისიას ხელთ აქვს საქართველოს სახალხო დამცველის 25 გვერდიანი დასკვნა ქუცნაშვილის სისხლის სამართლის საქმის შესახებ. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ *,,ომარ ქუცნაშვილის საქმის გამოძიება მიმდინარეობდა არასწორი მიმართულებით, მიკერძოებულად და არაობიექტურად*“. სახალხო დამცველის დასკვნაში წერია, რომ *,,გამოძიება არ იყო მიმართული დამნაშავის გასასამართლებელი დამამტკიცებელი საბუთების მოძიებისკენ; ამ ქმედებით სასტიკად დაირღვა კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული პირობები, რომელიც მოითხოვს საქმის ვითარების სრულყოფილ და ობიექტურ გამოძიებას”.*

სასამართლო პროცესის დროს, ბრალმდებელი მხარე ამტკიცებდა, რომ ქუცნაშვილმა მიითვისა სახელმწიფო ფონდის თანხები, დაცვის მხარემ კი განაცხადა, რომ ეს შეუძლებელი იყო, ვინაიდან მთავრობა კონტრაქტის მონაწილე მხარე არ იყო.

დაცვის მხარემ მოითხოვა, *Millennium Challenge Corporation* -ის (MCC) თანამშრომელთა დაკითხვა, ასევე მოითხოვა, დაეკითხათ MCC-ის ორი თანამშრომელი დიპლომატიური სტატუსის მქონე(ამერიკის მოქალაქეები), რომლებმაც წერილობით განცხადეს, რომ MCC კმაყოფილია ქუცნაშვილის მუშაობით და მისთვის სასაყვედუროდ არანაირი საფუძველი არ არსებობს მის.

დაცვის მხარემ ევროპის ადამიანთა უფლებათა სასამართლოს მე-5 მუხლის საფუძველზე რამდენჯერმე მოითხოვა ქუუცნაშვილის გათავისუფლება, მაგრამ მისი

[95] საქართველოს სახახლო დამცველის დასკვნა 02/02/09 – ით დათარიღებული ომარ ქუცნაშვილის წინააღმდეგ აღძრული #389/03-4/2469-08 ოფ 02/02/09 სისხლის სამართლის საქმის შესახებ

დაკავებას მოჰყვა სასამართლო პროცესი, რაც მოსალოდნელიც იყო. ამის შემდეგ დაცვის მხარემ შეიტანა სარჩელი ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში ქუცნაშვილის წინასწარი პატიმრობის შესახებ, ვინაიდან ის 67 წლისაა და სასამართლოში საქმის სწრაფად განხილვის პრეროგატივა ჰქონდა.

მისიის დასკვნები

"ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის" ფაქტების დამდგენ მისიას არ გააჩნია საკმარისი სამხილი იმის დასადასტურებლად, რომ რამდენიმე ოფიციალურმა პირმა ქუცნაშვილს მისი ვაჟის მიერ პოლიტიკური საქმიანობისა და მთავრობის კრიტიკის შეწყვეტის სანაცვლოდ გათავისუფლება შესთავაზა.

ამდენად, მისიამ გაითვალისწინა შემდგომი სამხილები:

- ომარ ქუცნაშვილი და მისი ვაჟიც ოპოზიციის განსაკუთრებით აქტიური მხარდამჭერები იყვნენ ქუცნაშვილის დაპატიმრების პერიოდში

- ქუცნაშვილმა უარი განაცხადა "ნაციონალური მოძრაობის" პარტიის საარჩევნო კამპანიის დაფინანსებაზე და საჯაროდ გამოხატა ოპოზიციისადმი მხარდაჭერა დემონსტრაციაში მონაწილეობით

- ომარ ქუცნაშვილის ვაჟმა, ზაქარია ქუცნაშვილმა საჯაროდ განცხადება გააკეთა არჩევნების გაყალბების მეთოდების შესახებ და გააფრთხილა საზოგადოება, რომ გაყალბების ამ მეთოდებს მთავრობა მომავალშიც გამოიყენებდა. სასტიკად გააკრიტიკა ხელისუფლება ტელევიზიით გამოსვლისას მამამისის დაპატიმრებამდე სამი დღით ადრე

- კონტრაქტის ხელშემკვრელმა ყველა მხარემ გამოხატა სრული კმაყოფილება "ჯეოენჯინიირინგის" მუშაობით, ასევე გამოხატეს კმაყოფილება ზედამხედველმა ორგანოებმაც, რითაც ქუცნაშვილის ბრალდება, თითქოს მან კონტრაქტში მონაწილე ფონდებიდან თანხა მიითვისა, საეჭვო გახადა

- საქართველოს სახალხო დამცველმა და ამერიკის სავაჭრო პალატამ საქართველოში, ოთხი კონკრეტული სამხილი წარმოადგინეს, რამაც მიანიშნა გამოძიების სისუსტეზე

- 2009 წლის თებერვალში, სასამართლომ ქუცნაშვილის მოუხსნა ქონების მითვისების ბრალდება და დამნაშავედ სცნო მხოლოდ დოკუმენტების გაყალბებაში

სასამართლოს მიერ ქუცნაშვილისთვის ქონების მითვისების, მთავარი, ბრალდების მოხსნა და ასევე ზემოთ ჩამოთვლილი არგუმენტების გათვალისწინება "ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციას" საშუალებას აძლევს, დაასკვნას, რომ ქუცნაშვილი არის პოლიტიკური პატიმარი და მისი დაკავება პოლიტიკურად იყო მოტივირებული (ქუცნაშვილი ამ დასკვნის წერის დროს ჯერ კიდევ დაკავებული იყო).

8. მერაბ რატიშვილის საქმე

მერაბ რატიშვილი 2007 წლის 26 ოქტომბერს დააპატიმრეს. მას ბრალი დიდი რაოდენობოთ ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ფლობასა და მოხმარებაში დასდეს. 2008 წლის 15 ივლისს თბილისის სამოქალაქო სასამართლომ რატიშვილს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა 260-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის ა პუნქტით - "ნარკოტიკული ნივთიერებების შეძენა-შენახვა". პოლიციამ ჩხრეკის დროს მის მანქანაში აღმოაჩინა 0,026 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება, რომელიც შეიცავდა მეტადონს, ხოლო მისი სახლიდან კი ასევე მეტადონის შემცველი 8,4380 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს.

რატიშვილი 2003 წლამდე მოსკოვში ცხოვრობდა (სადაც მისი შვილები ცხოვრობენ), ის საქართველოში ყოფილი პრემიერ მინისტრ ზურაბ ჟვანიას თხოვნით დაბრუნდა. რატიშვილს მჭიდრო კავშირი ჰქონდა როგორც მთავრობის ასევე, ოპოზიციის წარმომადგენლებთან. 2007 წლის 26 სექტემბერს, მან დაარსა "თბილისის სადისკუსიო კლუბი", გახდა ოპოზიციის უფრო აქტიური მხარდამჭერი და ფინანსური დახმარებაც გაუწია მას.

რატიშვილი დარწმუნებულია, რომ მისი დაპატიმრების მიზეზი მის მიერ პოლიტიკური საქმიანობის განახლებას და ოპოზიციის მხადაჭერას უკავშირდება.[96] მისი სახელი ოპოზიციის მიერ პოლიტპატიმრებად დასახელებულ ადამიანთა პირველ სიაში იყო მოხსენიებული. სიაში ასევე მოხსენიებული იყვნენ: შალვა რამიშვილი, ნორა კვიციანი, ჯონი ჯიქია, მარლენ ნადირაძე, ილია წუწუმია, რევაზ კლდიაშვილი, არჩილ ბენიძე და დემურ ანთია.

რატიშვილი ამტკიცებს, რომ მას ნარკოტიკული ნივთიერებები ჩაუდეს და მოსთხოვეს, ეღიარებინა, რომ ის რუსეთის ჯაშუში იყო. იმ შემთხვევაში თუ ეს დამტკიცდა, ნათელი გახდება, რომ ნარკოტიკულ ნივთიერებებს ამ საქმეში

[96] "ფედერაციის" ინტერვიუ ეკა ჯიხვაშვილთან და ტარიელ ჩოჩიშვილთან, 2009 წლის 21 თებერვალი.

მეორეხარისხოვანი დატვირთვა ჰქონდა. რატიშვილის ადვიკატის განცხადებით, პარლამენტის წევრ კახა კუკავასთან საუბარში რატიშვილის მოსაზრება ქართველმა ჩინოვნიკებმა დაადასტურეს. რატიშვილს სახლში პასპორტები და სხვა დოკუმენტებიც ჩაუდეს. აღმოჩნდა, რომ დოკუმენტებში გარკვეული მონაცემები და ინფორმაცია არათანმიმდევრულია. მაგალითად, ერთი პასპორტის თანახმად, რატიშვილი კოტ-დივუარში იმყოფებოდა, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ყალბ დოკუმენტებთან დაკავშირებით გამოძიება არ ჩატარებულა.

კანონდარღვევები პატიმრობისა და სასამართლო პროცესის დროს

რატიშვილი ოფიციალურად ნარკოტიკული ნივთიერებების შენახვის ბრალდებით დააპატიმრეს. თუმცა, პოლიციამ მისი პერსონალური კომპიუტერი, დოკუმენტები, პრინტერი გაჩხრიკა და ასევე დაინტერესდა პოლიტიკური პარტიის ლოგოიანი მაისურებითაც.[97] ზოგიერთი დოკუმენტი კონტრდაზვერვის დეპარტამენტში გააგზავნეს, საიდანაც მოვიდა პასუხი, რომ დოკუმენტები სახიფათო ინფორმაციას არ შეიცავდა.

რატიშვილის ადვოკატი განმარტავს, რომ მისი დაპატიმრების დროს პოლიციამ გაჩხრიკა რატიშვილის მანქანა და ბინა. რატიშვილმა მოითხოვა, რომ ჩხრეკას (კანონის მოთხოვნის შესაბამისად) დასწრებოდა ორი გარეშე პირი, მაგრამ პოლიციამ ამაზე უარი განაცხადა იმ მიზეზით, რომ მოწმეებს შეიძლება სამხილი წაეშალათ. იმის გათვალისწინებით, რომ სახლის ჩხრეკას 10 პოლიციელი ესწრებოდა, ნაკლებ სავარაუდო იყო, რომ ორ მოწმეს სამხილების წაშლის შესაძლებლობა ჰქონოდა.

რატიშვილის მტკიცებით, ციხეში ყოფნისას მას ესტუმრნენ მმართველი პარტიის წევრები და მოსთხოვეს პოლიტიკური ოპოზიციი ლიდერების[98] წინააღმდეგ ცრუ

---

[97] "მერაბმა მოითხოვა ჩხრეკაზე დასწრება, მაგრამ ის გაიყვანეს. მე 10 მამაკაცთან მარტო დავჩი. ისინი ყველა ოთახში შევიდნენ. სინათლე ყველგან ჩართული იყო. მე ვთხოვე მათ ნება დაერთოთ ვინმე მომეყვანა, ვინც ჩემს ნაცვლად ჩხრეკას დაესწრებოდა, მაგრამ მათ უარი თქვეს. ერთმა საუბრით გამიფანტა ყურადღება. გულმოდგინედ არ ეძებდნენ, რადგან იცოდნენ რა უნდა მოეძებნათ. მე გავაუთოვე ნახევარი საათით ადრე ის პერანგი, რომელშიც 9 გრამი მეტადონი იპოვეს. არ ვიცი იქ ვინ ჩადო, მაგრამ ნათელია, რომ იქ არ უნდა ყოფილიყო. რაღაც ნივთები ამოიტანეს სარდაფიდან, მათ შორის, მაისურები სლოგანით "ჩვენ თვითონ"; პაატა დავითაიამ ეს მაისურები ჩემს ქმარს და მე გამოგვიგზავნა, მაგრამ პოლიციამ ეს მაისურები მერაბის საწინააღმდეგო სამხილად მიიჩნია"- მერაბის ცოლის ეკა ჯიხვაშვილის ინტერვიუდან.
http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=2799&lang=en.

[98] "ფედერაციის" მიერ ეკა ჯიხვაშვილისა და ტარიელ ჩოჩიშვილისგან აღებული ინტერვიუდან 2009 წლის 21 თებერვალი

ჩვენებები მიეცა. ამ ინფორმაციის დამადასტურებელი მასალები „ფედერაციას“ არ გააჩნია.
მერაბ რატიშვილი ოპოზიციის 2007 წლის 2 და 7 ნოემბრის აქციების დაწყებამდე დააპატიმრეს. აქციები პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომით დასრულდა. მიტინგების დაწყების წინა პერიოდში შეავიწროვეს ოპოზიციის არაერთი აქტივისტი, რომლებიც [ხელისუფლების მიერ] მიჩნეულ იქნენ პოლიტიკური სტაბილურობისადმი საფრთხის შემცველ პირებად. სწორედ ამ დროს დააპატიმრეს ყოფილი თავდაცვის მინისტრი და ოპოზიციის ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი და ქვეყნის დატოვება აიძულეს.

რატიშვილი ამტკიცებს, რომ ციხეში ყოფნის დროს, მმართველი პარტიის წევრებმა მას ოპოზიციის ლიდერების წინააღმდეგ, ცრუ განცხადებები გაკეთება მოსთხოვეს.98 თუმცა, ამ ინფორმაციის დადასტურება “ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციამ” ვერ მოახერხა.

ხელისუფლების წარმომადგენლების მტკიცებით რატიშვილის დაკავება მის პოლიტიკურ აქტივობას უკავშირდებოდა

პარლამენტის ყოფილ წევრ კახა კუკავას რამდენიმე ჩინოვნიკთან ჰქონდა საუბარი, რომლებმაც მას უთხრეს, რომ რატიშვილი სინამდვილეში მისი ჯაშუშური საქმიანობის გამო დააპატიმრეს, ხოლო ნარკოტიკების შეძენა-შენახვა მხოლოდ საბაბი იყო. ამ პირებმა ასევე განაცხადეს, რომ როგორც კი რატიშვილის ჯაშუშური საქმიანობის დამტკიცებას შეძლებდნენ, მაშინვე მოუხსნიდნენ ნარკოტიკებთან დაკავშირებულ ბრალდებებს.

პატიმრობის დროს რამდენიმე ჩინოვნიკი რატიშვილთან ციხეში მივიდა და მას [ხელისუფლების] პოლიტიკური ოპონენტების მხილების სანაცვლოდ გათავისუფლება შესთავაზა. მათ რატიშვილს მოსთხოვეს მეტი ინფორმაცია მიეწოდებინა საკუთარი სტატიების შესახებ, რომლებიც 2007 წლის ნოემბრის მოვლენებს ეხებოდა. რატიშვილს არაფერი აღარ უთქვამს მისი სტუმრების ვინაობის შესახებ.

მისიის დასკვნები

“ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციას” არ გააჩნია საკმარისი სამხილი, რათა ამტკიცოს, რომ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები რატიშვილის დაკავების ფაქტს მის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებდნენ. “ფედერაციის” აზრით, კუკავას ჩვენება გადამწყვეტია ამ ინფორმაციის დასადასტურებლად.

თუმცა, მისიამ მხედველობაში მიიღო შემდეგი ინფორმაცია:

- მერაბ რატიშვილი დაპატიმრების წინა დღეებში პოლიტიკურად განსაკუთრებით აქტიური იყო

- მისი დაპატიმრება მასობრივი ოპოზიციური დემონსტრაციების (რომლის წინააღმდეგ მძიმე რეპრესიებს მიმართეს) დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე მოხდა

- იგი ამტკიცებს, რომ პოლიციამ მას ნარკოტიკები მანქანაში და სახლში ჩაუდო

- საქართველოს სახალხო დამცველი მხარს უჭერს ამ ვერსიას და აღნიშნავს, რომ ოპოზიციის რამდენიმე აქტივისტი 2007 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში დააპატიმრეს და ნარკოტიკების უკანონო შენახვისთვის გაასამართლეს

- გამოძიების დროს გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა

- ჩხრეკას არ ესწრებოდნენ მოწმეები, რაც კანონდარღვევაა

- პოლიციამ რატიშვილს ჩამოართვა ნივთები, რომელიც მის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირდებოდა, ეს იყო კომპიუტერი, პოლიტიკური შინაარსის მქონე ფლეირები და მაისურები

- მერაბ რატიშვილის მტკიცებით, ქართველმა ჩინოვნიკებმა მოსთხოვეს მას ეღიარებინა, რომ ის რუსეთის ჯაშუში იყო და მიეცა ცრუ ჩვენება ოპოზიციის ლიდერების წინააღმდეგ

- ამავე პერიოდში ოპოზიციის ლიდერი და თავდაცვის ყოფილი მინისტრი იძულებული გახდა ქვეყანა დატოვებინა, მას შემდეგ, რაც ის პატიმრობაში იმყოფებოდა. მან პოლიტიკური თავშესაფარი საფრანგეთში მიიღო

“ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის” ფაქტების დამდგენი მისია დარწმუნებულია, რომ მერაბ რატიშვილი სრულიად გაყალბებული და პოლიტიკურად მოტივირებული საქმის მსხვერპლია.

დასკვნები

2008 წლის ნოემბერში „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციამ“ (FIHD) ყურადღება გაამახვილა საქართველოში ახალი პოლიტპატიმრების საკითზე. საქართველოში FIDH-ის წევრმა ორგანიზაციებმა „ადამიანის უფლებათა ცენტრმა“ და სხვადასხვა პარტნიორმა ორგანიზაციებმა - მათ შორის, „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტმა”, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ”, „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის”, „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა”, - წარმოადგინეს პოლიტპატიმრებთან რამოდენიმე საქმე. ამავე დროს, ინფორმაციის ქვეყანაში პოლიტპატიმრების არსებობასთან დაკავშირებით დაეთანხმნენ მხოლოდ ადგილობრივი ადამიანის უფლებათა არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები და საქართველოს სახალხო დამცველი.

2009 წლის თებერვალში საქართველოში გაგზავნილმა მისიამ, ესაუბრა რა შესაძლო პოლიტპატიმრების 19 ოჯახის წევრსა და ადვოკატს, ქართული ადამიანის უფლებათა არასამთავრობო ორგანიზაციების 18 წარმომადგენელს, საერთაშორისო ორგანიზაციების 2 წარმომადგენელს, საქართველოს ხელისუფლების 3 წარმომადგენელს, დაასკვმა, რომ *ძირეულად შესწავლილი 8 საპილოტო საქმის საფუძველზე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საქართველოში არიან პოლიტიკური* პატიმრები.

„ფედერაციის“ დასკვნა არ გულისხმობს რომ ყველა პატიმარი ბოლომდე უდანაშაულოა; მაგრამ დასკვნის მიხედვით მათი პატიმრობა მთლიანად თუ არა ნაწილობრივ მაინც პოლიტიკურად იყო მოტივირებული. ქვემოთ ჩამოთვლილი ზოგიერთი ან ყველა ტენდენცია შეინიშნება შესწავლილ საქმეებში:

- დაკავებულები და/ან მათი ნათესავები არიან მთავრობისადმი ოპოზიციურ საქმიანობაში ჩართულები (ყველა საქმეში) - სასამართლოს დანიშვნის პერიოდი და წინანწარი პატიმრობის პერიოდი დაკავშირებულია დაკავებულთა სპეციფიკურ პოლიტიკურ საქმიანობასთან (ყველა საქმეში);

- დაკავებულები ამტკიცებენ რომ ხელისუფლება თავად არაოფიციალურად უკავშირებდა მათ დაკავებას პოლიტიკურ საქმიანობას, როდესაც მათთან მოლაპარაკებების დროს თავისუფლების სანაცვლოდ ითხოვდნენ პოლიტიკურ გარანტიებს (უმეტეს საქმეებში მსგავსი პრაქტიკაზე საუბარია ეუთოს არჩევნების სადამკვირვებლო მისიის ანგარიშში 2008 წლის არჩევნების შესახებ) - ოფიციალური ბრალდებები ძალიან შეუსაბამო ჩანს ნათესავებისა და კოლეგების ჩვენებებთან და დაკავებულთა წარსულ საქმიანობასთან (თითქმის ყველა საქმეში რომელიც მტკიცების მიხედვით გაყალბებულია) - მსგავსი ოფიციალური ბრალდებები

გამოიყენეს უამრავი ადამიანის წინააღმდეგ რომლებიც ოპოზიციურ საქმიანობაში არიან ჩართულები (თითქმის ყველა გაყალბებულ საქმეში) - არსებობს სერიოზული ეჭვები სამართლიანი სასამართლოს შესახებ (ზოგადად საქართველოში და ამ კონკრეტული საქმეებიდან რამოდენიმეში).[99]

რეკომენდაციები

იმის გათვალისწინებით რომ:

საქართველოს ოპოზიციური პარტიები, ასევე საქართველოს ძირითადი ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები, თვლიან რომ საქართველოში არიან პოლიტიკური პატიმრები და შექმნეს მათი რამოდენიმე სია.

საქართველოს სახალხო დამცველი საჯაროდ მხარს უჭერდა ამ მტიკიცებულებას საქართველოს პარლამენტში და ხელისუფლებას კითხვებით მიმართავდა პოლიტპატიმრად აღიარებული რამოდენიმე პატიმრის შესახებ.

FIDH-ის საგამოძიებო მისიამ დაადგინა 8 საპილოტო საქმის შესწავლის დროს რომ საქართველოში ნამდვილად არსებობენ ადამიანები რომლებიც დააპატიმრეს ევროსაბჭოს პოლიტპატიმრის ცნების განმარტების შესაბამისად.

არცერთი საერთაშორისო არასამთავრობო და მთავრობოთაშორისო ორგანიზაცია დღემდე ოფიციალურად არ აღიარებენ რომ საქართველოში არიან პოლიტპატიმრები. თუმცა, რამოდენიმე საერთაშორისო არასამთავრობო და სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციამ დაასაბუთა და აღიარა საქართველოში ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მიმართ სხვადასხვა ფორმის რეპრესიების განცორციელებას ბოლო წლების განმავლობაში.

საქართველოს ხელისუფლებამ ნება არ მისცა FIDH-ის საგამოძიებო მისიას შეხვედროდა შესაძლო პოლიტპატიმრებს მიუხედავად ოფიციალური მიმართვებისა.

---

[99] ევროპის საბჭოს დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც მუშაობდა პოლიტპატირების საკითხზე სომხერთსა და აზერბაიჯანში ნათლად განაცხადა, რომ „პირველ რიგში იმ ადამიანებმა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ კონკრეტული ადამიანი პოლიტპატიმარია, უნდა წარმოადგინონ ამ მტკიცების დამადასტურებელი მასალები.“ ამ ექსპერტების აზრით, „ეს მასალები შემდეგ სახელმწიფოს უნდა წარედგინოს, რომელმაც თავის მხრივ ექნება შესაძლებლობა ამ მტკიცების საწინააღმდეგო მასალები წარმოადგინოს“. ექსპერტთა ჯგუფი ასკვინის, რომ „ თუ კონკრეტული სახელმწიფო არღვევს კონკრეტული პირის „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით“ და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილ უფლებებს, (...) ეს ადამიანი უნდა ჩაითვალოს პოლიტპატიმრად.“

საქართველოს ხელისუფლებას უნდა გამოეყენებინა საშუალება წარმოედგინა ნივთმტკიცებები მსგავსი განცხადებების გასაბათილებლად.

FIDH მოუწოდებს:

ევროსაბჭოს

მანდატით აღჭურვოს დამოუკიდებელი ექსპერტების ჯგუფი რომელიც შეისწავლის საქართველოში სავარაუდო პოლიტიკური პატრიმრების საქმეებს და გამოხატავენ საკუთარ აზრს აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით უნდა მივიჩნიოთ თუ არა ეს ადამიანები პოლიტპატიმრებად ევროსაბჭოს ადრე მიღებული დოკუმენტების შესაბამისად.

უზრუნველყოს ამ ჯგუფის მანდატი და შესაძლებლობა შეხვდეს შესაძლო პოლიტპატიმრების ნაწილს, მათ ადვოკატებს, ნათესავებს, სახელმწიფო მოხელეებს, სამთავრობოთაშორისო და ადამიანის უფლებათა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

ევროკავშირს და ეუთოს

მხარი დაუჭიროს ევროსაბჭოს დამოუკიდებელი ექსპერტების ჯგუფის ჩამოყალიბებას რომელიც შეისწავლის საქართველოში შესაძლო პოლიტპატიმრების საქმეებს.

იურიდიულად დააკვირდნენ სავარუადო პოლიტიკური პატიმრების ყველა საქმის წარმოებას და ასევე პოლტიკურად მოტივირებულ ნებისმიერ საქმეს. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საქართველოს ადამიანის უფლებათა არასამთავრობო ორგანიზაციების, იურისტებისა და პატიმართა ოჯახების მიერ გავრცელებულ ინფორმაციებს შესაძლო პოლიტპატიმრების საქმეებთან დაკავშირებით.

ევროსაბჭოს ეხპერტებს გაუზიარონ ყველა შესაბამისი ინფორმაცია და დასკვნები საქართველოში შესაძლო პოლიტპატიმრების საქმეებთან დაკავშირებით.

საქართველოს ხელისუფლებას

ხელი შეუწყოს ევროსაბჭოს დამოუკიდებელი ექსპერტების ჯგუფის შექმნას რომელიც საქართველოში შესაძლო პოლიტპატიმრების საქმეებს შეისწავლის

გაუგზავნოს FIDH ყველა მტკიცებულება რომელიც გააბათილებს საგამოძიებო მისიის დასკვნას და/ან დაიწყოს FIDH-თან კონსტრუქციული დიალოგი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

უფლებას მისცეს FIDH შეხვდეს შესაძლო პოლიტპატიმრების პატიმრობის ადგილებში

დანართი

ინტერვიუებისა და შეხვედრების სია:

ყოფილი პატიმრები, მათი ოჯახის წევრები და პატიმრების ადვოკატები:

მაია ელოშვილი - ვახტანგ ტალახაძის მეუღლე და ადვოკატი
ია თოფურია - მაია თოფურიას და
თეა აბაშიძე - შალვა რამიშვილის მეუღლე
გოჩა სვანიძე - შალვა რამიშვილის ადვოკატი
მაია არღვლიანი - ნორა კვიციანის ქალიშვილი
პაატა ბუჩუკური - ნორა კვიციანის ადვოკატი
ზაქარია ქუცნაშვილი - ომარ ქუცნაშვილის ვაჟი
ივერი ქუცნაშვილი - ომარ ქუცნაშვილის ვაჟი
ალექსანდრ ბარამიძე - ომარ ქუცნაშვილის ადვოკატი
ეკა ჯიხვაშვილი - მერაბ რატიშვილის მეუღლე
ტარიელ ჩოჩიშვილი - მერაბ რატიშვილის ადვოკატი
სოფიკო ჯიქია - ჯონი ჯიქიას მეუღლე
თემურ ქარდავა - ჯონი ჯიქიას ადვიკატი
კონსტანტინე ანთია - დემურ ანთიას ვაჟი
მიტროფანე სტურუა - დემურ ანთიას ადვოკატი
ციცინო სინაურიძე - რევაზ კლდიაშვილის მეუღლე
თორნიკე ორბელაძე - რევაზ კლდიაშვილის ადვოკატი

ონისე მებონია - რევაზ ბულიასა და იაკობ კვინიკაძის ადვოკატი
ირაკლი ბათიაშვილი - ყოფილი პატიმარი

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები:

უჩა ნანუაშვილი - "ადამიანის უფლებათა ცენტრი"
სიმონ პაპუაშვილი - "ადამიანის უფლებათა ცენტრი"
ირინა მაჩურიშვილი - "ადამიანის უფლებათა ცენტრი"
კობა ბოჭორიშვილი - "კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი," აღმასრულებელი დირექტორი
კახაბერ კოღაშვილი - "კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი," გამგეობის წევრი
ალექსი შოშიკელაშვილი - "კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი," გამგეობის წევრი
თამარ ხიდაშელი - "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია," თავმჯდომარე
ლაშა ჩხარტიშვილი - "თანასწორობის ინსტიტუტი"
მანანა კობახიძე - "კონსტიტუციის 42-ე მუხლი", თავმჯდომარე
გელა ნიკოლაიშვილი - "ყოფილი პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის"
ნანა კაკაბაძე - "ყოფილი პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის"
ლია მუხაშავრია - "ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი", თავმჯდომარე
ნიკო კვარაცხელია - "ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი", ადვოკატი
გიორგი მარიამიძე - "ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი", ადვოკატი
ნინო ციხისთავი - "კავკასიის ქალთა ქსელი," თავმჯდომარე
გიორგი გოგია - "ჰიუმან რაითს ვოჩი," ევროპა-ცენტრალური აზიის განყოფილებ, მკვლევარი
ემილ ადელხანოვი - დამოუკიდებელი ექსპერტი
ვახო კომახიძე - გამომძიებელი ჟურანალისტი

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები:

სოზარ სუბარი - საქართველოს სახალხო დამცველი
გიორგი ჩხეიძე - საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე
ლევან ზარანდია - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მოადგილე.

საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები:

თინა ჯევისი - საქართველოში ეუთოს წარმომადგენელი

თამარ ჩერგოლეიშვილი - საქართველოში ევროსაბჭოს ოფისის, იურიდიული ჯგუფის ხელმძღვანელი

მისია დაესწრო საქართველოს შესაძლო პოლიტპატიმრებთან დაკავშირებული სამოქალაქო საზოგადოების კომისიის შეხვედრას.

მისია მიიღო საქართველოში საფრანგეთის ელჩმა, **ერიკ ფურნიემ**.